

იუსტიციის მინისტრის განცხადებით

№4, 2011, აპრილი

ფასი 2 ლარი

ისტორიანი



ბაქანას
პიტაჩის
ბებეზი

სტალინის წინაშე
დაჩოქილი შაჰი

ვინ ახის
მუამჩი
ხადაფი

ტაჯიკის სპეხის
საილაქი

ბალიბანას
სამახის
მინაპიჩი

ჩა ბედი
ქინა
ქეთაპან
ქალოფის
წილდა
წაწილას...

ფიქის
ბოჩის
შეაბი

ზინბაჩის
იბაჩი

ყველა მხარის საუბრის
ისტორიანი ხომალდი

კონსტანტინე გამსახურდია
დავით აღმაშენებელი
8 წიგნად

წიგნი II

ფასი 3 ლარი

წიგნი „ისტორიანი“ ერთად – 5 ლარი



8



6



13



22



30



38



43

სახიჩვი

ახალი ამბები
 კალიგულას სამარხს „შავაბა არქეოლოგია“ მიაგვლია **6-7**
 გვატეგალაში მანას უკველესი ბარელიეფი აღმოაჩინეს **8-9**
 ისტორიული მოზაიკა **10; 12**
სინთინდანი
 ტურინის სუღარა **13-17**
ახიუსიანი
 ალღობა **18-21**

თანაქეიოვა მოქალეხი
 „პარკის კაცი“, აწუ ვინ არის შუაგარ კალაღი? **22-29**
მსოფნიო ისტორია
 აღოლუ კიტლერის გეგმები მსოფნიო რუკის შიგვლის შესახებ **30-37**
ისტორიის ბაქაუთიეხი
 სტალინის ჟინაშე ღაროქილი ირანის შაჰინშაჰი **38-42**
ისტეხიე
 გიორგი კალანღია: „თუ ღამთვალეირგგელი არ მიღის შუგუშუში, გავინ შუგუშუში მიღის ღამთვალეირგგელთან“ **43-48**



67



72



78



56



83



49



62

სახიჩვი

მინდინაობი
რა ბელი მჟინა ქეთეგან დედოფლის წმინდა ნაწილებს **49-55**

ბიოგრაფიები
მეფე შაჰოტეჟე. ჩარლზ I სტიუარტის აღსასრული **56-61**

ჩვენებუბი
„ანსანერობა“ (1915-1920) **62-66**

სოჟიბა
ფიქრის ბორის მემბი **67-71**

ქაქახინის ხანები
ჩარნები **72-77**

ბიზნესის ისტორია
შეკერილია ამერიკაში **78-82**

ეხილი
„ისეთი მოღვაწის სახელსა და გვარს ვატარებ, ისტორია კარგად რომ არ მესწავლა, უხერხულიც იქნებოდა“ **83-86**

სკანვორდი **87**

ეხიუნასტია
„შურნალა „ისტორიანა“ შევსო ის ნოზა, რომელიც თავისუფალი იყო ქართულ პრესაში“ **88-90**

წლებს, აპრილში აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს შეიმობს სრულიად საქართველო. ქართველ ხალხს დღენიადაგ ღოცვა, შრომა და ბრძოლა უხდებოდა. უთვალავ მტერთან დაპირისპირებამ აბჯარი შემოგვაცვითა და დაგვიმსხვრია. მსოფლიო იმპერიებთან ჭიდილში განკვლიეთ საუკუნეები და ათასწლებები. რამ გადაგვარჩინა და რამ გამოგვატარა ამ შავბნელ ეპოქაში? პასუხის გაცემა ამ შეკითხვაზე ადვილია — ჩვენმა რწმენამ.

ქრისტიანობა მთელი სისტემაა კულტურული ფასეულობებისა, იგი საუკუნეთა განმავლობაში, ყველაზე მძიმე ჟამსაც კი დარაჯად ედგა საქართველოს და ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებას. მთელ ათას ხუთას წელიწადს ქრისტიანობა იმ პატრუქს წარმოადგენდა, რომელიც ჩვენში ასხივებდა დასავლური კულტურის სხივებს. და თუ ჩვენ საუკუნეების განმავლობაში ევროპულ ცივილიზაციას ვიყავით ნაზიარები და პოლიტიკურად ევროპისკენ ვიცქირებოდით, ესეც დიდწილად ქრისტიანობის დამსახურება გახლდათ.

ქრისტე აღდგა! ამ სიტყვებით ქართველები საუკუნეებია ულოცავენ ერთმანეთს ყველაზე დიდ დღესასწაულს. იმედროულად, გულით თავისი სამშობლოს აღდგენა-გაძლიერებისთვის ღოცულობენ. დიახ, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის იყო ჩვენი სახელმწიფოებრიობის ლიბო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს: „საქართველო ეძებს თავის დასაყრდენს. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს საყრდენი ძლიერია იმ შემთხვევაში, თუ ერი არის მრავალრიცხოვანი, ზოგიერთი ფიქრობს, რომ სახელმწიფო ძლიერია მაშინ, თუ მას გააჩნია ძლიერი შეიარაღებული ძალები. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ძლიერია ერი იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია დიდი მეცნიერება და მაღალი კულტურა. ეს ყველაფერი საჭიროა, აუცილებელია, მაგრამ პირველი და აუცილებელი არის ერის სულიერი ძლიერება. აი, სწორედ ამისთვის ვართ მოწოდებული და ამით ვიწყებთ ჩვენი ერის განმტკიცებას... ეს სულიერი ძლიერება და ქვეყნის გამთლიანება განუყოფელია“.



ჩიხსიანოზის დასახელებით, სააჯანთო ბანკაშობაში ეპიკურ სივლინასთან ვიყავით ნაზიარები და ჰოლისტურად ეპიკურად ვიყავით...

ისტორიულ-შემცვლელითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტი-რედაქტორი
ელენე სალარიძე

არტრედაქტორი
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბიშიშვილი
ოქროპირ ჯიქური
ნინო ჯაფარიძე

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ.: 38-13-72, 38-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 37-78-07, 38-78-70

e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდა აკრძალულია

ჟურნალის გამოწვევისთვის მიმართეთ პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა.ჯი“.
ტელ.: 38-26-73, 38-28-74, 14-09-91



კალიგულას სამარხს „შავმა“ არქეოლოგმა მიაკვლია

რომის სამხრეთით, ნემის ტბის მახლობლად, სადაც იმპერატორ კალიგულას ვილა მდებარეობდა, პოლიციამ სამარხების ქურდები დააკავა. დაკავებული 2,5-მეტრიანი სტატუის მოპარვას ცდილობდა. ბოროტმოქმედი იმ დროს შეიპყრეს, როცა სკულპტურის ფრაგ-

მენტის მანქანაში ჩადებას აპირებდა.

მაგრამ ეს უმნიშვნელო დეტალია. მთავარი ისაა, რომ დაკავებულის წყალობით კალიგულას დაკარგული სამარხის მიგნება მოხერხდა.

გაიუს იულიუს ცეზარ ავგუსტ ჰერმანიკს სწორედ კალიგულას სახელით იცნობდნენ. ის



მესამე იმპერატორი იყო იულიუს-კლავდიუს-თა გვარიდან. კალიგულა რომს I საუკუნეში, 37 წლის 18 მარტიდან 41 წლის 24 იანვრამდე მართავდა.

თანამედროვეები მას შეშლილს უწოდებდნენ იმის გამო, რომ თითქოს სექსუალური კავშირი ჰქონდა თავის დებთან; ცდილობდა. საკუთარი ცხენი კონსულად გამოეცხადებინა.

იმპერატორი 28 წლის ასაკში, შეთქმულების შედეგად დაიღუპა. სიკვდილის შემდეგ მისი სხეულის კრემაცია მოხდა.

უძველეს ნაგებობათა ნანგრევები არქეოლოგებმა მუსოლინის პერიოდში აღმოაჩინეს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს განადგურდა.

პოლიციელთა განცხადებით, „შავი“ არქეოლოგის მიერ აღმოჩენილი სტატუა სამხედრო ფესსაცმელში, კალიგში გამოწყობილი იმპერატორია. კალიგი კალიგულას უსაყვარლესი ფესსაცმელი იყო. ბავშვობაში, როდესაც მამას გერმანიის კამპანიაში ახლდა, სწორედ კალიგი ეცვა. ამის გამო შეარჩევს მეტსახელად კალიგულა, რაც დიდად არ ხიბლავდა.

წინასწარი შეფასებებით, სტატუის ღირებულება დაახლოებით მილიონი ვერია. იგი იშვიათი ბერძნული მარმარილოთა შესრულებული. სტატუის მასალა და ის ფაქტი, რომ კალიგულა მდიდრულად შემოსილია და თავზე გვირ-



გვინი ადგას, იმის თქმის საფუძველს იძლევა, ის რომ იმპერატორის სამარხში ინახებოდა.

დაკავებულმა პოლიციას ის ადგილიც აჩვენა, სადაც სტატუა აღმოაჩინა. ამ ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები უკვე დაიწყო.

მომზადებულია „გარდიანის“ მასალების მიხედვით





ბვახემაწაში მაიას უძველესი ბახედიეფი ალმოაჩინას

ჩრდილოეთამერიკელმა და გვატემალელმა ისტორიკოსებმა, რომლებიც მაიას უძველესი ქალაქის, ელ მირადორის (გვატემალა) საკანალიზაციო სისტემას იკვლევდნენ, ჩუქურთმებით დაფარული უზარმაზარი ფრიზი აღმოაჩინეს.

ხელოვნების ნიმუში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, სულ მცირე, 200 წლით ადრე შეიქმნა. ის ტყუპი ღვთაების, ხუნახპუსა და შბალანკეს ისტორიას ასახავს. მითოსის თანახმად, ტყუპმა ღვთაებებმა მოახერხეს საიქიოს გამ-

გებელ შიბალბისთვის მათი მოკლეული მამის თავი წაერთმიათ და თან წამოეღოთ.

ფრიზის ავტორმა ტყუპი ძმა ციურ ურჩხულებს შორის მამის თავით ხელში გამოსახა.

„ეს აღმოჩენა მოწმობს, რომ შბალანკესა და ხუნახპუს რწმენა ქრისტეს დაბადებამდე 300 წლით ადრე არსებობდა. ეს კი მაიას ცივილიზაციის ავთენტიკურობას ადასტურებს“, — განაცხადა კვლევების ხელმძღვანელმა რიჩარდ ჰეზენმა.

ტყუპი ძმის ისტორია აღწერილია წიგნში „პოპოლ ვუხი“ („ხალხის წიგნი“ — მითებისა და ლეგენდების კრებული). დომინიკელთა ორდენის ბერმა ფრანსისკო ხიმენესმა 1701-1703 წლებში ის შემთხვევით აღმოაჩინა. სასულიერო პირმა კარგად იცოდა კიჩეს ენა, ამიტომ ინდიელთა ტექსტის თარგმნა და გადაწერა შეძლო.

„პოპოლ ვუხის“ ებოში რამდენიმე მითოლოგიური ციკლია, რომელიც სხვადასხვა დროს შეიქმნა. მასში ლაპარაკია სამყაროს შექმნასა და კიჩეს სახელმწიფოს ისტორიაზე.

ქვაში ამოკვეთილი მითოლოგიური სიუჟეტი ძველი აუზის ზედა ნაწილს ამკობდა, რომელიც სავარაუდოდ ელ მირადორის ელიტის წარმომადგენელთა განბანის რიტუალისთვის იყო განკუთვნილი.

მაიას ცივილიზაციით დაინტერესება XVIII საუკუნის მიწურულიდან დაიწყო. პირველი



მკვლევარი იყო ესპანეთის არმიის კაპიტანი ანტონიო დელ რიო, რომელმაც მაიას ქალაქი პალენკე აღმოაჩინა დიდებული პირამიდებითა და სასახლეებით.

20 წლის შემდეგ ესპანელთა სამსახურში მყოფმა ჰოლანდიელმა გილერმო დიუპემ ესპანეთის მეფე კარლოს IV-სგან მიიღო დაჯავლება, შეესწავლა მექსიკის სიძველეები.

აშშ-ის ანტიკვარულმა საზოგადოებამ და ჰარვარდში პიბოდის მუზეუმმა 1885 წელს იუკატანზე ახალგაზრდა მეცნიერის, ედვარდ გ. ტომსონის ხელმძღვანელობით სპეციალუ-

რი ექსპედიცია გაგზავნეს, რომელიც 40 წლის განმავლობაში შეისწავლიდა ცივილიზაციას.

თუმცა მაიას ისტორიის გასაღები სწორედ მას შემდეგ იპოვეს, რაც კიჩეს ტომის ინდიელებმა, რომელთაც იცოდნენ ძველი დამწერლობა, ლათინური შრიფტით ჩაიწერეს კიჩეს ხალხის წმინდა წიგნი „პოპოლ-ვუხი“. სამწუხაროდ, მისი ორიგინალი დაიკარგა და შემორჩა მხოლოდ ლათინური ტრანსკრიფცია. ხელნაწერი, როგორც აღვნიშნეთ, XVIII საუკუნეშია ჩაწერილი.

*მომზადებულია
„ასოშიეთოდ პრესის“ მიხედვით*



მიჩიგანის ტბის ფსკერზე ჩაძირული 500-მდე გემიდან ერთ-ერთმა დღის სინათლე იხილა. 100 წლის წინ ძლიერი ქარიშხლისას დაღუპული ნიშბიანი ხომალდი ყინულის ვით ცოვ ტბის წყალს კარგად შეუნახავს. როგორც წყალქვეშა არქეოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტი ბრენდონ ბეილოდი აცხადებს, შესაძლოა ეკიპაჟის წევრთა სხეულის ნაშთებსაც მიაკვლიონ (კატასტროფის დროს ხომალდზე 17 კაცი იმყოფებოდა). მისივე თქმით, საუკუნის წინ ჩაძირული L.R. Doty-ი ყველაზე დიდი ხის ხომალდია, რომელიც მას ოკეანის თუ



აშშ-ში 100 წლის წინ ჩაძირულ ხომალდს მიახვნიეს

ტბის ფსკერზე უნახავს. ამ ხომალდის სიგრძე 91 მეტრია. არქეოლოგები L.R. Doty-ის ზედაპირზე ამოტანას არ

აპირებენ, რადგან ჰაერზე შესაძლოა ხის ხომალდი უფრო დაზიანდეს.

EURONEWS

როგორ „იყენებდნენ“ დინოზავრები გრძელ კისარს?


მეცნიერებმა გიგანტური დინოზავრების გრძელი კისრის დანიშნულება დაადგინეს. სამეცნიერო პორტალი ScienceNOW ჟურნალ Biology Letters-ში გამოქვეყნებული კვლევის საფუძველზე წერს, რომ ზავროპოდები ყველაზე დიდი ცხოველები იყვნენ იმათ შორის, რომელთაც კი დედამიწაზე ოდესმე უცხოვრიათ. მათი სიგრძე საშუალოდ 30 მეტრი იყო, ზოგიერთის კი

58-მდეც აღწევდა. ხოლო მათი კისრის მაქსიმალური სიმაღლე 9-11 მეტრს აღწევდა. ახალი კვლევის ავტორებმა მათემატიკური მოდელების გამოყენებით გამოთვალეს, რომ მაღალი კისერი, რომლითაც გიგანტები მათგან საკმაოდ დაშორებული საკვების იოლად მოპოვებას ახერხებდნენ, მათ ენერჯის 80%-ის დაზოგვის შესაძლებლობას აძლევდა. კისერი რომ მოკლე ჰქონოდათ, უზარმაზარი სხე-

ულით სრულად გადაადგილება მოუხდებოდათ. მკვლევრებმა ზავროპოდები ძველი სისტემის მტვერსასრუტსაც კი შეადარეს, რომელიც მასიური აპარატისა და გრძელი მილისგან შედგებოდა. მსგავსებას ისიც აძლიერებს, რომ ზავროპოდები საკვებს კი არ ღეჭავდნენ, არამედ შეისრუტავდნენ.

მომზადებულია BBC-ის მასალების მიხედვით

მსოფლიოში უძველესი ფასიანი ქალაქი



ჰოლანდიელმა სტუდენტმა ქალაქ ჰორნის არქივში მსოფლიოში უძველესი ფასიანი ქალაქი — აქცია აღმოაჩინა. იგი 1606 წლის 9 სექტემბრით თარიღდება. ფასიანი ქალაქი ჰოლანდიის ოსტინდოეთის კომპანიას ეკუთვნის, რომელმაც მსოფლიოში პირველმა დაიწყო აქციების გამოშვება. გარდა იმისა, რომ მსოფლიოში უძველესია, ფასიანი ქალაქი ისტორიკოსებისთვის საინტერესოა იმ ჩანაწერების გამოც, რომელიც დოვიდენდების გაცემას ეხება. ფასიანი ქალაქი ამჟამად ჰორნში, ოსტინდოეთის კომპანიის ექსპოზიციაზეა წარმოდგენილი, შემდეგ კი სარესტავრაციოდ გადააგზავნიან.

ყოველ პარასკევს,
 ჟურნალ „საბავშვო ქარუსელთან“ ერთად,
 გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიების
 თითო წიგნი!



მალე!

დიდი ქართველების
 ბიოგრაფიები.
 პირველი ტომი -
ვახტანგ გორგასალი

წიგნის ფასი: 2.50
 (ჟურნალთან ერთად 3.50)



**გამოჩენილი
 ადამიანების ბიოგრაფიები**

წიგნების სერია ბავშვებისთვის



ჩილა – ყვაცაზა ბანიეჩიფიტიანი ფინიჯიის სამშობლო?



პალეონტოლოგებმა მიაკვლიეს ფრინველის ნაშთებს, რომლის გაშლილი ფრთების სიგანე აქამდე ნაპოვნ ყველა ფრთოსნისას აღმატება.

ახალ სახეობას მეცნიერებმა *Pelagornis chilensis*-ი უწოდეს. ფრინველები თანამედროვე ჩილეს ტერიტორიაზე 5-10 მლნ წლის წინ ბუდობდნენ. მათი გაშლილი ფრთების სიგანე 5,2 მეტრს აღწევდა, თუმცა წონა სულ რაღაც 32 კილოგრამს შეადგენდა, მაშინ, როდესაც მოასს სახეობა, რომელიც აბო-

რიგენმა მათგან XVI საუკუნის დასაწყისში გაანადგურეს, 250 კილოგრამს იწონიდა.

მეცნიერთა აზრით, ფრთების ასეთი სიგანე ფრინველებს საშუალებას აძლევდა დიდხანს ელევლიათ ოკეანის თავზე და მელუზებსა და თევზებზე სანადიროდ შორს ეფრინათ. თუმცა, ფრთების ასეთ ზომას უარყოფითი მხარეც ჰქონდა. მათი ზრდის დასრულებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდებოდა და უზარმაზარ ფრთიან ბარტყებს მტაცებ-

ლები იოლად იჭერდნენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნუსხულია ფრინველები, რომელთა გაშლილი ფრთების სიგანე 6 მეტრს აღმატებოდა. თუმცა ამ სახეობათა ჩონჩხის მხოლოდ ფრაგმენტებია ნაპოვნი და შესაბამისად, შეფასება შესაძლოა გადაჭარბებული იყოს. *Pelagornis chilensis*-ის შემთხვევაში კი მეცნიერებს ხელთ აქვთ ჩონჩხი, რომლის 70% შემონახულია.

Vertebrate Paleontology

ვინ როგორ ადგენს ვიკინგების სამხედრო მარშრუტს

განძის მაძიებელმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, ესტონეთში, ჰარიუმის მხარეში, მიტოვებულ ველზე ვიკინგების საცავი აღმოაჩინა. საცავში 1312 ვერცხლის მონეტაა.

მონეტების უმეტესობა სხვადასხვა გერმანულ ზარაფხანაშია მოჭრილი. გვხვდება ასევე ბრიტანული, დანიური,

შვედური, უნგრული და არაბული მონეტებიც. საცავში ერთ იტალიურ და ორ ჩეხურ მონეტასაც მიაკვლიეს.

მონეტები მიწაში ჩამარხული იყო თიხის ქოთნით. ვიკინგები ასეთ ხერხს ხშირად მიმართავდნენ.

ძველ სკანდინავიელებს სწამდათ, რომ ნაალაფარ მონეტებში მათი მომპოვებლის იღბალი „გროვდებოდა“. ამდენად ამ მონეტებს ერთგვარი თილისმის ფუნქციის შესრულებაც შეეძლოთ.

ამგვარ საცავებში აღმოჩენილი მონეტების წარმომავლობის მიხედვით შესაძლებელია ვიკინგების სამხედრო და სავაჭრო მარშრუტების განსაზღვრა.

გაზეთი *Maaleht*-ი (ესტონეთი)




ამერიკის „კოლონიზაციის“ ახალი თეორია

თეორია, როგორ მოხდა ადამიანის დასახლება ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ბოლომდე გაცამტვერებულია. ყოველ შემთხვევაში, ანთროპოლოგთა ნაწილი ასე მიიჩნევს.

სამეცნიერო ჟურნალი *Science* წერს, რომ არქეოლოგებმა ტექსასში ქვის ათასობით იარაღი აღმოაჩინეს, რომელთა ასაკი დაახლოებით 15 ათასი წელია. ის გაცილებით ძველია ტექსოლოგიებზე, რომელსაც ამერიკის კონტინენტის პირველმოსახლეები იყენებდნენ.





ბუჩინის სუდაჩის საიდუმლო

იტალიის ქალაქ ტურინში, საკათედრო ტაძარში ინახება ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე — სუდარა, რომელშიც იესო ნაზარეველი გაახვიეს გარდაცვალების შემდეგ.

თანამედროვე ღვთისმეტყველები სუდარას „მეხუთე სახარებას“ უწოდებენ, რადგან მასზე სასწაულებრივად და აღბეჭდილი ის ვნებანი, რომელიც მაცხოვარს ჯვარცმისას მიანიჭეს.

გადმოცემის თანახმად, სუდარა თავდაპირველად წმინდა პეტრე მოციქულთან ინახებოდა, შემდგომ კი გადაეცემოდა მოციქულებს. ქრისტიანების დენის დროს სუდარას ძალადუნენ, რადგან იუდეველები და რომაელები ქრისტიანული რელიკვიების განადგურებას ცდილობდნენ. ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ სუდარა ჯერ კონსტანტინეპოლში, V საუკუნიდან კი ვლადქერნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ბაზილიკაში დააბრძანეს.

ხატმებრძოლობის დროს სუდარა იერუსალიმში გადაიტანეს, შემდეგ კი უკან დააბრუნეს. 1204 წელს ჯვაროსნებმა დაარბიეს ბიზანტია. სუდარა საუკუნე-ნახევრის განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა.

1355 წელს სუდარა გრაფ გოტფრიდ I-ის საკუთრება გახდა, რომლის შვილიშვილმაც დღემდე გაურკვეველი მიზეზების გამო სუდარა ლუდოვიკო საუოიელის მეუღლეს გადასცა. ლუდოვიკოს ვაჟმა ამაღეი IX-მ სუდარის შესანახად საგანგებო ეკვდერის აგება ბრძანა. 1578 წელს საუოიის ჰერცოგმა ემანუელ ფილიბერტმა და მისმა მეუღლემ სუდარა თავიანთ ციხესიმაგრეში გადაიტანეს, სადაც წმინდა იოანე ნათლისმცემლის ტაძართან მარმარილოს ეკვდერი ააგეს. სუდარა სპეციალურ ვერცხლის ზანდუკში ინახებოდა. დღეისთვის სუდარას ტყვიაგაუმტარი მინა იცავს, ასევე საგანგებო აპარატი.

1898 წლის 25 მაისს ტურინის რელიგიური ხელოვნების ნიმუშთა გამოფენაზე გამობრძანდა-



ტურინის სუდარის შესწავლისას მეცნიერთა მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი



ნებული სუდარა ტურინელმა ადვოკატმა და მოყვარულმა ფოტოგრაფმა სეკონდო პიამ გადაიღო და დაბეჭდა ორი ფოტო დიდი ზომის ფურცლებზე (50X60 სმ). ფირის გამჟღავნებისას კი მოხდა იმ დროისთვის მეცნიერულად აუხსნელი და წარმოდგენელი მოვლენა: ნეგატივზე გამოჩნდა მშვიდი და კეთილშობილი მამაკაცის ფოტოგამოსახულება. სწორედ ამან დაუდო სათავე ტურინის სუდარის მეცნიერულ შესწავლას, რომელიც XX საუკუნიდან რამდენიმე მიმართულებით გაიშალა. პირველ რიგში ყურადღება მიექცა სუდარის აუთენტიკურობის დადგენას. ექსპერიმენტებმა დაადასტურეს, რომ ეს არის ძალიან ძველი და განსაკუთრებულად ნაქსოვი ტილო, რომელიც მზადდებოდა მხოლოდ I საუკუნემდე, იგი პალესტინელებისთვის დამახასიათებელი წესითაა დამზადებული. ძაფი თითისტარზეა დახვეული და ძველი წესისამებრ გათეთრებული. ნაქსოვია ნაძვისებურად. მის ბოჭკოებში შეინიშნება ბამბა. ეს გვიჩვენებს, რომ სუდარა ახლო აღმოსავლეთში იყო დამზადებული.

1973 წელს შვეიცარიელ კრიმინოლოგ მაქს

ფრეის ნება დართეს, ლაბორატორიული ანალიზისთვის სუდარიდან მტკვერი და სხვა ნაწილები აედო. წმინდა სუდარაზე აღმოჩნდა 58 ტიპის ყვავილის მტკვერი. თავდაპირველად ექსპერტმა ვერ ამოიცნო ისინი, რადგანაც ასეთი მცენარეები ევროპაში არ ხარობენ. ფრეიმ შვიდჯერ იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთში და 1978 წელს დაადგინა, რომ 58 ტიპის ყვავილიდან 13 იზრდება პალესტინის უდაბნოში და მკედარი ზღვის მიდამოებში, 20 — სამხრეთ-დასავლეთ თურქეთსა და ჩრდილოეთ სირიაში, 16 სახეობა ეკუთვნის ისეთ მცენარეებს, რომლებიც იზრდებიან სხვადასხვა ადგილას, ევროპის ჩათვლით. დოქტორ ფრეის აზრით, სუდარამ „მოიარა“ ძველი პალესტინა, ასევე ძველი ედესა და კონსტანტინოპოლი.

მოგვიანებით ფრანგმა პროფესორმა ვანგერმა სუდარაზე სხეულის გარშემო იპოვა 28 სახეობის ყვავილის ანაბეჭდი. 20 მათგანი ხარობს იერუსალიმში, ხოლო რვა — იერუსალიმიდან 12 მილის შემოგარენში. ყვავილობენ მარტსა და აპრილში. ეს ზუსტად აღდგომის პერიოდს ემთხვევა. 1995 წელს ზემოთქმული დაადასტურა იერუსალიმის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბოტანიკოსმა კოსმა დენინმა.

ძალიან საინტერესო იყო საკითხის ნუმიზმატიკური ასპექტი კვლევა. საქმე ის არის, რომ 1931 წელს ფრენსის ფილასმა ჩიკაგოს ლიოილას უნივერსიტეტიდან სუდარაზე თვალეების არეში შენიშნა ორი ჭიკარტის მაგვარი საგანი. ეს მონეტებია. ებრაული ტრადიციით, მიცვალებულს თვალეებზე ადებდნენ მონეტებს, რათა არ გახელოდათ.

მონეტები მოჭრილია იუდეის პრეფექტის, პილატე პონტოელის დროს, 29-30 ან 30-31 წლებში. ამიტომ ამ მონეტებს „პილატეს ბისტი“ ეწოდება. მონეტების წარწერებში დაშვებულია გრამატიკული შეცდომები. სიტყვებში „ტიბერიუსი“ და „იმპერატორი“ ლათინური და ბერძნული ასოებია აღრეული. თავდაპირველად ეს მეცნიერებს აბსურდული ეგონათ, მაგრამ კერძო კოლექციებში მოძიებულ მონეტებზე იგივე შეცდომები იპოვეს.


მეცნიერთა აზრით, ამის მიზეზი ის არის, რომ მონეტების უმრავლესობა პროვინციებში იჭრებოდა და საკმაოდ უხარისხოდაც. აღსანიშნავია ისიც, რომ 1979 წელს, გათხრებისას ერთ-ერთ ებრაულ საფლავში, თავის ქალაში იპოვეს ორი მონეტა, მოჭრილი 44-45



გამოსახულება სუდარაზე. ნევატივი



მეცნიერების მიერ სუდარის შესწავლის პროცესი



სუდარაზე არსებული გამოსახულებიდან კომპიუტერული ანალიზით აღდგენილი ვარიანტები

წლებში. მათზეც იგივე გრამატიკული შეცდომები აღმოჩნდა.

განსაკუთრებული ინტერესით სწავლობენ მაცხოვრის ტანჯვის ამსახველ მასალებს. XX საუკუნის 30-იან წლებში ცნობილი იტალიელი ფოტოგრაფის, ჯუზეპე ენრის მიერ გადაღებულ ფოტოზე დაკვირვებისას, სამხედრო ქირურგმა პიერ ბარბემ (იგი ათეისტი განლდით და სუდარაზე ჩატარებული კვლევების შემდეგ ღმერთის არსებობა აღიარა) შენიშ-

ნა, რომ სამსჭვალეები ხელის სახსრის ზედა ნაწილზეა მოთავსებული.

რომაელმა ჯარისკაცებმა გამოცდილებით უკვე იცოდნენ, რა ადგილას უნდა მოხვედრილიყო სამსჭვალე, კერძოდ, ხელის სახსრის ორ დიდ ძვალს შორის. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლო სხეულს ჯვარზე გაჩერება. თუმცა ეს აუტანელ ტკივილს უკავშირდებოდა.

ჯვარზე აღსრულების სისასტიკე ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, რა სახით აცვამდნენ ჯვარს. ჯვარზე გაკერის რამდენიმე ვარიანტი არსებობდა. პირველი ვერსიით, ჯვარცმულს ხშირად კიდურებს თოკით უმაგრებდნენ. მეორე ვერსიით, მხოლოდ ხელებით აცვამდნენ ჯვარს. ამ დროს ხელები ძალიან დაჭიმული იყო და ჯვარცმულს სუნთქვა უჭირდა. მესამე ვერსიით, სიკვდილმისჯილი ქვედა და ზედა კიდურებით იყო მიმსჭვალული. ხშირად ფეხების ქვემოთ საყრდენ ფიცარს აჭედებდნენ. მეოთხე ვარიანტი გულისხმობდა ჯვარცმას ყოველგვარი საყრდენის გარეშე. იმ დროს ჯვარცმისთვის გათვალისწინებული იყო მაღალი და დაბალი ჯვრები. ჯვრის სიდაბლის გამო ჯვარცმულს ხშირად მხეცები გლეჯდნენ. მაცხოვრის ჯვარცმისთვის მაღალი ჯვარი შეარჩიეს, რათა მისი დასჯისთვის ყველას ეცქირა.

მკვლევართა ინტერესს ასევე იწვევს ის, თუ როგორ აისახა ეს ყველაფერი სუდარაზე თითქმის დეტალურად.

მაცხოვრის სხეულის ანაბეჭდის სუდარაზე გადასვლის შესახებ რამდენიმე ჰიპოთეზა არსებობს:

მეცნიერებს თავდაპირველად სუდარა პროფესიონალი მხატვრის მიერ შესრულებული ტილო ეგონათ. გაჩნდა მოსაზრება, თითქოს სუდარა ლეონარდო და ვინჩიმ მოხატა. ზემოთ ჩამოთვლილმა გამოკვლევებმა კი ცხადყო, რომ სუდარაზე საღებავის კვალი არსად შეინიშნება. სხვათა შორის, ეს ფაქტი 1984 წელს საბჭოთა ათეისტურმა ჟურნალმაც დაადასტურა.

ქრისტეს სხეული თხის რძით განბანეს და სუდარაზე რძემ სხეულის უხილავე ანაბეჭდი დატოვა, რომელიც ხანძრის დროს გამომჟღავნდა.

აგონიისას სხეული დიდი რაოდენობით გამოყოფს ამიაკურ ორთქლს, რამაც ხელი შეუწყო მაცხოვრის გამოსახულების აღბეჭდვას.

ამ ვერსიას მეცნიერები პირობითად „ცეცხლოვან სხეულს“ უწოდებენ. 1988 წლის



ტურინის სუდარაზე გამოსახული სახის მხატვრული რეკონსტრუქცია

გამოკვლევებით აღმოჩნდა, რომ სისხლის ლაქები სუდარაზე უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე სხეული გამოისახებოდა. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ სისხლის წვეთები კონტაქტში იმყოფებოდა სხეულთანაც და სუდარასთანაც. რეალური იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ გამოსახულება სასწაულის შედეგად გაჩნდა. კონკრეტულად უფლის აღდგომისას.

მეცნიერთა აზრით, აღდგომა მოხდა ცეცხლოვანი სხეულით, ღვთაებრივი ძალითა და ენერჯით და ამ სხეულმა დატოვა სუდარაზე ხელთუქმნელი გამოსახულება.

ცეცხლის შეხებამ ბოჭკოებში ქიმიური ცვლილებები გამოიწვია და გაამჟუჟა, მაგრამ ეს ცეცხლი არ განვრცობილა ფიზიკის კანონის თანახმად. მეცნიერები ამ ცეცხლს უკავშირებენ მაცხოვრის საფლავზე გარდამოვალ ე.წ. „ზეციურ ცეცხლს“. არგუმენტად მოაქვთ ის ფაქტი, რომ ზეციური ცეცხლი თავდაპირველად მხოლოდ პატრუქს უკიდია და ფიზიკის კანონებს არ ემორჩილება. გასათვალისწინებელია, რომ მეცნიერებს ისეთი მოვლენების შესწავლა უხდებათ, რომელთა გამეორებაც თავიანთ ლაბორატორიებში არ ძალუძთ.

ქრისტესმობის 2000 წლისთავისთვის მოწყობილი კიდევ ერთი გამოკვლევა, რომელშიც მეტი სანდოობისთვის ოქსფორდის, ბაზელისა და არიზონის უნივერსიტეტთა პროფესორები მონაწილეობდნენ. მათ კიდევ ერთხელ დაა-

დასტურეს და ზოგიერთი ახალი არგუმენტით შეავსეს მანამდე არსებული მოსაზრებები. რადიკალურად უარყოფილია მიგელ დე საიტოს თვალსაზრისი (1998 წ.) სუდარის დახატვასთან დაკავშირებით.

2008 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორებმა ქრისტოფერ რამსის ხელმძღვანელობით სუდარა გამოიკვლიეს, რამაც რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის დასკვნები გაამყარა. კერძოდ, შეისწავლეს ადამიანის სისხლის ლაქები, აღმოაჩინეს მისი კომპონენტები: ჰემოგლობინი, ბილირუბინი და ალბუმინი. ამ უკანასკნელის მომატებული რაოდენობა მიუთითებს, რომ ადამიანი გარდაიცვალა სტრესულ მდგომარეობაში, წამებისას. ლეიკოციტებში ქრომოსომათა განლაგებით განისაზღვრა მამრობითი სქესი და კიდევ ერთხელ დადასტურდა ინფორმაცია სისხლის IV ჯგუფის შესახებ. 2008 წელსვე მეცნიერებმა სუდარის უზუსტესი ციფრული ფოტოს შექმნა შეძლეს, რაც ქმნის შესაძლებლობას, დავინახოთ ქრისტეს გამოსახულების უმცირესი დეტალებიც კი. დაგეგმილია ამ ფოტოს ინტერნეტში განთავსება.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ ტურინის სუდარა ერთ-ერთ უდიდეს ქრისტიანულ სიწმინდეს წარმოადგენს, რომლის მრავალმხრივმა მეცნიერულმა შესწავლამაც მისი ნამდვილობა დაადასტურა.

მიხეილ ქართველიშვილი

აღდგომა



წლეულს მართლმადიდებელი სამეარო 24 აპრილს აღნიშნავს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. 21-ე საუკუნეა, წამებული იესოს მკვდრეთით აღდგომას ულოცავენ ერთმანეთს ქრისტიანები. აღდგომის დღესასწაულს არაერთი საინტერესო ტრადიცია უკავშირდება. ამჯერად თვალის ერთი გადავლებით მიმოვიხილავთ ამ ტრადიციებსა და სიმბოლოებს...

რატომ არის მოძრაში აღდგომის დღესასწაული

მოსეს მიერ ებრაელთა ეგვიპტის ტყვეობიდან გამოყვანას, ანუ პასექს — გაზაფხულის ბუნიობის დღეს ზეიმობს ებრაელი ერი. ამავე, მთვარის აგსების დღეს აცვეს ჯვარს იესო ქრისტე, მესამე დღეს კი, კვირას, უფლის საფლავთან გამთენიას მისულ მენელსაცხებლე დედებს ღვთის ანგელოზმა ახარა: „ნუ გეშინინ თქვენ, რამეთუ იესოს ნაზარეველსა ჯვარცმულსა ეძიებთ. არა არს აქა, რამეთუ აღდგა... და ადრე წარ-

ვედით, და უთხარით მოწაფეთა მისთა, ვითარმედ: აღდგა მკვდრეთით და აჰა, წინ მიგიძღვით გალილეისკენ“. თავდაპირველად აღდგომა ებრაელთა პასექს ემთხვეოდა, შემდგომ კი ეკლესიის დადგენილებით, უფლის აღდგომა მთვარის აგსების პირველივე კვირადღეს აღნიშნება და მოძრაიც ამიტომ არის.

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა! — ასე ესალმებიან ერთმანეთს ქრისტიანები აღდგომიდან ამაღლებამდე, 40 დღის განმავლობაში და ამით იმ ნეტარ 40 დღეს აღნიშნავენ, მკვდრეთით აღმდგარმა იესომ რომ გაატარა თავის მოწაფეებთან.

წითელი კვერცი

როცა წმინდა მარიამ მაგდალინელი რომის იმპერატორ ტიბერიუსს წარუდგინეს, მან ქვეყნის მმართველს სიმბოლური საჩუქარი, კვერცი გადასცა და ახარა: — ქრისტე აღდგა!. „ამის დაჯერება ისევე ძნელია, როგორც ამ კვერცხის გაწითლება“ — ჩაიღიმა იმპერატორმა და სიტყვა არც დაესრულებინა, რომ კვერცი ჯერ გავარდისფრდა, ბოლოს კი გა-

წითლდა. განცვიფრებულ ტიბერიუსს მარიამმა მოუთხრო იესო ქრისტეს ცხოვრებაზე, ჯვარცმასა და მკვდრეთით აღდგომაზე. ისიც აუწყა, რომ კვერცი სიცოცხლის სიმბოლოა, წითელი კვერცი — მაცხოვრის აღდგომისა და იმაგდროულად, ქრისტიანისთვის საუკუნო სიცოცხლის მინიჭებისა. თუ ნაჭუჭი ჩვენი მიწიერი სხეულივით არ დაირღვა, ისე მისგან ახალი სიცოცხლე არ გამოვა. თუ არ მოკვდა, ვერც ჩვენი სხეული იშვება ხელახლა...

ეს გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა ერთმანეთისთვის წითელი კვერცხით მიელოცათ, რაც პირველ ყოვლისა იმას შეგვახსენებს, რომ იესომ წმინდა სისხლით გამოგვისყიდა ცოდვისა და სიკვდილის მონებისგან.

კვერცხის შეღებვის ტრადიცია წითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს უკავშირდება. კვერცხს აუცილებლად მზის ჩასვლამდე ღებავენ, რისთვისაც ჩვენთან უმთავრესად ბუნებრივ საღებავს, ენდროს იყენებენ და ზოგჯერ წითელი ხაზვის ფურცელსაც უმატებენ. რაოდენობა არაუადრე ვიდრე ოთხი, არც ის, აუცილებლად კენტი ან ლუწი რიცხვის კვერცხი უნდა შეიღებოსო.

ჯეჯილი, პასქა და წითელი მამალი

ქრისტიანები შუა მარხვისას თესვენ ქოთნებსა თუ ლარნაკებში ხორბალს და სააღდგომოდ

მოდ მწვანე ჯეჯილზე გაგორებული წითელი კვერცხით რთვენ სუფრას. ეს სიცოცხლისა და სიკვდილითა სიკვდილის ძლევის სიმბოლოა.

„მე ვარ პური ზეცით გარდამოსული“ — ამბობს უფალი. სააღდგომოდ გამომცხვარი პასქა (ტკბილი პური) სწორედ უტკბილეს მაცხოვარს გვახსენებს, კრავის ფორმის პასქა კი ასევე იესო ქრისტეს, ანუ საპასექო კრავს.

მსოფლიო ფოლკლორში დღესაც ცოცხლობს ამბავი წითელი მამლისა. ამ ამბავს რაჭაში დღესაც ასე ჰყვებიან: „ებრაელებს არ დაუჯერებიათ მაცხოვრის აღდგომა. მამალს ხარშავდნენ თურმე ქვაბში და კეცებში პურს აცხობდნენო.“

როგორც ამ კეცებში პური ჯეჯილად ვერ იქცევა, ხოლო ეს მონარშული მამალი ვერ გაცოცხლდება, ისე ვერ აღდგებოდა ქრისტეო, — უთქვამთ და... მამალი მაშინვე ქვაბიდან ამომხტარა და დაუყვილია, ხოლო კეცებში პური ჯეჯილად ქცეულა“.

აღბათ ამიტომაც მიჰყავთ სააღდგომო შესაწირავად ეკლესიებში წითელი მამალი.

ვინ როდის მიღის ეკლესიაში თუ საფლავზე

შაბათს, ღამის 12 საათიდან იწყება ბრწყინვალე აღდგომის ცისკარი. „აღდგომასა შენსა ქრისტე მაცხოვარო...“ — გალობენ ეკლესიებში, რომლის გარშემოც მოხეიმიანი ხატებითა და ანთებული სანთლებით სამგზის შემოივლიან...



ფრიდონ ბაგვაშიძის ფოტო



სოფლებში უმთავრესად კვირა დღით მიდიან ეკლესიაში. ზოგს, როგორც ზემოთ ვთქვი, წითელი მამალი მიჰყავს შესაწირავად, ზოგსაც წითელბაფთაშებშული ცხვარი ან ბატკანი.

აღდგომა ზომ უდიდესი სიხარულისა და ზეიმის აღმნიშვნელია, ამიტომ მიაჩნიათ, რომ მას გლოვა არ უხდება. თუმცა კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოსახლეობის ერთი ნაწილი ამ დღესაც მიდის თავიანთ ახლებელ-ნათესავთა საფლავებზე, წითელ კვერცხს გადააგორებენ, სანთელს აანთებენ, პასქას გაჭრიან, ჭიქა ღვინოს წაუქცევენ გარდაცვლილთა სულის მოსახსენებლად. მეორე ნაწილი კი ორშაბათს, ბრწყინვალე შვიდეულის პირველ დღეს მიდის სასაფლაოზე.

თავდაპირველად მორწმუნეც კვირაობით მიდიოდა საფლაოზე, რადგანაც ძველად ეკლე-

სიები უმეტესწილად სასაფლაოზე ან მის გვერდით იყო...

აღდგომას რომ ცრემლი არ უხდება, ეს იმიტაც დასტურდება, რომ აღდგომის შემდეგ მთელი ერთი კვირა ეკლესიებში მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელ პანაშვიდებს არ აღავლენენ.

ჩვენს ეკლესიაში ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათსაა დაწესებული საფლავების კურთხევა. მიცვალებულთა საფლავები ასევე იკურთხება ბრწყინვალე შვიდეულის მომდევნო ორშაბათს.

სააღდგომო ზედაშუ და ჭონა

საქართველოში საგანგებოდ წურავდნენ სააღდგომო ღვინოს, ანუ ზედაშეს. იგი აუცილებლად წითელი უნდა ყოფილიყო. წითელი ფერი ზომ წამებული ქრისტეს სისხლს უკავშირდება. ეს ტრადიცია ერთიხანობა მიიფიქვს, ბოლო წლებში კი ისევ იწურება სააღდგომო თუ სამობაო ზედაშე...

ხალხური ტრადიციით აღდგომას ჭონათი ულოცავდნენ ერთმანეთს ჩვენი წინაპრები. საგანგებოდ მოწნული კალათებით დადიოდნენ როგორც ბავშვები და ახალგაზრდები, ასევე ჭარმაგებიც. საგანგებოდ მოირთუებოდნენ, ზოგჯერ ნიღბებსაც მოირგებდნენ და სიმღერით ჩამოუვლიდნენ მეზობელ-მოკეთებს.

ალათასა, ბალათასა,
ხელი ჩავკარ კალათასა,



**დღე ერთი კვერცხი მომე,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა...
ჭონააა!..**

ისმონდა აღდგომის ღამეს. შეიძლება ეს მისალოცი ტექსტი შეეცვალებოდა კიდევ, თუმცა კი უცვლელი იყო სიხარული, რომლითაც ერთმანეთს ულოცავდნენ აღდგომის გათენებას.

სააღდგომო სუფრა

აუცილებლად მრავალფეროვანი უნდა იყოს. შეჭირვებული ოჯახებიც კი ცდილობენ, სააღდგომო სუფრას არაფერი დააკლონ. ზოგ კუთხეში სააღდგომოდ ღორსაც კლავენ, წითელ მამალსაც... სუფრის შუაში პასქა და წითელი კვერცხებით მორთული მწვანე ჯეჯილიანი სინი უნდა იდოს, ასევე აუცილებლად თვლიან მოხარულ თევზს, ლორს, რიტუალურ პურებს, აღმოსავლეთ საქართველოში ნაზუქებს. სუფრას ასევე ამშვენებს ეროვნული კერძები, ტკბილეული, ხილი და, რაღა თქმა უნდა, ზედაშე!

ძირითადად ქათმის კვერცხს ღებავენ, თუმცა პატარები თავს ციცრის კვერცხებით იწონებენ, რომლის გატეხვაც არც ისე იოლია. ამიტომაც ბაზარში „ციცხლის ფასი“ ადევს წინასააღდგომოდ ციცრის კვერცხს...

არტოსი

არტოსს (ბერძნ. პური) წინასააღდგომოდ აცხობენ ეკლის გვირგვინიანი ჯვრით ან აღდგომის გამოსახულებით, ნიშნად იმისა, რომ იესო აღდგომის შემდეგ თავის მოწაფეებს ეცხადებოდა და მათთან ტრაპეზობდა.

მაცხოვრის ამადლების შემდგომ მისი მოწაფეები იესოს სკამზე არ სხდებოდნენ, მაგიდაზე კი მისთვის განკუთვნილ პურს — არტოსს ღებდნენ. დღეს, ეკლესიაში არტოსის პურს მაცხოვრის ხატის წინ ალაგებენ პატარა მაგიდაზე და ეს პურები აქ რჩება ბრწყინვალე შეიდეულის დღეებში. კვირაცხოვლობას კი, არტოსის განტეხის ლოცვის შემდგომ პურს მორწმუნეებს ურიგებენ. არტოსს მორწმუნენი მთელი წლის განმავლობაში ინახავენ, განსაცდელის ჟამს კი უზმოზე იხმევენ მის მცირე ნაწილს.

„აღდგომა სჯობს ნამიანი“

თუ აღდგომას წვიმამ გამოურია, იმ წელს უხვი მოსავალი გვექნებაო, — ამბობდნენ ხალხში და წვიმის წამოსვლისას უფალს მადლობას სწირავდნენ.

ისღა ღაგვრჩენია, ნამიანი აღდგომის დღე



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სააღდგომო წირვისას

ეუსურვით ჩვენს მკითხველს და ბრწყინვალე დღესასწაულიც მივულოცოთ.

ქრისტე აღდგა!..
ტეშმარიტად აღდგა!..

ნოდარ ზოზიბაშვილი



ფრიდონ ბავაშვილის ფოტოვაკი

ბოლო დროს მთელი მსოფლიოს ყურადღება ახლო აღმოსავლეთისკენა მიპყრობილი. ამ რეგიონში მიმდინარე მოვლენები ალბათ მოსალოდნელიც იყო, მაგრამ მასშტაბებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ერთმანეთის მიყოლებით საპროტესტო ტაღლაძე გადაუარა ტუნისს, ეგვიპტეს, იემენს, ბაჰრეინსა და ლიბიას. შედეგი ყველგან ერთნაირი არ ყოფილა. ეგვიპტესა და ტუნისში პრეზიდენტები გადადგნენ, ბაჰრეინსა და იემენში კი ქვეყნის მეთაურები პოსტებს ჯერჯერობით ინარჩუნებენ.

ყველაზე დრამატულად მოვლენები ლიბიაში წარიმართა. ამას თავისი გამოძწევნი მიზეზები აქვს, რომელთაგან უმთავრესი ალბათ ქვეყნის პრეზიდენტის მუამარ მუჰამად ალ-კადაფის პიროვნებაა. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს თვალის გადავლება ამ ქვეყნის წარსულისა და ახლანდელი მდგომარეობისთვის.



„კარვის კასი“ ანუ ვინ არის მუამარ კადაფი

ნავთობსამეფო

ლიბია ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარეობს. მისი ფართობი 1 759 541 კვკმ-ია. ამ მაჩვენებლით ქვეყანა მეჩვიდმეტეა პლანეტაზე, მოსახლეობის რაოდენობით კი (6,42 მლნ ადამიანი) მხოლოდ 105-ე ადგილს იკავებს. დედაქალაქ ტრიპოლიში 1,065 მლნ მცხოვრებია. ლიბიას ექვსი ქვეყანა: ტუნისი, ალ-ჟიბი, ნიგერი, ჩადი, სუდანი და ეგვიპტე ესაზღვრება.

ლიბიის მთავარი სიმდიდრე ნავთობია, რომლის ექსპორტს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ახდენდა. 2010 წლის იანვრის მონაცემებით, ლიბიიდან ექსპორტირებული ნავთობის მომხმარებელი ქვეყნები პროცენტულად ასე

ნაწილდება: 1. იტალია 28%; 2. საფრანგეთი 15%; 3. ჩინეთი 11%; 4. გერმანია 10%; 5. ესპანეთი 10%; 6. საბერძნეთი 5%; 7. გაერთიანებული სამეფო 4%; 8. ამერიკის შეერთებული შტატები 3%; 9. სხვა ქვეყნები 14%.

სწორედ ამიტომ, ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი მკვეთრად გაიზარდა. გავრცელებული ინფორმაციით, ამჟამად ლიბიიდან მოპოვებული ნავთობის მხოლოდ 3%-ის ექსპორტირება ხდება. სხვა მონაცემებით კი ნავთობის ექსპორტი ქვეყანამ საერთოდ შეწყვიტა. მსოფლიო ბაზარზე არსებული დეფიციტის შევსებას სხვა ქვეყნებში ნავთობის მოპოვების გაზრდითაც შეეცადნენ, მაგრამ, მიუხედავად

ამისა, ბარელი ნავთობის ფასმა 110 აშშ დოლარს გადააჭარბა...

1949 წლის 21 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება ლიბიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შესახებ. დამოუკიდებლობის აქტის შესამუშავებლად ლიბიელებს დრო 1952 წლის 1-ელ იანვრამდე მიეცათ. 1951 წლის 24 დეკემბერს ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ლიბია მონარქიად გამოცხადდა. ტახტი დაიკავა წარსულში ლიბიელთა წინააღმდეგობის ლიდერმა იდრის I-მა. ის იყო ლიბიის პირველი და უკანასკნელი მონარქი. მის დროს ქვეყანაში კონსტიტუციის მოდელი შემუშავდა. ლიბიელები მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილების განიარებას შეეცადნენ. კონსტიტუციის მე-11 მუხლის მიხედვით, ლიბიის ყოველი მოქალაქე თავისუფალი და თანასწორი იყო მიუხედავად რწმენის, კანის ფერის, ქონებრივი მდგომარეობის, პოლიტიკური თუ სოციალური კუთვნილებისა. ამის მიუხედავად, ლიბია ბოლომდე სეკულარულ სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდა. კონსტიტუციის მე-5 მუხლის მიხედვით ქვეყანაში სახელმწიფო რელიგიად ისლამი გამოცხადდა.


1959 წელს ლიბიაში ნავთობის დიდი მარაგი აღმოაჩინეს, რამაც ამ ქვეყნის მიმართ მსოფლიოს ინტერესი ერთიორად გაზარდა. თითქოს არაფერს უნდა გამოეწვია შემდგომში განვითარებული დაძაბულობა, მაგრამ XX საუკუნის 60-იანი წლები ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა. ეს იყო ნასერის ხმისა და არაბული ნაციონალიზმის პერიოდი, რომელმაც მთელი ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი აფრიკა მოიცვა. ეგვიპტის პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერს მომხრეები ლიბიაშიც გამოუჩნდნენ. მათ შორის გამოირჩეოდა ახალგაზრდა ოფიცერი მუამარ კადაფი. ის ზშირად ჩანდა პრეზიდენტ ნასერის გვერდით და მის იდეებს ერთიანი პანარაბული სახელმწიფოს შექმნის შესახებ (რომელიც ყველა არაბულ ქვეყანასა და ყველა არაბულად მოლაპარაკეს გააერთიანებდა) სავსებით იზიარებდა.

პანარაბიზმის სახელით

მუამარ მუჰამად ალ-კადაფი 1942 წლის 7 ივნისს ლიბიის პატარა ქალაქ სირტის სიახლოვეს უდაბნოში, ბედუინის კარავში დაიბადა. მისი მშობლები ბერბერთა ტომიდან იყ-



ლიბიის მეფე იდრის I



ლიბიის რევოლუციის ლიდერი მუამარ კადაფი. გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისი

ენენ. დაწყებითი განათლება ვაჟთა მუსლიმურ სასწავლებელში მიიღო. საშუალო განათლება კი კერძო მასწავლებლის ზედამხედველობით — ქალაქ მისურატაში. მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული გავლენა იქონია ისრაელის სახელმწიფოს შექმნამ და მისმა გამარჯვებებმა არაბულ სამყაროზე.

1961 წელს კადაფი ბენლაჰის სამხედრო აკადემიაში ჩაირიცხა. გამორჩეულმა სტუდენტმა რამდენიმე არაბ ოფიცერთან ერთად ინგლისის სამეფო სამხედრო აკადემიაში განაგრძო სწავლა. მოგვიანებით ათენის სამხედრო აკადემიაში სწავლობდა.

მის ცხოვრებაზე განსაკუთრებული გავლენა 1967 წლის ისრაელ-არაბების ექვსდღიანმა ომმა მოახდინა. ებრაელთა მიერ არაბული სახელმწიფოების სამ ფრონტზე დამარცხება კადაფისთვის დიდი დამცირება იყო. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა, აქტიურად მიეღო მონაწილეობა ერთიანი პანარაბული სახელმწიფოს შექმნაში. ამის განხორციელების ერთადერთ გზად კი ლიბიაში ხელისუფლების შეცვლა მიაჩნდა.

1969 წლის 1-ელ სექტემბერს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად 27 წლის მუამარ მუჰამად ალ-კადაფი ხელისუფლების სათავეში მოვიდა. მომენტით სათანადოდ იყო შერჩეული. ლიბიის მეფე იდრის I სამკურნალოდ იმყოფებოდა თურქეთში. სწორედ ამ დროს აი-

ღო ამბოხებულთა მცირე ჯგუფმა (რომელიც სულ რამდენიმე ოფიცრისგან შედგებოდა) სამეფო სასახლე ტრიპოლიში და ქვეყანაში ახალი წესრიგის დამყარების შესახებ გამოაცხადა. ლიბიის მონარქს კარგი ურთიერთობა ჰქონდა კადაფის სათავეანებელ გამაღ აბდელ ნასერთან. მისი ხელისუფლების დამხობისა და მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ იდრისმა სწორედ ეგვიპტეს შეაფარა თავი. ლიბიის სახალხო სასამართლომ 1971 წლის ნოემბერში იდრის I-ს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. თუმცა ლიბიის პირველი და უკანასკნელი მეფე 1983 წელს, ღრმად მოხუცებული, 94 წლის ასაკში გარდაიცვალა კაიროში. ის, რომ არაბული სამყარო მას დიდ პატივს სცემდა, იმიტაც დადასტურდა, რომ ლიბიის ყოფილი მონარქი არაბთა ერთ-ერთ ყველაზე საპატიო პანთეონში, საუდის არაბეთის ქალაქ მედინაში ჯანათ ალ-ბაყის მეჩეთში დაკრძალეს. მუამარ კადაფის ხელისუფლებაში მოსვლით კი ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა.

კადაფის მთავარი ოცნება პანარაბული სახელმწიფოს შექმნა იყო. მას მიაჩნდა, რომ ისლამური სოციალიზმი არაბთა ხსნის ერთადერთი გზა იყო. სწორედ ამიტომ უჭერდა მხარს ნასერის იდეებს, მაგრამ კადაფის ხელისუფლებაში მოსვლის წლისთავზე ნასერი მოკლეს. ამის შემდეგ კადაფიმ გადაწყვიტა,

მუამარ კადაფი ლიბიის სახალხო კრებაზე გამოსვლისას. 1972 წ.



არაბული სამყაროს ლიდერობა საკუთარ თავზე აეღო. 1972 წელს მან არაბული ქვეყნების ფედერაციის შექმნის შესახებ გამოაცხადა, რომელშიც ლიბია, ეგვიპტე და სირია უნდა შესულიყვნენ, მაგრამ ამ ჩანაფიქრმა მარცხი განიცადა. მხოლოდ 1974 წელს მოხერხდა ხელშეკრულების გაფორმება ტუნისთან, რომელსაც ქვეყანათა შორის პოზიციათა შეუთანხმებლობის გამო რეალურად არც უმუშავია. 1975 წელს მან გამოსცა „მწვანე წიგნი“, რომელშიც კიდევ ერთხელ აღინიშნა ისლამური სოციალიზმისა და პანარაბული სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ კადაფის ავტორიტეტი და მხარდაჭერა არაბულ სამყაროში აშკარად ჩამოუვარდებოდა ნასერისას.

„რემოლუციურს, ჯერ არნახულს!“

კადაფისთვის არაბული სამყაროს ლიდერობა აუხდენელ ოცნებად დარჩა. მოგვიანებით მან აფრიკის ლიდერობა მოინდომა. წლების განმავლობაში არაერთ საეჭვო რეპუტაციის აფრიკელ ლიდერთან მეგობრობდა. მათ შორის იყო უგანდის პრეზიდენტი იდი ამინი. მის დასახმარებლად ტანზანიასთან ომში ლიბიელი ჯარისკაცებიც კი გაგზავნა, რომელთაგანაც 600 იდი ამინის წინააღმდეგ დაწყებული გამოსვლების დროს დაიღუპა. ქვეყნიდან გაქცევის შემდეგ ამინმა თავი სწორედ ლიბიას შეაფარა.

ამინის გარდა კადაფი მეგობრობდა ცენტრალური აფრიკის კანიალ იმპერატორ ჟანბედელ ბოკასასთან და ეთიოპიის დიქტატორ მენგისტუ ჰაილე მარიამთან, რომელიც უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გენოციდის შემოქმედადაა მიჩნეული.

ევროპელ პოლიტიკოსთა შორის კი ლიბიის ლიდერის ყველაზე დიდ გულშემოტყვიერად იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონია მიჩნეული, თუმცა ასევე აქტიურად ლაპარაკობენ მისი და რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინის მეგობრობაზეც.

კადაფი არც მეზობელ სახელმწიფოებთან კონფლიქტს მორიდებია. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ომი ჩადისთან, რომელიც კადაფიმ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო. 1977 წელს კადაფიმ ეგვიპტის ტერიტორიაზე შეჭრაც სცადა, თუმცა უშედეგოდ.

იმავ 1977 წლის 2 მარტს კადაფიმ ლიბი-



ის სოციალისტური სახალხო არაბული ჯამაჰირიის შექმნა გამოაცხადა, რომელმაც ლიბიის არაბთა რესპუბლიკა ჩაანაცვლა.

ჯამაჰირია საზოგადოების მოწყობის ფორმაა, რომელიც განსხვავდება მონარქიისა და რესპუბლიკისგან. ის დასაბუთებულია მუამარ კადაფის მესამე მსოფლიო თეორიაში და გადმოცემულია „მწვანე წიგნის“ პირველ ნაწილში.

ჯამაჰირია — დემოკრატიის უმაღლესი ფორმაა, რომლის დროსაც ძალაუფლება პირდაპირ ეკუთვნის ხალხს და ზორციელდება პირდაპირი სახალხო მმართველობა. სიტყვა „ჯამაჰირია“ ნეოლოგიზმია. სიტყვა „ჯუმჰურის“ (რესპუბლიკა) ფუძეში „ჯუმჰურის“ (ხალხის) მხოლობითი რიცხვი შეცვლილია მრავლობითი ფორმით — „ჯამაჰირი“.

ჯამაჰირიაში ხელისუფლების ტრადიციული ინსტიტუტები უქმდება. ყველგან იქმნება სახალხო კომიტეტები და სახალხო კონგრესები. სახელმწიფო მრავალ კომუნად იყოფა, რომლებიც წარმოადგენენ თვითმმარ-

თველ მინისახელმწიფოებს სახელმწიფოში, აქვთ თავის ოლქში სრული ძალაუფლება, საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების უფლების ჩათვლით. კომუნას პირველადი სახალხო კონგრესი მართავს. სახალხო კონგრესში შედის კომუნის ყველა წევრი (ანუ კომუნის მცხოვრებლები). თითოეულ ადამიანს აქვს სახალხო კონგრესის სხდომაზე წინადადების გამოთქმის საშუალება. თითოეული მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღებასა და ძალაუფლების რეალიზებაში. სახელმწიფო არსებითად კომუნების ფედერაციაა. ყოველი პირველადი სახალხო კონგრესი ირჩევს წარმომადგენლებს ქალაქის სახალხო კომიტეტსა და საყოველთაო სახალხო კონგრესში.

„რევოლუციური კანონიერების ქარტია“, რომელიც ლიბიის საყოველთაო სახალხო კონგრესმა 1990 წელს მიიღო, ფართო საგარეოპოლიტიკური უფლებები მინიჭა რევოლუციის ლიდერ მუამარ კადაფის, რომელსაც სახელმწიფოში ოფიციალური თანამდებობები არ უჭირავს...

„რკინის ფარდა“ არააბუღალ

ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან კადაფიმ ქვეყანაში ახალი წესრიგის დამყარება და-

იწყო, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის სრულ კონტროლს გულისხმობდა. როგორც აღმოჩნდა, ევროპაში მიღებული განათლება სულაც არ ნიშნავდა დასავლურ ღირებულებებთან კადაფის ზიარებას. საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, თანამედროვე ლიბიის მოსახლეობის 20%, რომლებიც სკოლებში, ქარხნებსა თუ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში არიან დასაქმებული, კოლეგებს ასმენს. ასეთი სისტემის შექმნით კადაფი იმედოვნებდა, რომ მის ძალაუფლებას საფუძველი არასოდეს შეერყეოდა.

მოსახლეობის უკეთ გაკონტროლების მიზნით ლიბიის ყველა სკოლის პროგრამიდან ამოღებულია უცხო ენების სწავლება. 2011 წელს დაწყებული საპროტესტო მოძრაობის დროს ერთ-ერთი ლიბიელი მოქალაქე ამბობდა: „ვერც ერთი ჩვენგანი ვერ ლაპარაკობს ინგლისურად ან ფრანგულად. კადაფიმ ჩვენ ბნელ ოთახში გამოგვამწყვდია“. ლიბია ჩრდილოეთი აფრიკისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ბოლო ადგილზეა სიტყვის თავისუფლების მხრივ.

ფსიქოლოგები ბევრს ლაპარაკობენ კადაფის პიროვნულ თვისებებსა და აზირებებზე. ადამიანი, რომელსაც ფული და ძალაუფლე-

იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი და მუამარ კადაფი





ლიბიის დიქტატორი კარაფი ყველა ქვეყანაში დაატარებდა

ბა ნამდვილად არ აკლია, უპირატესობას კარაფიში ძილს ანიჭებს. მისი კარაფი საკმაოდ დიდია და ლიბიაში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი მსოფლიო ლიდერების მიღება და დიპლომატიური სადილებიც მასში იმართება. რაც შეეხება თავად კადაფის ვიზიტებს, ნებისმიერ ქვეყანაში გამგზავრებისას კარაფს თან ატარებს. როგორც ჩანს, იმდენადაა მიჩვეული მასში ძილს, რომ სხვაგან მოსვენება უბრალოდ აღარ შეუძლია.

განსაკუთრებულად ზრუნავს ჩაცმულობაზეც. ყველაზე ხშირად მის სამოსში ყავისფერი ჭარბობს, მაგრამ მსოფლიო ლიდერთა შორის მისი გარდერობი ყველაზე ჭრელია. მისი სამოსი ჩვეულებრივი ბედუინის სამოსის მსგავსია. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ქვეყნის მეთაური ტანსაცმელს გაცილებით ძვირფასი ქსოვილისგან იკერავს.

ლიბიის დიქტატორს ჰყავს საყვარელი აქლემი, რომელიც მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და კარავის მსგავსად, აქლემსაც ყველა ქვეყანაში დაატარებს. განსაკუთრებული ინტერესი კადაფის აქლემმა და კარაფმა საფრანგეთში ვიზიტისას გამოიწვია. ჟურნალისტები იმდენად ბევრ კითხვას სვამდნენ ამ უცნაურობასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახური საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბოლოს სამინისტროს პრესსპიკერმა ასეთი განცხადება გააკეთა: „კადაფი რომ ჩვენს ქვეყანაში თავისი კარავითა და აქლემით

ჩამოვიდა, მისი ქვეყნის ტრადიციებითაა ნაკარნახევი“. მართლაც კადაფი ყველაფერს აკეთებს, რათა ჩვეულებრივი ბედუინით გამოიყურებოდეს. სამოსი, კარაფი და აქლემი სხვა არაფერია, თუ არა ამის საზგასმა.

კადაფის ვიზიტებს კიდევ ის გამოარჩევს, რომ ლიბიის ლიდერი მუდამ ხუთი თვითმფრინ-

დიქტატორის უსაფრთხოებას ქაღალცი იცავენ





2011 წლის თებერვლიდან ლიბიაში მუამარ კადაფის საწინააღმდეგო საზაღხო გამოსვლები დაიწყო

ნავით დაფრინავს. ესეც ალბათ მისი პირადი აზრებით უფრო ნაკარნახევი, ვიდრე აუცილებლობით.

უცნაურია, მაგრამ კადაფის პირად დაცვაში ვერც ერთ მამაკაცს ვერ ნახავთ. მის სიცოცხლეს ახალგაზრდა ქალბატონები იცავენ, რომელთათვისაც ქალწულობის დაცვა ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა. ყველა ქალი კარგად გაწვრთნილი სამხედროა. მათი რიცხვი დაახლოებით ორმოცია. თითოეული მათგანი მზად არის, სიცოცხლეს გამოასაღმოს ნებისმიერი, ვინც შეიძლება საფრთხე შეუქმნას დასაცავ პირს. კადაფი მიიჩნევს, რომ ქალწულები უკეთ დაიცავენ მის პირად უსაფრთხოებას და უფრო სანდო არიან, ვიდრე მამაკაცები. ძნელი სათქმელია, კიდევ რით ხელმძღვანელობდა ლიბიის დიქტატორი, მაგრამ აშკარაა, რომ ამ შტრიხით უდავოდ გამორჩეული ფიგურაა მსოფლიო ლიდერთა შორის.

ან პირველკაცობა, ან სიკვდილი?!

ადამიანი, რომლის პირველობა ქვეყანაში ეჭვს დღევანდელ დღემდე არ იწვევდა, არა-



და ამ სენით ღრმად იყო შეპყრობილი, ეს არავისთვის წარმოადგენდა საიდუმლოს, მაგრამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე მისმა არაადეკვატურმა განცხადებებმა მაინც ყველა გააკვირვა.

2011 წელს ლიბიაში დაწყებული კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთის მოვლენათა ლოგიკური გაგრძელება იყო. სამწუხაროდ, ლიბიელებს გაცილებით ძვირად იყავათ გამარჯვების მიღწევა, ვიდრე ეგვიპტელებსა და ტუნისელებს. აჯანყებულებმა თავიანთ სიმბოლოდ ლიბიის სამეფოს დროშა აქციეს და ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე ქალაქი დაიკავეს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი საპორტო ქალაქი ბენღაზია, რომელიც ტრიპოლის შემდეგ ქვეყანაში სიდიდითა და მოსახლეობის რაოდენობით მეორეა.

მუშარ კადაფი არ მორიდებია საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას. მეტიც, მან უიარაღო მომიტინგეთა წინააღმდეგ არტილერია და სამხედრო ავიაცია გამოიყენა. ამ ყველაფერმა ერთიორად გაზარდა ლიბიელ ხალხში პროტესტი და წინააღმდეგობა მისი რეჟიმისადმი.

ლიბიაში მოვლენები ყოველდღიურად იცვლება. ამიტომ ჯერჯერობით ძნელია ამ თემაზე წარსულ დროში საუბარი. ოპოზიციის წარმატება ცვალებადია. ბოლო დღეებში მათ რამდენიმე ქალაქზე დათმეს კონტროლი.

საერთაშორისო საზოგადოება აქტიურად განიხილავს კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების საკითხს, ასევე ლიბიის საჰაერო სივრცის დახურულ ზონად გამოცხადების შესაძლებლობას. საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, რომელიც თავდაპირველად ასეთი ღონისძიებების პირველი მოწინააღმდეგე იყო, ახლა აცხადებს, რომ კადაფის სამხედრო პოზიციებზე წერტილოვანი დარტყმების მიტანა აუცილებელია. ასევე სარკოზი იყო პირველი ევროპელი ლიდერი, რომელმაც ლიბიის ოპოზიციური მთავრობის ლეგიტიმურობა აღიარა.

გაეროსეულმა ინფორმაცია, რომ ხელშეუხებლობის გარანტიის მიღების შემთხვევაში კადაფი მზად არის გადადგეს. თუმცა წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერები აცხადებენ, რომ მისთვის ასეთი გარანტიების მიცემა ათასობით დაღუპული ლიბიელის ხსოვნის შეურაცხყოფა იქნება.

მსოფლიო თანამეგობრობა მსჯელობს, როგორ შეუშალოს ხელი კადაფის სისხლიან



რეჟიმს. ამასობაში შეტაკებათა შედეგად დაღუპულთა რიცხვი იზრდება. ბოლო მონაცემებით, ლიბიის მოვლენებს 5 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მათი უმრავლესობა მშვიდობიანი მოქალაქეა.

„მე მომიტინგეთა წინააღმდეგ ძალა არ გამოიყენებია, იმიტომ რომ ლიბიაში დემონსტრაციები არ იმართება. თუ იმართება, მხოლოდ ჩემს მხარდასაჭერად. მე ხალხს ვუყვარვარ და ისინი მზად არიან, ჩემი გულისთვის სიცოცხლე გაწირონ“ — ეს განცხადება მუშარ კადაფიმ გააკეთა.

2011 წლის 19 მარტს საერთაშორისო თანამეგობრობამ კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ ძალის გამოყენება დაიწყო. ლიბიის სამხედრო-სტრატეგიულ ობიექტებზე საავიაციო იერიშები მიიტანეს. წინასწარი პროგნოზებით, კადაფის 42-წლიანი მმართველობა დასასრულს უახლოვდება. მისი საქმით ჰააგის სასამართლოც დაინტერესდა. ახლა საკითხავი ის არის, როდის დასრულდება კადაფის რეჟიმი, კიდევ რამდენი ადამიანის სიცოცხლეს იმსხვერპლებს ის ძალაუფლების შესანარჩუნებლად.



ახლელ ჰიტლერის ბებები ასოფლიოს პოლიტიკური რუკის უცვლელ უსასებ

Ein Volk, ein Reich, ein Führer

(ერთი ხალხი, ერთი იმპერია, ერთი ლიდერი)

„დიდი გერმანიის“ დევიზი

XX საუკუნის 20-30-იან წლებში ევროპის ბევრი სახელმწიფო ტოტალიტარული რეჟიმის მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა. 1922 წელს იტალიის სათავეში ბენიტო მუსოლინი და ფაშისტური პარტია მოექცა. მუსოლინის ექსპანსიური საგარეო პოლიტიკის შედეგად იტალიამ დაიპყრო ეთიოპია (1936) და ალბანეთი (1939).

ამავე პერიოდში გერმანიაში ძლიერდებოდა ნაციალიზმ-სოციალისტური პარტია, რომელმაც 1932 წლის არჩევნებში გაიმარჯვა და პარტიის ლიდერი, ადოლფ ჰიტლერი 1933 წლის 30 იანვარს გერმანიის კანცლერი გახდა. ჰიტლერის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიმართულება და მიზანი Großdeutsches Reich-ის (გროსდოიჩე რაიხის) ანუ „დიდი გერმანიის“ შექმნა იყო. ზაარის მხარის (1935), რაინის ოლქის (1936), ავსტრიისა (1938) და სუდეტის მიწების (1938) მიერთებით ჰიტლერმა თავისი გეგმის განხორციელება რეალურად დაიწყო. როდესაც დაინახა, რომ ამის შემდეგ

ინგლისსა და საფრანგეთს არანაირი რეაქცია არ ჰქონიათ, მთლიანად შეიერთა (1939 წლის მარტი) ჩეხეთი. სლოვაკეთი დამოუკიდებელი დარჩა, თუმცა გერმანიის პროტექტორატის ქვეშ. ამ მოვლენებიდან მცირე ხნის შემდეგ ლიტვამ გერმანიას დაუთმო მეძევის მიწები. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ამ ქვეყნების შემდეგ ჯერი პოლონეთზე მიდგებოდა.

1939 წლის აგვისტოში ყველასთვის მოულოდნელად გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერეს „ურთიერთთავდაუხსმელობის პაქტს“, რომლის დამატებით, საიდუმლო პროტოკოლში ზუსტად იყო განსაზღვრული ამ ორი ქვეყნის ტერიტორიული ამბიციები აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობის შემთხვევაში. პოლონეთი გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის უნდა გაყოფილიყო, ხოლო ლატვია, ესტონეთი და ფინეთი მხოლოდ საბჭოთა კავშირის „ინტერესების სფეროდ“ ცხადდებოდა. პირველ სექტემბერს გერმანია პოლონეთს დაესხა თავს, დაიწყო მეორე მსოფ-

ლიო ომი — კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი.

აზიის ბატონობაზე იაპონია აცხადებდა პრეტენზიას. იაპონიის ექსპანსიური პოლიტიკაც XX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. იაპონიის უმთავრეს ინტერესს ჩინეთი წარმოადგენდა და 1931 წელს დაიპყრო კიდევ მისი ჩრდილოეთი რეგიონი — მანჯურია. 1937 წელს აზიაში იაპონია-ჩინეთის ომი დაიწყო. 1937 წელს საბოლოოდ გაფორმდა გერმანია-იტალია-იაპონიის ალიანსი.

მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში გერმანია, მისი მოკავშირეები (იტალია და იაპონია) და მათი მომხრე სხვა მცირე სახელმწიფოები მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წინააღმდეგ დამპყრობლურ ომებს აწარმოებდნენ. მათი მთავარი მოწინააღმდეგეები იყვნენ საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთის რესპუბლიკა, 1941 წლის შემდეგ საბჭოთა კავშირი და იაპონიის მიერ პერლ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატებიც.

საომარი ოპერაციები მსოფლიოს თითქმის ყველა წერტილში მიმდინარეობდა. ძირითადი ბრძოლის ადგილები იყო: ევროპა, აზია, წყნარი და ატლანტის ოკეანის აუზები, ჩრდილოეთი აფრიკა.

საბოლოოდ ფაშისტური გერმანია და მისი მთავარი მოკავშირეები იტალია და იაპონია 1945 წლისთვის საბჭოთა კავშირმა, დიდმა ბრიტანეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაამარცხეს. ევროპაში 1939 წელს ფაშისტური გერმანიის მიერ პოლონეთზე თავდასხმით დაწყებული ომი 1945 წლის 8 მაისის ვერმახტის კაპიტულაციით დამთავრდა, ხოლო აზიაში ომი — 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიის კაპიტულაციით.

მეორე მსოფლიო ომმა კაცობრიობაზე უდიდესი გავლენა იქონია. გერმანია, იტალია და იაპონია, როგორც ძლიერი სახელმწიფოები, მსოფლიოს გამოეთიშნენ. ევროპაში გადამწყვეტი როლი აშშ-სა და მსოფლიოში ახლგაბატონებულ სსრკ-ს ჰქონდათ. ომში მონაწილეობდა 70-ზე მეტი სახელმწიფო (დღემდე მისი მონაწილეობის 80%). ბრძოლები მიმდინარეობდა 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე. შეიარაღებულ ძალებში მობილიზებული იყო 110 მლნ კაცი. ომს თან სდევდა საშინელი ნგრევა. განადგურდა ათათასობით ქალაქი და სოფელი, უბედურება თავს დაატყდა ათეულობით მილიონ ადამიანს. მეორე მსოფლიო ომის საერთო მსხვერპლის ოდენობას შეცნობენ



ადოლფ ჰიტლერი და ბენიტო მუსოლინი

დაახლოებით 60 მილიონამდე ვარაუდობენ, მათ შორის 20 მილიონამდე მშვიდობიანი მოსახლის (სსრკ — 26 მლნ-მდე, გერმანია — 8 მლნ-ზე მეტი, პოლონეთი 6 მლნ-მდე, მილიონობით ხალხი დაკარგა იუგოსლავიამ, იაპონიამ. მნიშვნელოვანი მსხვერპლი გაიღეს: აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, რუმინეთმა, უნგრეთმა, ფინეთმა და სხვ.). სამხედრო ხარჯები და ზარალი ტრილიონობით დოლარს შეადგენდა.

საინტერესოა, რას აპირებდნენ ჰიტლერი და მისი მოკავშირეები, როგორი უნდა ყოფილიყო მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორიები, როგორ წარიმართებოდა მათი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა და რა სახის ორგანოები უნდა შექმნილიყო, რა ბედი ეწეოდა იმ სახელმწიფოების ტერიტორიებს, რომელთა გაუქმებასაც აპირებდნენ.

ცაცხლისა და მახვილის ფანტაზია

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნაცისტთა მიერ ოკუპირებულ, ანუ მათ „განთავისუფლებულ“ ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო „დიდი გერმანია“ ანუ „გროსდოიჩლანდი“.



„დიდ გერმანიაში“ შედიოდა საკუთრივ გერმანია 1937 წლის საზღვრებით, ელზას-ლოთარინგია (ალზას-ლორენი) საფრანგეთისგან, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, ბელგიის გერმანულენოვანი ოლქები, ავსტრია (ოსტმარკი), სუდეტის ოლქი (ყოფილი ჩეხოსლოვაკიისგან), დღევანდელი სლოვენის დიდი ნაწილი და ომამდელი პოლონეთი მთლიანად. დიდი გერმანია 42 ადმინისტრაციულ ერთეულად იყოფოდა.

მესამე რაიხი ზოგიერთ ქვეყანას პირდაპირ არ იერთებდა, არსებობდა ე.წ. გენერალური მმართველობებიც, მაგალითად, ჩეხეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ბოჰემიისა და მორავიის პროტექტორატი, ხოლო პოლონეთის ტერიტორიაზე კრაკოვის გენერალ-საგუბერნატორო. ნაცისტებს საბჭოთა კავ-

შირისგან უნდა მიეღოთ ყირიმი ანუ გოტენლანდი და სანქტ-პეტერბურგი ანუ ადოლფბურგი.

მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში გერმანიის მიერ დაკავებული ტერიტორიები ახალი ადმინისტრაციული სისტემით უნდა დაყოფილიყო. უმეტეს ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო რაიხსკომისარიატები. გერმანიაში მოახერხდა და შექმნა ნორვეგიის (1940-1945 წწ.), ნიდერლანდების (1940-1945 წწ.), ოსტლანდის (1941-1945 წწ.), უკრაინის (1941-1944 წწ.) და ბელგია-ჩრდილოეთ საფრანგეთის (1944 წ.) რაიხსკომისარიატები. დაგეგმილი იყო ასევე მოსკოვის, კავკასიის, თურქესტანის, ურალის, ჩრდილოეთ-დასავლეთი, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი და დასავლეთ ციმბირის რაიხსკომისარიატები, დანიის რაიხსპროტექტორატი,

დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის რაიხსკომისარიატი.

განსაკუთრებით საინტერესოა საბჭოთა კავშირის დანაწილების გეგმა. 1941 წლის 17 ივლისს ადოლფ ჰიტლერმა აღმოსავლეთით, საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამოქალაქო მმართველობის შემოღების შესახებ ბრძანება გამოსცა. ბრძანების შესასრულებლად აღფრედ როზენბერგის ხელმძღვანელობით შეიქმნა აღმოსავლეთი ტერიტორიების სამინისტრო, რომელსაც სწორედ ახალი, ადმინისტრაციული ერთეულების ფორმირება დაეკალა. უნდა მომხდარიყო ოკუპირებული ტერიტორიების გერმანული ადმინისტრაციის მიხედვით მოწყობა. მთელი საბჭოთა კავშირი უნდა დანაწილებულიყო რაიხსკომისარიატებად. ხმარებიდან უნდა ამოეღოთ სიტყვა რუსი, რუსეთი, ამის გამო ბელორუსიასაც სახელი შეუცვალეს და ვაისრუთენი დაარქვეს, ხოლო რუსეთის დიდ ნაწილს მოსკოვია უწოდეს.

ჰიტლერის იმავე ბრძანებით, პირველად **ოსტლანდის** რაიხსკომისარიატი შეიქმნა. ოსტლანდს უნდა შეერთებოდა სმოლენსკისა და ფსკოვის ოლქი, რომელსაც ახალი სახელით (პეიპუსლანდი) მოიხსენიებდნენ. გერმანული სახელმწიფო ენა იქნებოდა, ხოლო რუსული და ადგილობრივი ენები — ლოკალური გამოყენებისთვის.

ადმინისტრაციული ცენტრი იყო რიგა. რაიხსკომისარი — ჰენრიხ ლოხე, ხოლო 1944 წლის 26 სექტემბრიდან ოსტლანდში საბჭოთა ჯარების შესვლამდე — ერის კოხი.

ოსტლანდში ერთიანდებოდა ოთხი გენერალური ოლქი:

ვაისრუთენი (ბელორუსიის გერმანული სახელი), ცენტრი მინსკი (გენერალური კომისარი — ვილჰელმ კუბე, მისი მკვლელობის შემდეგ კურტ ფონ გოთბერგი).

ვაისრუთენის რეგიონული ცენტრები იყო: ბარანოვიჩი, ვილეჟა, განცევიჩი, გლუბოკოე, ლიდა, მინსკი, ნოვოგრუდოკი, სლონიმი, სლუცკი. 1943 წლიდან გენერალური ოლქის ტერიტორიაზე მოიწვიეს ეროვნული პარლამენტი — ბელორუსიის ცენტრალური რადა, რომელმაც არმიანზე (ბელორუსიის საზღვრის დაცვა) და პოლიციაზე (ბელორუსიის სახალხო თავდაცვა) აიღო პასუხისმგებლობა.

ლიტვა, ცენტრი კაუნასი (გენერალური კომისარი — თეოდორ ადრიან ფონ რენტელნი).

ლატვია, ცენტრი რიგა (გენერალური კომისარი — ოტო ჰაინრიხ დრეხსლერი)

ესტონეთი, ცენტრი რეველი (ახლანდელი ტალინი), გენერალური კომისარი — კარლ ზიგმუნდ ლიცმანი).

მეორე ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც გერმანელებმა 1941 წლის 20 აგვისტოს, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შექმნეს, იყო **უკრაინის** რაიხსკომისარიატი. მასში შედიოდა გერმანელთა მიერ უკრაინის ოკუპირებული ტერიტორია გალიციისა და დნესტრისპირეთის გარდა. სამაგიეროდ, უკრაინის რაიხსკომისარიატში შევიდოდა რუსეთის ტერიტორიები (კურსკი, ორიოლი, ტამბოვი, სარატოვი, ცარიცინი). რაიხსკომი-

გერმანული მეომრები კავკასიის მისადგომებთან

კავკასიის რაიხსკომისარიატი — ასევე საგარაუდო ავტონომიური რეგიონი იყო მესამე რაიხის შემადგენლობაში, რომელიც გერმანიის საბჭოთა კავშირთან ომში გამარჯვების შემთხვევაში ჩამოყალიბდებოდა





*ალფრედ როზენბერგი
და ერის კოხი
ოკუპირებულ კიევიში*

სარი იყო ერის კოხი. უკრაინის რაიხსკომისარიატში ოფიციალური სახელმწიფო ენა გერმანული უნდა ყოფილიყო, ხოლო უკრაინული და პოლონური ენები — ადგილობრივი გამოყენებისთვის. დედაქალაქი — როვ-ნო.

1942 წლის პირველი სექტემბრიდან უკრაინის რაიხსკომისარიატში ოფიციალურად 13 ოლქი იყო შექმნილი. თუმცა გერმანელებმა დაგეგმილი ტერიტორიის დაკავება მთლიანად ვერ შეძლეს, ამიტომ რამდენიმე ოლქის შექმნა ვერ მოხერხდა.

რეალურად არსებული ოლქები:

დნებროპეტროვსკის გენერალური ოლქი — გენერალური კომისარი ნიკოლაუს (კლაუს) ზელცნერი.

კიევის გენერალური ოლქი — გენერალური კომისარი პელმუთ ქვიტცრაი (1942 წლის თებერვლამდე), ვალდემარ მაგუნია (1942 წლის თებერვლიდან 1943 წლის ნოემბრამდე).

ყირიმის გენერალური ოლქი, **ნახევარი ტავრია**, ყველა გერმანელის კურორტად მიიჩნეოდა და ახალი სახელით — გოთენლანდი უშუალოდ „დიდი გერმანიის“ შემადგენლობაში შედიოდა.

ნიკოლაევის გენერალური ოლქი — გენერალური კომისარი ევალდ ოპერმანი.

ვიტომირის გენერალური ოლქი — გენერალური კომისარი კურტ კლემი.

ვოლინ-პოდოლიის გენერალური ოლქი — გენერალური კომისარი ჰაინრიხ შოენი

უნდა შექმნილიყო ასევე შემდეგი გენერალური ოლქები: **ჩერნიგოვის**, **ხარკოვის**, **სტალინოს** (დონეცკის), **ვორონეჟის**, **როსტოვის**, **ცარიცინის** (სტალინგრადი, დღევანდელი ვოლგოგრადი), **სარატოვის**.

მოსკოვის რაიხსკომისარიატი — მესამე რაიხის სავარაუდო ავტონომიური რეგიონი აღმოსავლეთ ევროპაში. ოსტლანდისა და უკრაინის რაიხსკომისარიატებს შორის. დედაქალაქი მოსკოვი. პირველ რაიხსკომისარად დაინიშნა ზიგფრიდ კაშე. ოფიციალური ენები გერმანული და რუსული. ფართობი 2,9 მლნ კვკმ-ს მოიცავდა, ხოლო მოსახლეობა შეადგენდა 50-60 მლნ-ს.

მოსკოვის რაიხსკომისარიატს თანამედროვე რუსეთის ვეროპული ტერიტორიები ეჭვრებოდა. კარელია და კოლის ნახევარკუნძული ფინეთს გადაეცა; სამხრეთი რუსეთის ტერიტორია (ორიოლი, ტამბოვი, სარატოვი) — უკრაინას; დასავლეთის ოლქები (სმოლენსკი, ფსკოვი) — ოსტლანდს.

ომის დროს არსებობდა პროგერმანული შეიარაღებული დივიზია „რუსლანდი“.

რაიხსკომისარიატში დაგეგმილი იყო რამდენიმე გენერალური ოლქის შექმნა. რომლებიც მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებად დაიყოფოდა: **მოსკოვი, ტულა, გორკი ან ნიჟნი ნოვგოროდი, ვიატკა, ლენინგრადი ან პეტერბურგი** ან შესაძლოა **ადოლფსბურგი** (დაგეგმილი იყო პეტერბურგის ოლქის სახელის ადოლფსბურგით შეცვლა და „დიდი გერმანიის“ შემადგენლობაში შეყვანა), **ყაზანი** (მორდოვა და ჩუვაშეთი) სავარაუდოდ თურქესტანის რაიხსკომისარიატის შემადგენლობაში უნდა შესულიყო, **უფა** (მასში გაერთიანებული იყვნენ თათრები, ბაშკირები, მარები, მორდოველები, ჩუვაშები, უდმურტები, რომელთაც დამოუკიდებლობა სურდათ, მაგრამ ნაცისტური გერმანიის გეგმებში იდელ-ურალის სახელმწიფოს შექმნა არ შედიოდა), **პერმი** (აერთიანებდა ურალს მთლიანად და დასავლეთ ციმბირს — სვერდლოვსკს, ჩელიაბინსკს, ომსკს, ნოვოსიბირსკს).

თუმცა უფისა და პერმის გენერალური ოლქების შექმნა ეჭვქვეშ იყო, რადგან ისინი ასტრახანი-არხანგელსკის ხაზის გარეთ, ანუ გერმანიის სავარაუდო აღმოსავლეთ საზღვრის გარეთ მდებარეობდა.

კავკასიის რაიხსკომისარიატი — ასევე სავარაუდო ავტონომიური რეგიონი იყო მესამე

რაიხის შემადგენლობაში, რომელიც გერმანიის საბჭოთა კავშირთან ომში გამარჯვების შემთხვევაში ჩამოყალიბდებოდა.

ტერიტორია მოიცავდა ომის დაწყებამდე საბჭოთა კავშირის მფლობელობაში არსებულ კავკასიის მიწებს. საერთო ფართობით 500000 კვკმ. მოსახლეობა დაახლოებით 18 მლნ. ცენტრი უნდა ყოფილიყო თბილისი. სამხრეთით საზღვარი გაივლიდა თურქეთისა და ირანის სახელმწიფო საზღვრებზე, ხოლო ჩრდილოეთით — მდინარეებზე დონი და ვოლგა. მხარის ეკონომიკაში წამყვანი ნავთობის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა უნდა ყოფილიყო.


რაიხსკომისრად არნო შიკლანცი მოისაზრებოდა.

კავკასიის რაიხსკომისარიატის დამცავი რაზმისა და პოლიციის ხელმძღვანელი კორნერმანი უნდა ყოფილიყო.

რა თქმა უნდა, გერმანელებს არც კავკასიის მოსახლეობა მიაჩნდათ თავის თანაბარ რასად და მოკავშირეებად, მაგრამ მათ „გაითვალისწინეს“ ბოლშევიკური რეჟიმის სიმძიმე, ხოლო მრავალეთნიკურობის ფაქტორის გამო კავკასიაში ავტონომიურობაც იგეგმებოდა.

კავკასიისთვის ბრძოლებში გერმანულ არმიას იყო რამდენიმეათასიანი ქართული შე-

გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ყრილობა





ნაერთებიც, 12 ბატალიონი, ამ ქართული ლეგიონის მეთაური შალვა მალღაკელიძე იყო. ქართველები ფიქრობდნენ, რომ სწორედ გერმანელთა ხელით შეიძლებოდა ბოლშევიკებისგან სამშობლოს განთავისუფლება. ქართული ბატალიონები ძირითადად დაკომპლექტებული იყო 1921 წლიდან ემიგრაციაში მყოფი მთავრობის ნაწილისა და ომის დროს გერმანელთა მიერ ტყვედ აყვანილი ქართველებისგან.

კავკასიის რაიხსკომისარიატის სახელმწიფო ენა გერმანული (ოფიციალური), რუსული, ქართული, სომხური, აზერბაიჯანული, კავკასიური ენები (ადგილობრივი გამოყენებისთვის) უნდა ყოფილიყო.

რაიხსკომისარიატი დაიყოფოდა შვიდ გენერალურ და რამდენიმე საგანგებო კომისარიატად, აქ ძირითადად ტერმინები იცვლებოდა, ადმინისტრაციული ერთეულები თითქმის იმავე საზღვრებსა და სახელებს შეინარჩუნებდა.

საქართველოს გენერალური კომისარიატი

ცენტრი: თბილისი.

20 საოლქო კომისარიატი (75 რაიონი).
აჭარის საგანგებო კომისარიატი
აფხაზეთის საგანგებო კომისარიატი
სამხრეთ ოსეთის საგანგებო კომისარიატი

აზერბაიჯანის გენერალური კომისარიატი
 ცენტრი: ბაქო.

30 საოლქო კომისარიატი (87 რაიონი), მათ შორის, **მთიანი ყარაბაღი**.

ნახიჭევანის საგანგებო კომისარიატი
ყუბანის გენერალური კომისარიატი
 ცენტრი: კრასნოდარი.

30 საოლქო კომისარიატი (83 რაიონი), მათ შორის როსტოვის რაიონის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი.

თურგის გენერალური კომისარიატი
 ცენტრი: ვოროშილოვგრადი (სტავროპოლი).

20 საოლქო კომისარიატი (60 რაიონი).
მთიელ კავკასიელთა გენერალური კომისარიატი

ცენტრი: ორჯონიკიძე (ვლადიკავკაზი).

30 საოლქო კომისარიატი (83 რაიონი). მათ შორის ყიზლარის რაიონი.

ჩრდილოეთ ოსეთის საგანგებო კომისარიატი, ცენტრი ორჯონიკიძე.

დაღესტნის საგანგებო კომისარიატი ცენტრი: მაჰაჰყალა.

ჩეჩნეთ-ინგუშეთის საგანგებო კომისარიატი

ცენტრი: გროზნო.

ყაბარდო-ბალყარეთის საგანგებო კომისარიატი

ყარაჩაის საგანგებო კომისარიატი

ჩერქეზეთის საგანგებო კომისარიატი

ადიღეს საგანგებო კომისარიატი

სომხეთის გენერალური კომისარიატი

ცენტრი: ერევანი.

12 საოლქო კომისარიატი (42 რაიონი).

ყალმუხეთის გენერალური კომისარიატი ყალმუხეთის ასსრ-ის ჩათვლით და როსტოვის რაიონის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილი.

ცენტრი: ასტრახანი.


თურქესტანის რაიხსკომისარიატი

თურქესტანის რაიხსკომისარიატის შექმნა დაგეგმილი იყო ცენტრალურ აზიაში, ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანების შედეგად. ვარაუდობდნენ, რომ შემდეგ დაემატებოდა საბჭოთა რუსეთის რამდენიმე ავტონომიური რესპუბლიკაც, მაგალითად, მორდოვა, უდმურტია, ბაშკირეთი და თათრეთი.

* * *

ჰიტლერისა და ნაცისტური გერმანიის გეგმების მიხედვით სწორედ ასეთი სახით მოისაზრებოდა ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიების რუკა, თუმცა შეუძლებელია გადაჭრით იმის მტკიცება, რომ ამ ვარიანტით დასრულდებოდა ყველაფერი. როგორც ჩანს, ეს ძირითადად გეგმები იყო. გასათვალისწინებელი იქნებოდა ფაშისტური იტალიისა და იაპონიის იმპერიის ამბიციებიც. ნაცისტური ბანაკის სხვა სახელმწიფოების ინტერესები, ასევე თურქეთისა და სხვა სახელმწიფოთა ინტერესები, რომლებიც ომში ფაშისტების წარმატების შემთხვევაში აუცილებლად გამოიკვეთებოდა.

ალექსანდრა ჯოშიშვილი



სხანიის ნიწაშე ღაჩოიიი იიანი შაჰინშაჰი

1941 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის არმიები ირანში შეიჭრნენ. რეზა შაჰი (მეფობდა 1925 წლიდან) იძულებული გახდა, 16 სექტემბერს თავისივე ვაჟის — მოჰამად რეზას (1919-1980) სასარგებლოდ ტახტიდან გადამდგარიყო.

იმდროინდელ ირანში განვითარებული მოვლენების საინტერესო აღწერილობა შემოგვინახა თვითმხილველმა, 1943 წლის შემოდგომაზე თეირანში ჩასულმა საქართველოს მილიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა, მილიციის III რანგის კომისარმა (შეესაბამება გენერალ-მაიორს) **კაპიტონ ნაჭყებიამ**, რომელიც იხსენებდა: „საბჭოთა მთავრობამ 1921 წლის ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტის საფუძველზე, 1941 წლის აგვისტოში შეიყვანა თავისი ჯარები ირანის ჩრდილოეთ რაიონებში, რითაც ჩაშალა ფაშისტ აგრესორთა გეგმები და ირანს ააცილა ფაშისტური მონობის საფრთხე...“

რეზა-შაჰი სასწრაფოდ გადადგა, ტახტი გადაულოცა თავის შვილს მოჰამადრეზა ფეჰლევის, თვითონ კი... გაქცევით უშველა თავს. შაჰს მიჰყვა მრავალი მომხრე — მემამულეები, ვაჭრები. ირანში რომ ჩავედით, ვნახეთ უამრავი მიტოვებული საბაყლო და ღუქანი. ვაჭ-



რების წასვლამ დიდი დალი დაასვა ქვეყნის მცირერიცხოვან არმიას, რომელსაც მათი წყალობით ედგა სული.

მოკავშირეებმა ირანი აირჩიეს ბაზად საბჭოთა ფრონტისთვის ტექნიკისა და სურსათის მისაწოდებლად. ომში საბჭოთა ჯარების ჩაბმამ ირანელთა შორის განმათავისუფლებელი ბრძოლის ტაღლა გამოიწვია. შეიქმნა ირანის სახალხო პარტია, ხალხი შზად იყო, ხელში აეღო მთელი ძალაუფლება და დახ-



მარებას სთხოვდა საბჭოთა არმიას. სტალინი ჩარევის წინააღმდეგი იყო, თუმცა მას დაბეჯითებით სთხოვდნენ მფარველობას ირანელი აზერბაიჯანელები და ფერეიდნელი ქართველები.

ერთხელ შევესწარი საუბარს, როდესაც სტალინს ჰკითხეს, — რატომ არ გაუწვდით დახმარების ხელს თურქეთის ლაზებსო.

სტალინმა უპასუხა, რომ მზად არის დაეხმაროს მათ, ოღონდ არა ახლა და არა თურ-

ქეთისა თუ ირანის საშინაო საქმეებში ჩარევის გზით.

ასეთი საკითხები, — თქვა მან, — წყდება შინაგანი ბრძოლით თვითგამორკვევისა და ავტონომიისათვის, რასაც მათ შეუძლიათ მიადწიონ“.

ირანის ხელისუფლების სათავეში ჩადგომა 21 წლის შაჰინშაჰს მძიმე ვითარებაში მოუხდა. იგი მოკავშირე სახელმწიფოთა მძლავრი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა და იბუღე-



ირანის შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი

*სტალინი თეირანში
საბჭოთა დელეგაციის წევრებთან ერთად*

ბული იყო, რომ შაჰის მტკიცე დიქტატორული მმართველობა ლიბერალური პოლიტიკით შეეცვალა. ამიტომ თავდაპირველად იგი თითქმის შეუმჩნეველი პოლიტიკური ფიგურა და უფრო სიმბოლური მონარქი იყო. ეს არც გასჭირვებია, რადგან ყმაწვილობიდანვე ვეროპულად იყო აღზრდილი.

1943 წლის 28 ნოემბერს თეირანში დაიწყო მოკავშირე სახელმწიფოების ლიდერთა კონფერენცია, რომელიც 1-ელ დეკემბრამდე გაგრძელდა.

იმ პერიოდში ახალგაზრდა შაჰინშაჰს სამეფო სასახლეში ესტუმრა საბჭოთა კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი, ამ ქვეყნის უზენაესი ხელისუფალი, იმხანად მარშალი, ხოლო 1945 წლიდან — გენერალისიმუსი **იოსებ სტალინი**.

სტალინის თან ახლდნენ: საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი (შემდეგში — მარშალი) **ლავრენტი ბერია**, სტალინის პირადი დაცვის უფროსი (შემდეგში — გენერალ-ლეიტენანტი) **შალვა წერეთელი**, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი (შემდეგში — გენერალ-ლეიტენანტი)





სტალინი და ირანის შაჰი მოჰამად რეზა თეირანში შემდგარი ისტორიული შეხვედრის შემდეგ

გრიგოლ კარანაძე, თეირანში ჩასული საბჭოთა კავშირის დელეგაციის დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ზემოხსენებული **კაპიტონ ნაჭყებია**.

ამ შეხვედრის შესახებ საინტერესოდ არის მოთხრობილი ისტორიკოს **დევო სტურუას** მოგონებებში, რომელშიც ვკითხულობთ: „თეირანის კონფერენციის შემდეგ ხალხში დადიოდა ერთი ასეთი ამბავი: სტალინმა გადაწყვიტა ვიზიტად წვეოდა ირანის შაჰს, რომელიც... ეს-ესაა აიყვანეს ტანტზე, დაამხეს რა მისი მამა. შაჰი მაშინ სრულიად ახალგაზრდა იყო და სტალინის მისვლამდე ძალზე ინერვიუდა.“

როცა სტალინი ბერეასა და სახელმწიფო უშიშროების გენერლის გრიგოლ კარანაძის თანხლებით სატახტო დარბაზში შევიდა და ახალგაზრდა შაჰს მიუახლოვდა, ირანის ახალ მფლობელს მუხლები მოეკეცა და სტალინის წინ ჩაიჩოქა. სტალინი დაეხმარა შაჰს ფეხზე წამომდგარიყო, შემდეგ მიუბრუნდა ბერეასა და კარანაძეს და ქართულად უთხრა:

— აფსუს, რომ ამ სურათს გიორგი სააკაძე და ერეკლე მეფე არ ხედავენო.

მე ვკითხე ბატონ გრიგოლ კარანაძეს, რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს ამბავი, რაზეც ბატონმა გრიგოლმა ღიმილით მიპასუხა:

— ჰო, იყო რაღაც ამდაგვარი“.

ამ შეხვედრის შესახებ ასეა მოთხრობილი მისი უშუალო თვითმხილველის, **კაპიტონ ნაჭყებიას** მოგონებაში: „ნოემბერში საქართველოდან ბაქოს გაფრინდა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც გენერალ გრიგოლ კარანაძესთან ერთად მეც ვიყავი. ჩვენ დასაცავად უნდა გავყოლოდით სამთავრობო დელეგაციას. ეს დელეგაცია ირანის დედაქალაქ თეირანში მიემგზავრებოდა სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა კონფერენციაზე. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ დიპლომატები და სამხედრო წარმომადგენლები...“

ირანში ჩასვლისთანავე საბჭოთა საელჩოში დავბინავდით და დავიწყეთ მზადება სტალინთან შესახვედრად... დავინახეთ სტალინი



იოსებ სტალინი თეირანის კონფერენციის მსვლელობის დროს

თავისი ძველი ფარაჯითა და ქუდით. მის უკან — ვოროშილოვი, მოლოტოვი და სხვა თან-მხლები პირები. ჩვენ, დამხვდურნი, დაძაბული ვიდექით. სტალინი თვითონ მოვიდა ჩვენთან, ჩამოგვიარა, ყველას ხელს ართმევდა. ქართველები რომ დაგვინახა — „სალამი საქართველოსო“ — გვითხრა...

თეირანში ჩასვლის პირველ დღეებშივე სტალინიმა ახალგაზრდა შაპი მოინახულა.

სტალინს უთხრეს, რომ შაპი თვითონ ეახლა რუხველტს და საუბარმა სულ ხუთ წუთს გასტანა. ხოლო ჩერჩილმა იგი მისაღებში აყურყურა, მერე კი აუდიენცია სამ წუთში დაამთავრა... ბუნებრივია, შაპი შეურაცხყოფილი დარჩა ასეთი მიღებით.

სტალინიმა მითხრა, — შაპს უნდა ვეწვიოთ, ვინაიდან სტუმრის ვალია, ეახლოს მასპინძელს, ვის მიწა-წყალზეც იმყოფებო. შაპს წინასწარ შევატყობინეთ მოსალოდნელი ვიზიტი, მაგრამ ზუსტი დრო არ გვითქვამს...

ქუჩებში გამოფენილი ხალხი აღფრთოვანებული ხვდებოდა სტალინს, ბევრგან ვიტრინებში მისი პორტრეტები გამოიკრათ...

როდესაც სასახლეს მივადექით, გაიღო

რკინის ჭიშკარი და ჩვენ შემოგვეგება მსუბუქ სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილი ყმაწვილი ქალი, რომელიც ველოსიპედზე იჯდა. სტალინი რომ დანახა, ეტყობა, იცნო. შალი მოიხურა მხრებზე და ჩვენს შესახვედრად წამოვიდა, გულითადად ჩამოართვა ხელი სტალინს — ასე გაიცნო სტალინიმა შაპის მეუღლე.

სასახლეში შეგვიძღვნენ. შაპი ისე დაიბნა, რომ მუხლებზე დაეძხო და სტალინს მხსნელი უწოდა. სტალინიმა ფეხზე ააყენა. გაიმართა საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი. ილაპარაკეს ირანის ტერიტორიაზე ბაზების განლაგებისა და საბჭოთა კავშირის საზღვრებისკენ ტვირთის ტრანსპორტირების შესახებ.

უკან რომ ვბრუნდებოდით, სტალინი ქართულად გაგვესაუბრა: — აფსუს, ახლა გიორგი სააკაძე რომ ააყენა და მუხლმოდრეკილი სპარსეთის შაპი დაანახვო...

ქართველ მონაწილეთა გარდა, ამ ფაქტს იხსენებს ცნობილი საბჭოთა მწვერავი, საბჭოთა კავშირის გმირი გეოორჯ ვართანიანი. 1943 წელს იგი თეირანში იმყოფებოდა და საგანგებო ჯგუფს ხელმძღვანელობდა, რომელმაც ათუელობით გერმანელი მწვერავი გამოააშკარავა. ამ უკანასკნელთ დავალებული ჰქონდათ „დიდი სამეულის“ ლიდერებზე ტერორისტული აქტის მოწყობა. მოგვიანებით გეოორჯ ვართანიანი იგონებდა: „სამივენი იქ რამდენჯერმე ვნახე. სტალინი — ხუთი მეტრის მანძილიდან, როცა ვოროშილოვსა და მოლოტოვთან ერთად შაპის სასახლეში გაემგზავრა მოჰამადრუზა ფეჰლვეისთვის მადლობის გადასახდელად სტუმართმოყვარეობისთვის. ეს ძალიან ჭკვიანური და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახლდათ, რომელმაც მაშინ ირანელ საზოგადოებაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. ვერც რუხველტი და ვერც ჩერჩილი ვერ მიხვდნენ, რომ იგივე გაეკეთებინათ. რასაკვირველია, შაპი ააღელვა სტალინის მხრიდან ყურადღების ამგვარად გამოხატვამ. როცა ის სატახტო დარბაზში შევიდა, შაპი ფეხზე წამოიჭრა, მიიბრინა და მუხლებზე დაეცა, რათა მისთვის ხელზე ეკოცნა. მაგრამ სტალინი დაიხარა და შაპი წამოაყენა...“

ვფიქრობთ, მართლაც უჩვეულო ისტორიული მოვლენაა, როცა თეირანის სამეფო სასახლეში გამართულ შეხვედრაზე, საბჭოთა კავშირის სახელით მისულ ზემოხსენებულ ქართველთა წინაშე, ირანის შაჰინშაჰმა მოწიწების ნიშნად მუხლი მოიყარა.



ბიოხბი ხანანია:

„თუ დამთვალნიარებალი არ მიღის მუზეუმი, მაშინ მუზეუმი მიღის დამთვალნიარებალთან“

ანტიკური პერიოდის თეატრალური ნიღაბი ვანიდან, XVII საუკუნის ფერწერის ნიმუშები, სპარსული მინიატიურები, გერმანული და ფრანგული ვრაგიურები, ელენე ახვლედიანის, ირაკლი გამრეკელის, იაკობ ნიკოლაძის, ლადო გუდიაშვილის ნამუშევრები, ილია ჭყუჭყაძის, ვიორგი ერისთავის, იოჰან შტრაუსის, შალვა დადიანის, სანდრო აბშეთელისა და სხვა შემოქმედთა პირადი წერილები, ხელნაწერები, არქივები, თეატრალური კოსტიუმები, მეძორიადღური ნივთები, აუდიო და ვიდეოჩანაწერები, აფიშები, პროგრამები, კინოფორები, თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების კოლექციები... ეს არასრული ჩამონათვალია იმ მასალისა, რომელიც საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. ვასული საუკუნის 20-იან წლებში დავით

არსენიშვილის მიერ დაარსებული მუზეუმისა და აქ დაცული ექსპონატების შესახებ საზოგადოებისთვის ბოლო ხანებამდე მცირე რამ იყო ცნობილი. უყურადღებოდ მიტოვებულ უმშვენებელს შენობას, ისევე როგორც აქ დაცულ კოლექციებს, განადგურების საფრთხე ემუქრებოდა. დღეს ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა. რუსთაფრაცია წლეულს ზაფხულში დასრულდება და მუზეუმი დამთვალნიარებალბს სრული დატვირთვით უმასპინძლებს. ვინ და როგორ შთაბერა ძველ მუზეუმს ახალი სიცოცხლე, როგორ მიმდინარეობს სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და როდის ამოქმედდება იგი სრული დატვირთვით — „ისტორიანის“ ამ შეკითხვებს მუზეუმის დირექტორი ბიორბი კალანდია უპასუხებს.

საქართველოს თეატრის, მუსიკის,
კინოსა და ქორეოგრაფიის
სახელმწიფო მუზეუმი



— თქვენი მუზეუმის შესახებ საზოგადოებისთვის ბოლო ხანებამდე ცოტა რამ იყო ცნობილი. რატომ მიივიწყეს იგი?

— გული მწყდება, რომ ამ მუზეუმის ტრადიცია საზოგადოებისთვის მართლაც ნაკლებად იყო ცნობილი. ის 1927 წელს დაარსდა. სასიქადულო ქართველის, დავით არსენიშვილის მიერ. სამწუხაროდ, იმჟამინდელი საბჭოთა საზოგადოება დაუმსახურებლად მოექცა დავით არსენიშვილს და ისიც იძულებული გახდა, რუსეთში წასულიყო. იქ ანდრეი რუბლიოვის სახელობის ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმი დააარსა და რუბლიოვის ხელოვნება მსოფლიოს, ფაქტობრივად, გადაურჩინა.

არსენიშვილის მიერ დაარსებული თეატრის მუზეუმი სამხრეთ კავკასიაში პირველი იყო. შედეგად აქ თავი მოიყარა თეატრალური და სასცენო ხელოვნების არა მხოლოდ ქართულმა, არამედ სომხურმა, აზერბაიჯანულმა და სხვა კავკასიელი ხალხების კულტურულმა მემკვიდრეობამ. ჩვენთან ამ თვალსაზრისით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი კოლექციაა დაცული.

თუმცა, იმის გამო, რომ დამფუძნებელი და-



1903 წლის „ქართული საღამოს“ აფიში, აღდგენამდე...

ვით არსენიშვილი ფაქტობრივად განდევნილი იყო საქართველოდან და რეპრესირებული გახლდათ, მუზეუმს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამას გარდა, მან რამდენჯერმე შეიცვალა მისამართი და ბოლოს, 1989 წელს, ამ შენობაში დაიდო ბინა. თავად შენობა ულამაზესია, თუმცა მეტად მძიმე მდგომარეობაში გახლდათ.

— ახლა აქტიურად ხორციელდება მისი რესტავრაცია-რეაბილიტაცია. ასევე ხდება მუზეუმის პოპულარიზაცია. თუმცა საზოგადოებისთვის ნაკლებად არის ცნობილი თქვენთან დაცული ექსპონატების შესახებ...

— მუზეუმის რეაბილიტაციასა და მის სათანადოდ წარმოჩენას 2009 წლიდან სათავეში საქართველოს კულტურის სამინისტრო ჩაუდგა. შენობის რეაბილიტაცია თბილისის მერის ინიციატივით დაიწყო. შედეგად, ვფიქრობ, მივიღეთ საკმაოდ აქტიური მუზეუმი.

ვერობაში არის ასეთი გამოთქმა — თუ დამთვალე რეპელი არ მიდის მუზეუმში, მაშინ მუზეუმში მიდის დამთვალე რეპელი. ჩვენც ვცდილობთ, თავად მივიღეთ დამთვალე რეპელი. მეტიც, გვაქვს პრეტენზია, გვქონდეს ქართული ლუკრა.



... და აღდგენის შემდეგ

— მუზეუმს ასეთი ამბიციური განაცხადის შესაბამისი ბაზა გააჩნია?

— განაცხადი მართლაც თამამი, პრეტენზიული და ამბიციურია, თუმცა ამის საფუძველი ნამდვილად გვაქვს. ჩვენთან დაახლოებით ნახევარი მილიონი ექსპონატი ინახება. დაახლოებით ვამბობ იმიტომ, რომ მაგალითად, აფიშების კოლექცია მოიცავს ექსპონატებს 300 ათასს ზემოთ.

— მათგან ყველაზე ძველი რომელია?

— პირველი ქართული აფიშა სპექტაკლისა „სამშობლო“ ინახება ჩვენთან. ჩვენთანვეა დაცული პირველი ქართული პროგრამა და გიორგი ერისთავის პირველი ქართული პიესები. აქ ინახება ზაქარია ფალიაშვილის, ნატო ვანხაძის, ნიკოლოზ შენგელაიას, ილიკო სუნიშვილისა და ნინო რამიშვილის, სესილია თაყაიშვილის პირადი არქივები.


აქ ნახავთ ჯუზეპე ვერდის ფაქსიმილეს, შტრაუსის ხელნაწერს, „დაისის“ ორიგინალსა და სესილია თაყაიშვილის ანდერძს. ამ შემთხვევაში მხოლოდ ხელნაწერთა არქივს მიმოვიხილავ.

— რეპრესირებულ რეჟისორთა შესახებ რამასალებს ფლობთ?

— გვაქვს კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის მთელი არქივი. რომ არა ეს მუზეუმი, ახმეტელის შესახებ დღეს ბევრი რამ აღარ გვეცოდინებოდა. ყველა მისი დადგმის ფოტო, რომელიც გადარჩა, ჩვენთან ინახება. სხვათა შორის, არქივი გმირობის ფასად გადაარჩინა მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა. იგი ფოტოებს მრავალ წელიწადს საბნის ქვეშ მალავდა. სანდრო ახმეტელის რეაბილიტაციის შემდეგ კი ჩვენს მუზეუმს ჩააბარა. ჩვენთანვეა დაცული ისტორიული კოსტიუმების ყველაზე დიდი კოლექცია. აქვე ინახება ცნობილი ფილმებისთვის — „ბაში-აჩუკი“, „გიორგი სააკაძე“, „ქეთო და კოტე“ შექმნილი კოსტიუმები. თამარ მეფის კაბის ასლი, რომელიც ფრესკებისა და მიხაი ზინის ნახატების მიხედვით აღდგა, სოლიკო ვირსალაძის მიერ სხვადასხვა საოპერო დადგმისთვის, მათ შორის „აბესალომ და ეთერისთვის“ შექმნილი კოსტიუმები...

— ალბათ არის ისეთი ნივთებიც, რომელიც მუზეუმში მოულოდნელად აღმოჩნდა...

— ასეთი გახლავთ ჩვენი წმინდანის, დიმიტრი ყიფიანის ნესესური. იგი ახალგაზრდობაში მსახიობობდა და მისთვის მაკიაჟის გასაკეთებელი ნესესური ჩვენთან ინახება. მასზე



გალაქტიონ ტაბიძის მიერ 1925 წელს ექსპრომტად შესრულებული ლექსის ავტოგრაფი

გამოსახულია გვირგვინი, ასომთავრული წარწერა კი მიგვანიშნებს, რომ ის დიმიტრი ვიფიანს ეკუთვნოდა.

— მუზეუმში დაცული ფოტომასალა ძირითადად რა ტიპისაა?

— ჩვენთან 120 ათასზე მეტი ფოტოა დაცული. მათ შორის პირველი ქართული ფოტოები 1800-იანი წლებიდან. აქ არის ერმაკოვის ბრწყინვალე კოლექცია. ნახავთ ქართული და სამხრეთ კავკასიის ყველა თეატრალური დასის ფოტოებს. ასევე ფოტოებს, რომლებიც ამა თუ იმ ფილმის გადაღების პროცესს ასახავს. ამ ფილმიებიდან ზოგიერთი ვერ გადარჩა, მაგრამ გადარჩა მათი გადაღების ამსახველი ფოტოები.

ჩვენთან ინახება ფოტოები, რომელიც ფილმ „ქეთო და კოტესთვის“ გადაღებული ჯვრისწერის სცენას ასახავს. ეკლესიისა და იმის გამო, რომ მღვდელი ჯვარს წერდა, საბჭოთა ცენზურამ ეს ადგილი ფილმიდან ამოჭრა და გაანადგურა, მაგრამ ფოტოები გადარჩა.

— ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ალბათ ფონოლოკუმენტებია...

— ჩვენთან ინახება მაგალითად აკაკის ხმის ორიგინალი. ბევრი რამ, რაც საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის ოქროს ფონდში თანამედროვე მატარებლებზეა გადატანილი, ორიგინალის სახით ჩვენთანაა დაცული ე.წ. ხელუხლებელ ფონდში. მათ შორის ნაწილი ცვილის ლილვაკებზე ჩაწერილი ფონოგრაფებია და მათ ბუნებრივია ვერ მოვუსმენთ, რადგან ერთადერთია. დაცულია ყველა ქართული ოპერის, ასევე ცნობილი საოპერო

შემსრულებლების ე.წ. ფირფიტების კოლექციაც.

იტალიის გაერთიანების 150 წლისთავი სრულდება და ევროპის სახლში ჩვენი მუზეუმი გამოფენს მთელ იტალიურ მასალას, რომელთა ნაწილი იტალიურ ოპერას უკავშირდება.

— როგორია ვერდის ფაქსიმილესა და შტრაუსის ხელნაწერის საქართველოში მოხვედრის ისტორია?

— საქართველოში პირველი ოპერა იტალიელებმა დააარსეს. მათ იტალიიდან წამოიღეს ძალიან ბევრი რამ — ძვირფასი მინიატიურები, ესკიზები, საოპერო პარტიტურა. სწორედ ასე აღმოჩნდა ჩვენთან ვერდის საოპერო კლავირები, რომელსაც მისი ფაქსიმილე ერთვის. ჩვენთანვეა იტალიური პარტიტურებისა და კლავირების ხელნაწერები.

— არანაკლებ ძველია წიგნები, რომელიც მუზეუმის ბიბლიოთეკაშია.

— ბიბლიოთეკა 36 ათას ერთეულს მოიცავს. ეს არ არის გრანდიოზული ფონდი და ამით ვერავის გავაკვირვებთ, მაგრამ ბევრი ნიმუში მხოლოდ ჩვენთან არის დაცული. მაგალითად, „მსოფლიო კოსტიუმის ისტორია“. ეს საქართველოში ერთადერთი ვგებმქლარია და კოტე მარჯანიშვილის ბიბლიოთეკიდანაა მისივე ექსლიბრით. ბიბლიოთეკაში დაცული წიგნებიდან ყველაზე ძველი 1639 წლის გამოცემაა.

ჩვენს საცავში მოხვდა ასევე წიგნები სასახლის ამშენებლის, გრაფ კონსტანტინ ოლდენბურგის პირადი ბიბლიოთეკიდან. ამიტომაც, ჩვენთან ძველნაბეჭდი ევროპული წიგნები გაცილებით მეტია, ვიდრე ქართული.

— ბოლო წლებში კოლექცია როგორ იცვლება?

— ორი წლის განმავლობაში 8 ათასამდე ნივთი შევმატეთ კოლექციას. კულტურის სამინისტრო, რა თქმა უნდა, გვეხმარება. თუმცა ექსპონატები უმეტესწილად საჩუქრად მივიღეთ.

უნდა გამოგიტყდეთ, ევროპის მუზეუმების დათვალეობებისას, როდესაც გვიხსნიდნენ, ესა თუ ის ექსპონატი მუზეუმს როგორ აჩუქეს, გული მწყვდებოდა, რომ ჩვენთან ასეთი რამ არ ხდებოდა. თუმცა დღეს ვითარება შეიცვალა. ბევრი დარწმუნდა, რომ ნივთი, რომელსაც მუზეუმს აჩუქებენ, მოვლილიც იქნება, დაცულიც და წარმოჩინდება კიდევაც. ამას გარდა, მათი ღვაწლიც დაფასდება.

ჩვენ გვაქვს ე.წ. უკვდავთა ბაღი, სადაც ყოველ წელს მუზეუმის შემომწირველებს გადავცემთ სამუზეუმო ჯილდოს — ბროლის აპოლონიით. ეს მათ სტიმულს აძლევს, რადგან ხვდებიან, რომ თავიანთი ნივთი ქართველ ხალხს აჩუქეს...

პრეცედენტი ქალბატონმა ნინო სუხიშვილმა შექმნა, როდესაც „სუხიშვილების“ კოსტიუმების კოლექცია გადმოგვცა. ასევე იქცვიან ორგანიზაციებიც. მოზარდ მაყურებელთა თეატრმა ლადო გუდიაშვილის ტილო გადმოგვცა, თუმანიშვილის თეატრმა — თუმანიშ-

ვილის სპექტაკლებისთვის ხელით შექმნილი კოსტიუმები...

— თქვენს სამუშაო მაგიდასთან სხვადასხვა ეპოქის ფოტოალბომებაცაა.

— დიახ, აქ არის ამ სასახლის დიასახლისის, აგრაფინა ჯაფარიძის ალბომი, თუმცა კი თავად მისი სურათი ალბომში არ არის. ეს ალბომი მეტად ღირებულია, რადგან მისი თითოეული გვერდი მოხატულია და თანაც მასში იმ პერიოდისთვის ცნობილ ადამიანთა ფოტოებია.

რადგან ამდენი ფოტოალბომი და ფოტოა, გადავწყვიტეთ, რესტავრაციის დასრულების



სავამოფენო დარბაზი აღდგენამდე და აღდგენის შემდეგ





მუზეუმში დაცული სასცენო კოსტიუმის დეტალი

შემდეგ ქართულ და მსოფლიო ფოტოხელოვნებასთან დაკავშირებული მუდმივმოქმედი ექსპოზიცია გაუხსნათ. თანამედროვე ინტერიერში, ფოტოებთან ერთად, ისტორიული ფოტოალბომებიც გამოიფინება.

ჩვენთან ასევე დაცულია ავეჯის, ქანდაკების კოლექციები. ამას გარდა, გვაქვს ყველაზე გამორჩეული შენობა თბილისში. ეს შენობა, ულამაზესი ქუჩა და აქ დაცული საგანძური ბრწყინვალე სინთეზია, რათა მუზეუმში ტურისტებისთვის ყველაზე მიმზიდველი გახდეს.

ჩვენ არ ვაპირებთ ისეთი ექსპოზიციების მოწყობას, ამ სიტყვის მხოლოდ კლასიკური გაგებით, როცა ვიტრინის მინის მიღმა შეგძლება ნივთის ნახვა. სპეცფექტებისა და ინსტალაციის გამოყენებით დამთვალიერებელს ერთგვარ შოუს შევთავაზებთ. ვთქვით, კოსტიუმის უკან აუცილებლად იქნება კადრები შესაბამისი ფილმიდან. ბავშვებისთვის გვექნება ინტერაქტიული თამაშები, რომ გამოიცნონ, ვისია კოსტიუმი ან რომელი სპექტაკლისთვისაა.

სასახლის დამთვალიერება მიწისქვეშა სართულებიდან დაიწყება. დამთვალიერებლები ნახავენ, როგორი იყო მომსახურე პერსონალი, სად ინახავდნენ საკვებს, ზემო სართულებზე გაეცნობიან სასახლის დროინდელ ყოფას

და ნელ-ნელა გადმოვლენ თანამედროვეობაზე.

ყველა ნივთში, რომელიც მუზეუმშია, მისი შემოქმედის ნაწილს ვხედავთ და შევეცდებით, ეს განცდა დამთვალიერებელამდეც მივიტანოთ.

— მუზეუმში დაცული უნიკალური ნივთები შესაბამის პირობებში ინახება?

— თამამად გეტყვით, რომ ჩვენ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო საცავები გვაქვს და პირველად სწორედ ისინი მოაწესრიგეთ. ვერ უარვყოფ, რომ რამდენიმე წლის წინ მდგომარეობა უძვირესი იყო. დღეს არ გვაწვიმს, არ გვათოვს, მაგრამ არც პრობლემები გვაკლია...

შარშან მოახერხეთ სპონსორები მოგვეძიებინა, რომელთაც ჩვენი ბიუჯეტის ნახევრის ოდენობის თანხები გაიღეს. თამამად ვიტყვი, ქართველი კაცი ხელოვნებისთვის ფულს იმეტებს, თუ ამას კარგად შეფუთულს მიაწოდებ.

მაგალითად, ვთავაზობთ სიყვარულის ღია ბარათების კოლექციის გამოცემას, რომელიც მხოლოდ ჩვენთანაა დაცული; ჩვენ ამის ექსკლუზიურ უფლებას გადმოგცემთ, თქვენ მათი რესტავრაცია დაგვიფინანსეთ. დამფინანსებლისთვის ასეთი წინადადებები ხშირად ხელსაყრელია.

კომპიუტერულ ფირმებს შევთავაზეთ მოეცათ არა ფული, არამედ კომპიუტერები, რათა არქივები დაგვემუშავებინა. კომპანიები ასეთ ურთიერთობაზე მოდიან.

შარშან 22 გამოფენა გვექონდა. წლებულს მეტს მოაწყოთ. როცა ჩვენს დარბაზებში გამოფენის საშუალება არ არის, ექსპოზიცია სხვაგან მიგვაქვს. მაგალითად, ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიხაი ზიჩის გამოფენაში ჩვენი ექსპოზიციის ნაწილიცაა წარმოდგენილი.

— საკუთარი კოლექციიდან მუზეუმისთვის რამე თუ გაიმეტეთ?

— სხვათა შორის, მეც ვაგროვებდი კოლექციას, მაგრამ მივხვდი, რომ მუზეუმის დირექტორმა კარგი ნივთები, თუნდაც მის მიერ შეგროვებული, შინ არ უნდა დაიტოვოს.

მუზეუმს წიგნებისა და აღმოსავლური მინიატიურების კოლექცია გადავეცი. მაქვს არცთუ ურიგო ნუმისმატიკური კოლექცია, რომელიც მართალია მენანება, მაგრამ აუცილებლად გავიმეტებ. როცა თურქეთში ვარ, ვცდილობ შევიძინო ძველი აღმოსავლური კოსტიუმები. ერთი ასეთი უკვე გადავეცი მუზეუმს...



ლისაბონში აღმოჩენილი ქეთევან დედოფლის წამებისადმი მიძღვნილი პანო. დეტალი
გიორგი კალანდიას ფოტო

რა ბელი
ეწია ქეთევან
დედოფლის
წმინდა
ნაწილებს...

წმიდა მოწამე ქეთევან დედოფალი, ქრისტიანული სარწმუნოების არდატევებისთვის, ირანის შაჰის აბას I-ის ბრძანებით, 1624 წლის 12 სექტემბერს ქალაქ შირაზში საჯაროდ, საშინელი წამებით მოკლეს. ქართველთა დედოფალი ძალიან შეეცოდათ შირაზის მცხოვრებთ, მაგრამ შაჰის შიშით ვერაფერს ბედავდა მის ნემსთან მიახლოებას. წამებას ესწრებოდა პორტუგალიელი ავგუსტინელი მისიონერი, მამა ამბროზიო დუშ ანჟუში, რომელიც 1618 წლიდან იმყოფებოდა ირანში და ქეთევანსაც იცნობდა.

სწორედ ამბროზიო დუშ ანჟუშმა აღმოაჩინა ქეთევან დედოფლის საფლავი დასჯიდან რამდენიმე თვეში. მისი თქმით, „როგორც კი ქეთევან დედოფალს სული ამოხდა, მისი ნემ-

ჩამონგრეული კოშკი
გოას ავგუსტინელთა მონასტერში
ბიორბი კალანდის ფოტო



ტი ტომარაში ჩააგდეს და ორ კაცს დაავალეს დაეფლათ მინდორში, სადაც უკვე ამოთხრილი ჰქონდათ ღრმა ორმო. ცხედარი ორმოში ჩააგდეს და ისე დააყარეს მიწა, რომ ქრისტიანებს ვერც კვალი შეემჩნიათ და არც რაიმე მოსაგონარი დარჩენოდათ... დედოფლის ნეშტი დამარხული იყო სამი თვისა და ცამეტი დღის განმელობაში... თან პორტუგალიელი ტყვე და ჩემი მსახური წაიყვანე. მათთან ერთად მივედი მინდორზე, სადაც ორმოში დაფლეს დედოფალი და თხრა დავიწყეთ. რადგან ორმო მეტად ღრმა იყო, იმ ღამეს ცხედრამდე ვერ მივალწიეთ. 1625 წლის 4 იანვარი გახლდათ“.

მეორე ღამით, ავგუსტინელმა მისიონერმა და მისმა მხლებლებმა ორმოს თხრა განაგრძეს და წამებული დედოფლის ნეშტს მიაკვლიეს. „თვალცრემლიანებმა ამოვასვენეთ დიდებული ქეთევან წამებულის ცხედარი და ჩვენს მონასტერში წავასვენეთ საიდუმლოდ“. ამის შემდეგ, ამბროზიო დუმ ანჟუმმა დედოფლის ცხედარი, უკეთ დაცვის მიზნით, ისპაპანის ავგუსტინელთა მონასტერში გადაასვენა.

მცირე ხანში, 1626 წლის მარტში, შაპის ბრძანებით, ისპაპანის მონასტრის ავგუსტინელი ბერები დააპატიმრეს და შირაზში გადაიყვანეს. მონასტრის წინამძღვარმა მანოელ და მადრე დე ლუსმა გადაწყვიტა, თან ერთადერთი განძი, წმინდა დედოფლის სხეული წაეღო. ბერები ათი თვის განმელობაში შირაზის ციხეში ჰყავდათ გამოკეტილი. 1627 წლის თებერვალში მათ ისპაპანის მონასტერში დაბრუნების უფლება მისცეს. დაუყოვნებლივ წამოვიდნენ და თან წამოიღეს წამებულის ცხედარიც.

ავგუსტინელმა ბერებმა წამებული დედოფლის ნეშტის წმინდა ნაწილები საგანგებოდ გამზადებულ ლუსკუმაში ჩაასვენეს. ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები „ჰკურნებდის სნეულთა, თუ ვინ მიუდგის კარებსა“ (თეიმურაზ I).

უაღრესად საინტერესოა ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების შემდგომი ბედი. 1626 წელს, როცა თეიმურაზ I იძულებით „შეურიგდა“ შაჰს, მან პირველ რიგში წამებული დედის ნეშტის სამშობლოში გადასვენება ითხოვა. აბას I-მა ნება დართო თეიმურაზს, ქეთევანის ცხედარი საქართველოში წაესვენებინა. მაგრამ სეფიანთა კარზე არ იცოდნენ, სად ინახებოდა დედოფლის ნეშტი. შაჰი ქართლ-კახეთის მეფეს ატყობინებდა, რომ ცხედარი კათოლიკე მისიონერებმა მოიპარეს, მაგრამ არ ვიცით, ავგუსტინელებმა მოიმოქმედეს ეს თუ ფეხშიშველა კარმელიტებმაო.

როდესაც ავგუსტინელმა მისიონერებმა თეიმურაზ I-ის სათხოვრის შესახებ შეიტყვეს, გოას ავგუსტინელების მონასტერში (გოა — ქალაქი-ნავსადგური ინდოეთში; 1510 წელს დაიპყრეს პორტუგალიელებმა; აღმოსავლეთში ავგუსტინელ მისიონერთა მოღვაწეობის ძირითადი ადგილი. — გ.ს.) მყოფი, აღმოსავლეთში ავგუსტინელ ბერთა მეთაურის ბრძანებით, 1627 წლის 3 აგვისტოს საქართველოში თეიმურაზ I-თან გამოემგზავრენ ამბროზიო ღუმ ანჟუში და სებასტიანო დე იეზუსი. „თან წვიდეთ წმინდანის თავი, რათა მისი საშუალებით დაგვეოლიებინა დედოფლის ძე, თეიმურაზი, ნება დაერთო მისიონი დაგვეარსებინა მის ქვეყანაში“, — წერს ამბროზიო ღუმ ანჟუში. მაგრამ გზაში ორივე ავად გახდა და ისპაჰანში დაბრუნდნენ.

1628 წლის 13 თებერვალს ამბროზიო ღუმ ანჟუში კიდევ ერთხელ გამოემგზავრა საქართველოსკენ. იმავე წლის 11 მაისს ავგუსტინელი მისიონერები გორში შეფვეს წარუდგნენ. თეიმურაზ I-მა მათ ჰკითხა, რა იცოდნენ დედოფლის ცხედრის შესახებ. როდესაც ამბროზიო ღუმ ანჟუშმა თეიმურაზს შეატყობინა, რომ დედოფლის წმინდა ნაწილები — თავის ქალის ნაწილი, აგრეთვე „წამებულის ფეხი, რომელსაც ისევ ეტყობოდა მარწუხების კვა-



ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I მეუღლით. დონ პრინსტოფორო დე კასტილის ნახატი

ალავერდის ტაძარი





ირანის შაჰი აბას I

1626 წელს, როცა თეიმურაზ I იძულებით „შეურიგდა“ შაჰს, მან პირველ რიგში წამებული დედის ნეშტის სამშობლოში გადასვენება ითხოვა. აბას I-მა ნება დართო თეიმურაზს, ქეთევანის ცხედარი საქართველოში წაესვენებინა. მაგრამ სეფიანთა კარზე არ იცოდნენ, სად ინახებოდა დედოფლის ნეშტი. შაჰი ქართლ-კახეთის მეფეს ატყობინებდა, რომ ცხედარი კათოლიკე მისიონერებმა მოიპარეს, მაგრამ არ ვიცით, ავგუსტინელებმა მოიმოქმედეს ეს თუ ფეხშიშველა კარმელიტებმაო...

ლი“ ჩამოიჭანა, მეფემ დიდად დაუმაძღლა, — მთელი მსოფლიოს განძიც რომ ჩამოგეტანათ, ჩემთვის დედაჩემის ცხედრის ჩამოსვენებას ვერ შეედრებოდლო. მეორე დღეს, თეიმურაზ I-ის ბრძანებით, დედოფლის წმინდა ნაწილები ალავერდის ტაძრის საკურთხეველში დაასვენეს.

კათოლიკე მისიონერები თავდაპირველად თეიმურაზ I-ის სასახლეში ცხოვრობდნენ. შემდგომ მეფემ მათ შესთავაზა, აერჩიათ საცხოვრებელი ადგილი. პატრებმა გორი აირჩიეს. ასე შეიქმნა ავგუსტინელთა მისიონი აღმოსავლეთ საქართველოში ამბროზიო დუმან-

ფუმის მეთაურობით, რომელმაც 1640 წლამდე იარსება.

საყურადღებოა თეიმურაზ I-ის მიერ რომის პაპის — ურბან VIII-სადმი 1629 წლის 6 იანვარს გაგზავნილი წერილი, რომელშიც მეფე მიუთითებდა: „აგერ უკვე ერთი წელია, რაც ჩვენი დედის სხეულის ნაწილები, გამშრალი ძვლები, პართიის სამეფოს კარიდან, ისფაჰანიდან, ჩვენს ქვეყანაში ჩამოგვიტანა ავგუსტინელთა ორდენის წარმომადგენელმა, ღირსეულმა მამა ამბროზიომ, რომელსაც ამ სამსახურისთვის ჯილდოდ გადაუცით ადგილი და მიწა საარსებოდ, საცხოვრებელი სახლისა და ეკლესიის ასაგებად“.

XVII საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს თეიმურაზ I-მა ირანში ზავის დასადგებად მიაგლინა მთავარეპისკოპოსი იოანე, რომელმაც წარმატებით შეასრულა დავალება. გარდა ამისა, მან ისპაჰანის ავგუსტინელთა მონასტრიდან წამოიღო ქეთევან დედოფლის სხვა წმინდა ნაწილებიც, რომლებიც ასევე ალავერდში დაასვენეს: „მოითხოვნეს ნეშტნი იგი ნაწილნი წმინდაი, და პატეიითა დიდითა მიიღეს ადგილსა მას, სადა ისხნეს სხუანი იგი ნაწილნი“ (გრიგოლ ზუცესმონაზონი-დოდორქელი). ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ალავერდის ტაძარში, სადმართო ტრაპეზის ქვეშ, 1723 წლამდე ინახებოდა. როგორც რუსეთის ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული მასალებიდან ირკვევა, თეიმურაზ I-ს ალავერდში არსებული ნეშტის ნაწილიდან, მცირედი რელიკვია რუსეთის მეფისთვის ალექსეი I-ისთვის გაუგზავნია 1656 წლის 18 აპრილს და მიუწერია კიდევ: — Да послал я к тебе часть мощей матери моеи от ноги великого перста. ჩვენთვის უცნობია რუსეთში გაგზავნილი ამ წმინდა ნაწილების შემდგომი ბედი.

ალავერდში დარჩენილი წმინდა ნაწილები კი 1723 წელს დაიკარგა, როდესაც კახეთის სამეფოს ოსმალები და ლეკები დაესხნენ თავს. მეფე კონსტანტინე II მაჰმად ყული ხანმა თავი ქიზიყს შეაფარა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს, მისი ძმა „თეიმურაზ და უმეტესნი კახნი დედაწულით და ეპისკოპოსებით მივიდნენ ანანურს (არამედ რომელსა ეტვირთა ნაწილი წმიდათა, უბრკმა ცხენსა მისსა არაგუსსა შინა და წარიღო ნაწილნი იგი და დაიკარგა ქეთევან დედოფლის ნაწილითურთ)“.

საქართველოსა და რუსეთის გარდა, ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ევროპასა და აზიაშიც წაასვენეს. ისტორიულ წყაროებ-

ზე დაყრდნობით, დანამდვილებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ისინი მოხვდა გოასა და რომში, სავარაუდოდ — ნამიურსა (ბელგია) და საფრანგეთში.

როგორც აღვნიშნეთ, 1627 წლისთვის წმინდა მოწამის ნეშტი მთლიანად ინახებოდა ისპაჰანის ავგუსტინელ ბერთა მონასტერში, საიდანაც მისი ნაწილი კათოლიკე მისიონერებმა 1628 წელს თეიმურაზ I-ს გაუგზავნეს. ამავე დროს, გოაში გაემგზავრა ისპაჰანის მონასტრის წინამძღვარი მანოელ და მადრე დე დეუსი, რომელმაც თან „წმინდა დედოფლის მარჯვენა ხელი ზორციითურთ და მკლავის ძვალი გოას მონასტრის ბერებისა და მთხოვნელთა სანუგეშოდ წაიღო“ (რობერტო გულბენკიანი). მალე გოას მონასტერში ისპაჰანიდან გაიგზავნა კიდევ ერთი სიწმინდე — დედოფლის ქვედა ყბა კბილების გარეშე.

გოაში ჩატანილი წმინდა ნაწილები დაცული იყო შავი ქვის კუბოში, საკურთხევლის მარჯვენა მხარეს.

XX საუკუნის დასაწყისში ა გრასას მონასტრის კოშკი ჩამოიქცა და მთელი შენობა ნანგრევებად აქცია.

ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილებს ინდოეთში სხვადასხვა დროს ეძებდნენ სამეცნიერო ექსპედიციები რევაზ თაბუკაშვილისა და ვაჟა ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, თუმცა მათ წმინდა ნაწილების მოძიება ვერ მოახერხეს. საბოლოოდ, დიდი აღმოჩენა მაინც მოხდა — 2006 წლის ზაფხულში ინდო-

ელმა არქეოლოგმა ნეზამუდინ ტაჰირმა გოას ა გრასას მონასტერში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიაკვლია ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილებს, რითაც ქართველთა არაერთი თაობის სანუგეშარი ოცნება ასრულდა. ეს ინფორმაცია ქართულ საზოგადოებას მიაწოდა, პროფ. გიორგი კალანდიაძემ. ამჟამად, ინდოელი არქეოლოგების მიერ მიკვლეულ წმ. ნაწილებს უკვე ჩაუტარდა დნმ-ის ანალიზი.

როგორც აღვნიშნეთ, ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ვეროპაშიც აღმოჩნდა: XVII



სვეტის ნაწილი, სადაც ნეზამუდინ ტაჰირმა ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები აღმოაჩინა
გიორგი კალანდიაძის ფოტო

გოას ავგუსტინელთა მონასტრისგან დღეს მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი
გიორგი კალანდიაძის ფოტო






სინიორ პიეტრო დელა ვალე
დონ კრისტოფორო დე პასტილის ნახატი

საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს, ავგუსტინელ მისიონერებს წმინდანის ნეშტის რომელიმე ნაწილის გაგზავნა, როგორც რელიკვიისა, სთხოვა ცნობილმა იტალიელმა მოგზაურმა, პიეტრო დელა ვალემ. ბერებმა მას თხოვნა შეუსრულეს: გოას მონასტრიდან წამოღებული, ჩვენ მიერ ზემოთ უკვე მოხსენიებული სიწმინდე, დედოფლის ქვედა ყბა კბილების გარეშე თვატინელმა ბერმა დონ პიეტრო ავიტაბილემ და მამა ანტონიო დე სანტო ვისენტემ 1631 წლის 5 ივნისს, რომში, პიეტრო დელა ვალეს გადასცეს, რაც ამ უკანასკნელმა საგანგებო ხელწერილით დაადასტურა.

ამჟამად უცნობია, რა ბედი ეწია პიეტრო დელა ვალეს ოჯახში დაცულ წმინდა ნაწილებს. 1894 წელს ჟურნალ „მწვემსში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში ისტორიულ წყაროზე დაყრდნობის გარეშე აღნიშნულია, რომ „ქეთევან დედოფლის ნეშტის ნახევარი გორში თეიმურაზ მეფესთან გაგზავნეს, მეორე ნახევარი კი ევროპაში წაიღეს და რომში წმინდა პეტრეს ტაძარში მოათავსეს“. ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ რომში, პიეტრო დე-

ქეთევან დედოფლის წამება
(ლისაბონში აღმოჩენილი პანო)





ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები

გიორგი კალანდიას ფოტო

ლა ვალეს ოჯახში დაცული სიწმინდე შემდგომში ასევე რომში, წმინდა პეტრეს ტაძარში აღმოჩნდა?

1914 წელს გაზეთში „სახალხო ფურცელი — სურათებიანი დამატება“ დაიბეჭდა ბელგიის ქალაქ ნამიურის ხედი ციხესიმაგრით, რომელსაც შემდეგი წარწერა ჰქონდა: „ბელგიელების ციხე ნამიური: შენობების წინა რიგში მოსჩანს ტაძარი, სადაც ქეთევან წამებული ასაფლაუია“. არსებობს ცნობა, რომლის მიხედვითაც 1845 წელს დედოფლის წმინდა ნაწილები ნამიურში ინახებოდა. ზემოხსენებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა ნინო სალიამ გადაწყვიტა, ბელგიაში ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილებისთვის მიეგნო, მაგრამ როგორც თავად აღნიშნავს 1973 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, „ნამიურში ამ რელიკვიების ძებნა უშედეგოდ დამთავრდა“.

საფრანგეთში ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების გაგზავნის ვერსია სომეხ ისტორიკოს არაქელ დავრიჟეცის ეკუთვნის: „ფრანგმა პატრებმა, რომლებიც ქალაქში იყვნენ, მოიპარეს დედოფლის პატიოსანი ცხედარი, ერთი ნახევარი გაახვიეს სუფთა ქსოვილში საკმევლთან და მურთან ერთად და საფრანგეთში გაგზავნეს, სადაც პატივცემულია დი-

დის დიდებით“. სამწუხაროდ, არც ამ ცნობის დადასტურება ხერხდება.

რობერტო გულბენკიანმა 1972 წელს პირველად გამოაქვეყნა ქეთევან დედოფლის წამებასთან დაკავშირებული რამდენიმე სურათი. ისინი ავტორმა აღმოაჩინა ლისაბონში ერთ-ერთი მონასტის კედელზე (აღნიშნული მონასტერი დიდი ხნის წინ სამხედრო ყაზარმად გადააკეთეს). მის ერთ-ერთ დარბაზში 30 მეტრი სიგრძისა და 8 მეტრი სიგანის პანოა აღბეჭდილი.

აქვე საჭიროდ მივიჩნევთ განვმარტოთ, რომ ქეთევანს არასდროს უღიარებია კათოლიკური სარწმუნოება, რასაც მკაფიოდ და გარკვევით მიუთითებდა თვით ამბროზიო დუშანჟუში 1640 წელს რომში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში: „საყარაუდოა, რომ დედოფალი ზეცაშია და ღვთის დიდებით ზარობს. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ წეს-ჩვეულებებს მისდევდა, იგი დიდი სიყვარულით ეკიდებოდა წმინდა კათოლიკურ ეკლესიასა და ყველა ლათინელს“.

საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ქეთევან დედოფალი წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღედ 13 სექტემბერი (ახალი სტილით 26 სექტემბერი) დადგინდა.

ბონა საითიქა



მეფე ჩარლზ I სტიუარტის ნაპირსი

XVII საუკუნის დასაწყისისთვის ინგლისში ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ ქვეყანა თავისი ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს და დრამატულ პერიოდში შედიოდა. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ ეს იყო უდიდესი გადატრიალებების, სამოქალაქო ომების, პოლიტიკური და რელიგიური გარდაქმნების საუკუნე. მიუხედავად წლითიწლობით ვითარების დაძაბვისა, ვერც ერთი პოლიტიკოსი მომავლის ყველაზე თამამ პროგნოზებშიც კი ვერ დაუშვებდა, რომ სულ მალე მეფე ართურისა და კამელოტის, რიჩარდ III ლომკულის, ჰენრი VIII-ისა თუ ელიზაბეტ I-ის ქვეყანაში მონარქის სისხლი დაიღვრებოდა.

1625 წელს ინგლისის მეფე ჯეიმზ I სტიუარტი გარდაიცვალა. სამეფო ტახტზე ავიდა მისი ვაჟი, ოცი წლის ჩარლზ I. ჩარლზი 16 წლის ასაკში გახდა ტახტის მემკვიდრე, მას შემდეგ, რაც მისი ორი უფროსი ძმა გარდაიცვალა. ბავშვობისას დამჯერი, მშვიდი და უწყინარი იყო. ახალგაზრდობის წლებში კი თეოლოგიურმა დისკუტებმა და საბრძოლო ხელოვნებამ გაიტაცა. ახალგაზრდა მეფე მამაცი იყო, განსწავლული, სამხედრო საქმეში ბრწყინვალედ გარკვეული მონარქი. თუმცა ახასიათებდა ქედმაღლური დამოკიდებულება ქვეშევრდომებისადმი. ეს გარკვეულწილად აფრთხობდა მისადმი ერთგულად განწყობილთ. ამასთან, მეფეს უჭირდა საუბრისას შესაბამისი ტონის შერჩევა: უკან იხევდა და დამთმობი ხდებოდა მამინ, როდესაც პრინციპულობა იყო საჭირო, ხოლო დათმობებზე წასვლის საჭიროებისას უკომპრომისობას იჩენდა. საბოლოო ჯამში, ამან მეფის მრავალი მნიშვნელოვანი შეცდომა განაპირობა. ჩარლზ I გულმხურვალე ქრისტიანი იყო. ღრმად სწამდა,

რომ სამეფო ხელისუფლება ერთმნიშვნელოვნად ღვთისგან მომდინარეობდა, მონარქი კი მხოლოდ უფლის სამსჯავროზე აგებდა პასუხს. ჩარლზი დარწმუნებული გახლდათ, რომ მეფის ხელისუფლება აბსოლუტური უნდა ყოფილიყო. არც ერთ მიწიერ სტრუქტურასა თუ ინსტიტუციას (პირველ რიგში კი პარლამენტს) არ ჰქონდა უფლება, ღვთივდადგენილი ხელისუფლება შეეზღუდა. ჩარლზ I, მიუხედავად თავისი არაკეთილგანწყობისა პარლამენტისადმი, დამოკიდებული აღმოჩნდა მასზე. პარლამენტი ფლობდა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ბერკეტს – სუბსიდიებს. მეფე იძულებული იყო, ფინანსებისთვის საკანონმდებლო ორგანოსთვის მიემართა. თავის მხრივ, პარლამენტი ამ მდგომარეობით სარგებლობდა და სამეფო პოლიტიკაში მაქსიმალურად ჩარევას ცდილობდა. ამასთან, მხარეებს სხვადასხვა პრიორიტეტი ჰქონდათ, მათი საერთო აზრამდე მისვლა პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანდა. ქვეყნისთვის საზიანო ასეთ ურთიერთობათა სამწუხარო ტრადიციის დასრულება იყო ურთიერთობათა სამწუხარო ტრადიციის დასრულება.

დიცია ჯეიმზ I-ის დროიდან ჩამოყალიბდა.

ჩარლზ I-მა 1625 წელს თავის პირველ სესიანზე ხისტად და იმპერატიულად მოსთხოვა პარლამენტს სუბსიდიები ესპანეთთან ომისთვის. დეპუტატები მეფისთვის მხოლოდ 140 ათასი გირვანქა სტერლინგის გამოყოფას დათანხმდნენ და ამ მიზნით ე.წ. კასრის გადასახადი შემოიღეს, ისიც ერთი წლით. იმედგაცრუებულმა მეფემ პარლამენტი დაითხოვა. რიგით მეორე პარლამენტი 1626 წელს ამოქმედდა. თუმცა არც მას დაუკმაყოფილებია მეფის ბრძანება სუბსიდიებთან დაკავშირებით. მეტიც, დეპუტატები შეეცადნენ, ჰერცოგი ბეკინჰემი სასამართლოს წინაშე წარედგინათ. ჩარლზმა განაცხადა, რომ ჰერცოგის ყველა განკარგულებზე თავად იღებდა პასუხისმგებლობას. მეფემ კვლავ სასწრაფოდ დაითხოვა პარლამენტი, ოპოზიციონერ დეპუტატთა ნაწილი დააპატიმრეს. მესამე პარლამენტი 1628-1629 წლებში მოქმედებდა. მეფესა და დეპუტატებს შორის ცხარე კამათი განახლდა, ბეკინჰემის გასამართლებაც კვლავ მოითხოვეს. გარდა ამისა, „თავისუფლებათა დიდ ქარტიაზე“ (XIII ს.) დაყრდნობით, ოპოზიციურმა თემთა პალატამ მეფეს წარუდგინა „პეტიცია უფლებათა შესახებ“. პეტიციის მიზანი იყო მონარქის ხელისუფლების შეზღუდვა ხალხის ინტერესებისთვის. მეფემ, როგორც იქნა, პეტიცია დაამტკიცა. მას შემდეგ ეს დოკუმენტი პარლამენტის მთავარი იარაღი გახდა მონარქისთან კონფლიქტში. დათმობის მიუხედავად, ჩარლზმა სუბსიდიები ვერ მიიღო, დეპუტატები ბეკინჰემის გასამართლებას ითხოვდნენ (1628 წელს ჰერცოგი ოფიცერმა ფელტონმა მოკლა). მეფემ კიდევ ერთხელ სასწრაფოდ დაშალა პარლამენტი, პეტიცია უარყო და მტკიცედ გადაწყვიტა, ამიერიდან ქვეყანა უპარლამენტოდ ემართა.

1629-დან 1640 წლამდე ჩარლზ I-ის შეუზღუდავი, აბსოლუტური მმართველობის პერიოდი იყო. ის ეყრდნობოდა სამ პირს, რომელთა ოსტატური პოლიტიკის წყალობით ჩარლზმა თავისი აბსოლუტიზმის თერთმეტი წლით გახანგრძლივება შეძლო. ეკონომიკის სფეროში მეფის ტახტს ხაზინადარი ლორდი რიჩარდ უესტონი ამყარებდა. იგი სხვადასხვა ხერხით ახალ-ახალ გადასახადს აწესებდა ქვეყანაში. მისი მიზანი იყო, მეფისთვის პარლამენტისგან დამოუკიდებელი ფინანსური ბაზა შეექმნა. სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში მეფე თავის უსაყვარლეს მინისტრსა და

მრჩეველს, გრაფ სტრაფორდს ეყრდნობოდა, რომელიც უკომპრომისო პოლიტიკას ატარებდა ოპოზიციონერებისადმი, აპატიმრებდა ხელისუფლებისადმი უარყოფითად განწყობილთ, უზრუნველყოფდა უესტონის მიერ დაწესებული გადასახადების აკრეფას, აგრეთვე, სამეფო ჯარს აყალიბებდა. საეკლესიო სფეროში მეფის მარჯვენა ხელი იყო ანგლიკანური ეკლესიის პრიმასი, კენტერბერის მთავარეპისკოპოსი უილიამ ლოდი. იგი აქტიურად იბრძოდა სამეფო ეკლესიის გასაძლიერებლად. ლოდი ასევე ხელს უწყობდა ანგლიკანური ეკლესიის კათოლიციზმთან დაახლოებას. მთავარეპისკოპოსი ყველგან დაულალავად ქადაგებდა ჩარლზის აბსოლუტიზმის ღვთიერკურთხეულობის შესახებ. ლოდი აფრთხილებდა ხალხს, რომ ჩარლზის ხელისუფლებასთან ნებისმიერი სახის დაპირისპირება დიდი ცოდვა იყო. ყველა ეპისკოპოსსა და პასტორს მთავარეპისკოპოსი ავალებდა, კათედრებიდან აბსოლუტიზმის განსაზღვრებლად ექადაგათ.

მეფის აპარატის მცდელობა, აბსოლუტიზმისთვის მტკიცე საფუძვლები შეექმნა, მხოლოდ დროებით და მოჩვენებით შედეგებს იძ-



უილიამ ლოდი



ანტონის ვან დიეიკი.
„ჩარლზ I, ინგლისის მეფე, სამი კუთხით“

ლეოდა. წლიდან წლამდე ჩარლზის ხელისუფლება სულ უფრო სუსტდებოდა. ძალას იკრებდა ოპოზიციური საპარლამენტო უჯრედი, ხალხი უარს ამბობდა გამრავლებული გადასახადების გადახდაზე. სამეფო პოლიცია მრავალ ადამიანს აპატიმრებდა. ანონიმი ავტორები მონარქის საწინააღმდეგო პამფლეტებს ავრცელებდნენ. ჩარლზის მოწინააღმდეგეები აბსოლუტიზმის ამ ეპოქას „თერთმეტწლიან ტირანიას“ უწოდებდნენ. პროტესტი იზრდებოდა. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო საბრძოლო კონსოლიდაცია ჩარლზ I-ის ერთ-ერთმა ყველაზე მნიშვნელოვანმა ოპოზიციურმა სექტრმა, პურიტანულმა საზოგადოებამ. პურიტანებმა, ფაქტობრივად, საზოგადოებრივი აზრის მიმართულება განსაზღვრეს. ისინი ახლა უკვე ძალიან მკაცრად მოითხოვდნენ ანგლიკანური ეკლესიის სრულად იზოლირებასა და კათოლიციზმისგან გაწმენდას.

პურიტანიზმი პროტესტანტული მოძრაობის ყველაზე რადიკალურ ფორმას წარმოადგენდა, მისი საერო გამოხატულება სახელმწიფოს რესპუბლიკური წყობა იყო. ამგვარად, პურიტანები ჩარლზის აბსოლუტიზმსა და მის დასაყრდენს, ანგლიკანურ ეკლესიას დაუპირისპირდნენ. პურიტანიზმის მიმდევართა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. მთავარეპისკოპოსო ლოდი პურიტანებისადმი რეპრესიებს მიმართავდა, ყოველმხრივ ღვენიდა მათ, თუმცა

ეს უკუშედეგს იძლეოდა. აშკარა ხდებოდა, რომ პურიტანიზმი მონარქიის გაცილებით საშიში და ძლიერი მეტოქე იყო, ვიდრე პარლამენტი. 1641 წლისთვის აბსოლუტიზმმა სრული პოლიტიკურ-ეკონომიკური კრაზი განიცადა. ამასთან, სამეფო ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილო შოტლანდიის 20-ათასიანი არმია ინგლისში შეიჭრა. უსახსროდ მყოფმა ჩარლზ I-მა პარლამენტი მოიწვია.

პირველივე სხდომაზე თემთა პალატამ მეფის თერთმეტწლიანი მმართველობის გამოძიება მოითხოვა. ჩარლზმა ისევ დაითხოვა პარლამენტი. შოტლანდიელთა არმია ჩრდილოეთში გამარჯვებებით მოიწვედა. მეფე იძულებული გახდა, კვლავ მოეწვია „ხანგრძლივი პარლამენტი“. ახალი პარლამენტისთვის ეს გახდა შანსი, სერიოზულად შეეცა ჩარლზ I-ისთვის. პურიტანებმაც მასობრივი ანტიმონარქიული ავტაცია გააჩაღეს, ავრცელებდნენ პამფლეტებს. პარლამენტმა საზოგადოებრივი ძალების მხარდაჭერა იგრძნო. ჩარლზის წინააღმდეგ დიდი ტალღა აგორდა. დეპუტატებმა სასწრაფოდ დააპატიმრებინეს ლოდი, სტრაფორდი და „თერთმეტწლიანი ტირანიის“ სხვა აქტიური მოღვაწეები. სულ მალე ლოდი და სტრაფორდი სიკვდილით დასაჯეს.

საზოგადოებრივი ოპოზიცია იმდენად დიდი და ძლიერი იყო, რომ ჩარლზმა ხელისუფლების უმთავრესი საყრდენები ვეღარ დაიცვა. გაათავისუფლეს მონარქიისადმი ოპოზიციურად განწყობილი პოლიტპატიმრები. პარლამენტი თანამიმდევრულად და სრულად აცლიდა ჩარლზის ტახტს საძირკველს. 1641 წელს გაუქმდა აბსოლუტიზმისთვის მნიშვნელოვანი სტრუქტურები – ვარსკვლავური პალატა (უმადლესი ადმინისტრაციულ-სასამართლო ტრიბუნალი) და მაღალი კომისია (უმადლესი საეკლესიო სასამართლო). დაშალეს სამეფო ჯარი. გაუქმდა მეფის ეკონომიკური მონოპოლია და გადასახადები. შეადგინეს „დიდი რემონსტრაცია“, დოკუმენტი, რომლის 204 მუხლში წარმოდგენილი იყო ჩარლზ I-ის მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შედეგები. 1642 წლის იანვარში მეფემ თემთა პალატის ხუთი წევრი შოტლანდიელებთან ფარულ კავშირში დაადანაშაულა. დეპუტატების დაპატიმრება ჩარლზმა ვერ შეძლო, შეერიფები ბრძანებას არ დაემორჩილნენ. განრისხებულმა ბრბომ სამეფო ამაღლას გზა გადაუკეტა.

ნეიზბის ბრძოლა.
თანამედროვე
რეკონსტრუქცია



ლონდონში ხალხის უკმაყოფილება იზრდებოდა. ჩარლზმა დედაქალაქში დარჩენა სასიფათოდ ჩათვალა და 10 იანვარს ჩრდილოეთით, ქალაქ იორკისკენ გაემგზავრა. ინგლისის სწრაფად უახლოვდებოდა სამოქალაქო ომს.

იორკი იქცა მეფის ერთგული ძალების, როიალისტების მთავარ ცენტრად. ძველი ფეოდალური ტრადიციების თავადაზნაურობა იორკში იყრიადა თავს. 1642 წლის სექტემბრისთვის მეფეს 6 ათასი ქვეითი და 2 ათასი კავალერისტი ჰყავდა. როიალისტების ხელთ იყო ქვეყნის ჩრდილოეთი და დასავლეთი ნაწილები. პარლამენტის გამგებლობაში კი შედიოდა ეკონომიკურად ძლიერი სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორიები: ლონდონი და სამრეწველო-სავაჭრო თვალსაზრისით განვითარებული ქალაქები, უმსხვილესი პორტები. პარლამენტმა 20-ათასიანი არმია ჩამოაყალიბა. 1642 წლის 22 აგვისტოს, ნოტინჰემში, ჩარლზ I-მა საზეიმო ვითარებაში აღმართა სამეფო შტანდარტი. ეს ომის გამოცხადებას ნიშნავდა. მეფის თქმით, მისი მიზანი შეამბოხეთა შეჩერება იყო. დაიწყო სამოქალაქო ომი.

თავიდანვე შესაძლებელი ჩანდა როიალისტთა გამარჯვება. 1642-1644 წლებში სამეფო არმიამ მნიშვნელოვანი დარტყმები მიიყენა პარლამენტის ძალებს. ჩარლზის მომხრე თავადაზნაურობა სამხედრო საქმეს ბრწყინვალედ ფლობდა. ამ მხრივ პარლამენტის არმია მოისუსტებდა. თითქოს როიალისტები ახლოს იყვნენ კიდევ საბოლოო გამარჯვებასთან, თუმცა სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. პარლამენტის მხარეს შოტლანდია ომში ჩაება. ჩარლზს ორ ფრონტზე მოუწია ძალების გაყოფამ, სულ მალე კი მეფის წინააღმდეგ პურიტანთა მძლავრი არმია გამოვიდა. „ხანგრძლივი პარლამენტის“ დეპუტატმა ოლივერ კრომველმა პურიტანული მრწამსით განმსჭვალული, სამხედრო თვალსაზრისით სანიმუშო არმია ჩამოაყალიბა. კრომველის ლაშქარი საპარლამენტო არმიის დამრტყმელ ძალად იქცა. სწორედ ამ ძალამ შეიტანა ომში გარდატეხა. როიალისტებმა უმძიმესი დარტყმები განიცადეს. 1645 წელს, ნეიზბისთან, კრომველის არმიამ ჩარლზ I საბოლოოდ დაამარცხა. ინგლისის მეფე იძულებული გახდა შოტლანდიაში გაქცეულიყო. 1647 წელს შოტლანდიაში

ოლივერ კრომველი





უინძორის ციხესიმაგრე

ელემა 400 ათასი გირვანქა სტერლინგის საფასურად მეფე პარლამენტს გადასცეს. ჩარლზმა პოლიტიკური ინტრიგების გაბმა გადაწყვიტა. იგი ცდილობდა, დეპუტატთა შორის არსებული დაპირისპირებებით ესარგებლა. ამას მოჰყვა ეფემერული როიალისტური ამბოხება სამხრეთ-აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ჩარლზმა შოტლანდიელებიც გადმოიბირა. კრომველმა 1648 წელს, პრესტონთან, შოტლანდიელები დაამარცხა და როიალისტთა გამოსვლები უმაღლე ჩაახშო. ვითარებას ამჯერად პურიტანული არმია სრულად აკონტროლებდა. კრომველი დათმობას აღარ აპირებდა. მეფესთან მოლაპარაკების მომხრე დეპუტატები მან პარლამენტიდან განდევნა, მათი ადგილი რადიკალურმა ოპოზიციამ დაი-

კავა. კრომველი ლონდონში ტრიუმფატორით შევიდა და უაიტჰოლის სამეფო დარბაზში დაბინავდა.

ოლივერმა გადაწყვიტა, ყოველმხრივ გზამოჭრილი ჩარლზი საბოლოოდ დაემარცხებინა. საგანგებო ბადრამა დაპატიმრებული მონარქი უინძორში, შემდეგ კი სენტ-ჯეიმსის სასახლეში გადაიყვანა. 1649 წელს კრომველმა მეფის გასასამართლებლად 50-კაციანი ტრიბუნალი შექმნა. სხდომები 20 იანვარს უესტმინსტერის სასახლეში გაიხსნა. ჩარლზ I პროცესზე სამჯერ დაიბარეს. თავიდანვე დავევლა გამოსვლაზე იგი თავის მართლებასზე უარს აცხადებდა. უფლებამოსილად არ ცნობდა ტრიბუნალს, ნებისმიერ სხვა მიწიერ ინსტიტუციას ღვთივადგენილი მეფის გასასა-

ჩარლზ I-ის სასამართლო პროცესი





ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯა

მართლებლად. მონარქი აცხადებდა, რომ ღვთისგან მიიღო ხელისუფლება და არა ხალხისგან, რომ იგი იძულებული გახდა, სამხედრო ძალა ეხმარა მეამბოხეთა შესაჩერებლად, კანონებების დასაცავად. სასამართლო პროცესი ნორმათა სრული დაცვით რომ წარმართულიყო, ამ საკითხებში სამართლიანი გარკვევა არაერთ თვეს გაგრძელდებოდა, მაგრამ კრომველი ჩქარობდა. 27 იანვარს ტრიბუნალმა ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო: „ჩარლზ სტიუარტს, როგორც ტირანს, მეამბოხეს, მკვლელსა და ინგლისის სახელმწიფოს მტერს, მიესჯოს თავის მოკვება“. მეფეს განაჩენის აღსრულებამდე სამი დღე მისცეს. ეს დრო ჩარლზ I-მა ლოცვებსა და სულიერ განწმენდას დაუთმო. მის გვერდით იყო ეპისკოპოსი ჯონსონი. მთელი ამ დროის განმავლობაში, ვიდრე უკანასკნელ წუთამდე, მონარქს განსაკუთრებული სიმხნევით ეჭირა

თავი. 30 იანვარს, უაიტჰოლის სასახლის წინ მოწყობილ ემაფოტზე ჩარლზ I-მა სტიუარტმა მუხლი მოიდრიკა. მეფეს თავი მოკვებოდა. რამდენიმე დღეში პარლამენტმა მონარქია გააუქმა, ინგლისში რესპუბლიკა გამოცხადდა. ჩარლზ I-ის ცხედარი უინძორის ციხეში წაასვენეს და იქ დაკრძალეს.

მირონცხებული მონარქის გასამართლება და სიკვდილით დასჯა უპრეცედენტო მოვლენა იყო ქრისტიანული ევროპის ისტორიაში. ეს ფაქტი აშკარად მიანიშნებდა დასავლეთ ევროპის საზოგადოების მსოფლმხედველობასა და ცნობიერებაში მომხდარ ცვლილებებს. 1649 წლის 27 იანვრის შემდეგ ევროპა უკვე აღარასოდეს იქნებოდა ისეთი, როგორც აქამდე ახსოვდათ.

სრულიად ახალი ეპოქა იწყებოდა.



„ანსანერობა“ (1915-1920)

ლაზეთში უბრალო ხალხს „ანსანერების“ იმედი ჰქონდა...

საქართველოში 1905-1907 წლების რევოლუციური გამოსვლების ჩახშობისა და წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) მკვლელობის შემდეგ, დამოუკიდებლობის მომხრეების (როგორც მაშინ უწოდებდნენ — „სამოსტოინიკების“) დიდი ნაწილი ჟანდარმებთან და „ოხრანკამ“ ერთიმეორის მიყოლებით გაანადგურა; გადარჩენილებმა თავს საზღვარგარეთ გაქცევით უშველეს. ყოფილ მეამბოხეთათვის საუკეთესო თავშესაფრად იმხანად ოსმალეთის იმპერიის ტრაპიზონის ვილაიეთის შემადგენლობაში შემავალი ლაზისტანის სანჯაყი ანუ ისტორიული ლაზეთი იქცა; ბევრი ქართველი დამკვიდრდა ასევე ქალაქ ტრაპიზონშიც.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის სპეცსამსახურების მესვეურებმა რუსეთის იმპერიის „შიგნიდან დანგრევის“ მრავალპროფილიანი გეგმა შეიმუშავეს, რომლის აღსრულებაშიც გადამწყვეტი როლი იმპერიის უღელქვეშ მყოფ არარუს ხალხებს უნდა ეთამაშათ. 1914 წელს გერმანიაში ქართველმა ემიგრანტებმა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ დააარსეს.

იმავედროულად, 1914 წლის 2 აგვისტოს გერმანიამ და ოსმალეთმა სამოკავშირეო ხელშეკრულება დადეს, რომლის ძალითაც ოსმა-



აკჰმედ აგა ფაშა (ლორთქიფანიძე)

ლური არმია და ფლოტი, ფაქტობრივად, ბერლინის ხელში მოექცა. გერმანიასთან ამ ხელშეკრულების დადება ოსმალეთის სულთანს, მეჰმედ V რეშადს პროგერმანულად განწყობილმა სამხედრო მინისტრმა, ისმაილ ენვერფაშამ აიძულა, რომელიც იმხანად ორ სხვა ფაშასთან ერთად (აჰმედ ჯემალი და მეჰმედ თალაათი) მთელი ოსმალეთის ფაქტობრივი მმართველი იყო. „სამი ფაშას რეჟიმის“ წყალობით, 1914 წლის 10 აგვისტოს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში ორი გერმანული კრეისერი — „გებენი“ და „ბრესლაუ“ შევიდა; 29 ოქტომბერს კი ოსმალეთმა ანტანტის ქვეყნებს უკვე ოფიციალურად გამოუცხადა ჯიპადი.

ქართული ლეგიონი ოსმალეთში

სწორედ ამ დროს სტამბოლში „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ საგანგებო და სრულუფლებიანი წარმომადგენელი, სოციალისტ-ფედერალისტი ლეო კერესელიძე ჩავიდა, რომელმაც ოსმალეთის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ქართული ლეგიონის ჩამოყალიბების თაობაზე სამ ფაშასთან საიდუმლო მოლაპარაკება გამართა. „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მესვეურთა აზრით, ქართული ლეგიონი პირველ ეტაპზე ემიგრანტი და ოსმალეთის ქვეშევრდომი ქართველებისგან უნდა შემდგარიყო, მერე კი მათ სამხედრო ტყვეებიც მიემატებოდნენ.

სამხედრო მინისტრმა და ოსმალეთის არმიის მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებელმა ენვერ-ფაშამ მალე ქართული ლეგიონის ჩამოყალიბების თაობაზე სპეციალური ბრძანება გამოსცა, რომელსაც 11-პუნქტიანი ინსტრუქციაც ერთვოდა. იგი განსაზღვრავდა ქართული ლეგიონის მთავარ განმასხვავებელ ნიშნებს — ფორმას, დროშასა და წესდებს. საინტერესოა, რომ ლეგიონის ოფიციალურ შტანდარტად დამტკიცდა ორფეროვანი (წითელ-შავი) ალაში, რომელიც ოსმალეთის სახელმწიფო დროშასთან ერთად უნდა ეტარებინათ. ფორმა კი ოსმალური ყაიდისა იყო, თუმცა მისგან ოდნავ განსხვავებული. ლეგიონში ოფიციალურ ენად, რასაკვირველია, ქართული გამოცხადდა.

ამასთან, როცა დღის წესრიგში ლეგიონის პირადი შემადგენლობის საკითხი დადგა, ლეო კერესელიძემ და მისმა ძმამ — ნესტორმა იმედიანი მხერა ლაზისტანის სანჯაყს (ტრაპიზონის ვილაიეთის ნაწილი, შედგებოდა ათინისა

და ხოფის მაზრებისგან) მიაპყრეს. სანჯაყის მოსახლეობას მჭიდრო კავშირი ჰქონდა რუსეთის იმპერიის ქუთაისის გუბერნიასთან, სადაც ლაზები სამუშაოდ და საჯაჭროდ ხშირად დადიოდნენ. გარდა ამისა, ლაზისტანში ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში გამოძვავი ქართული ჟურნალ-გაზეთებიც აღწევდა და საგანგებოდ მუსლიმანთათვის გამოცემული „დედა ენაც“ ვრცელდებოდა; იქ ქართულ რევოლუციურ პარტიებსაც უამრავი გულშემატკივარი და მოკავშირე ჰყავდა და მძებ კერესელიძეებსაც სწორედ მათი იმედი ჰქონდათ.

1915 წლის დასაწყისში, „ქართული ლეგიონი“, რომლის შემადგენლობაშიც სულ 600-მდე ჯარისკაცი (ძირითადად — ემიგრანტები) ირიცხებოდა, ტრაპიზონის ვილაიეთის ტერიტორიაზე გადაიყვანეს. ლეგიონს ამ დროისათვის უკვე გააჩნდა საბრძოლო გამოცდილება — 1914 წლის 9-12 დეკემბერს ოსმალური არმიის მე-7 და მე-8 პოლკების მხარდამხარ არტაანის აღების ოპერაციაში მონაწილეობდა. ქართველმა ლეგიონერებმა, გერმანელ პოლკოვნიკ შტანკეს მეთაურობით, თავიც ისახელეს, თუმცა რუსების კონტრშეტევის შემდეგ უკან დაიხიეს. სწორედ მაშინ მიიღეს სტამბოლში ქართველთა ტრაპიზონში გადაყვანის გადაწყვეტილება.

მუსტაფა კაკალ-ოღლის დაჯგუფების წევრები



ლაზებმა სიტყვა „აქციონერი“ (რაც „დივერსანტის“ სინონიმია იყო) თავისებურად გადააკეთეს და წარმოთქვეს, როგორც „ანსანერი“. თავზე ხელაღებულ, მაგრამ სამართლიან კაცს ლაზურად დღესაც ასე ეძახიან. იმხანად ყველა, ვისაც იარაღის ხელში ჭერა შეეძლო, „ანსანერი“ იყო და ამით ძალიან ამაყობდა.

ტრაპიზონის ვილაიეთის ქვედანაყოფების მეთაური იმხანად აჭარული მუჰაჯირების შთამომავალი, აჰმედ აენი-ფაშა (ლორთქიფანიძე) იყო. ლეგიონის სარდალმა, გენერალმა ლეო კერესელიძემ მისი დახმარებით ფონტისპირა ზონად ქცეულ ლაზეთში შეადგინა და ძველ ნაცნობს — 1905-1907 წლების რევოლუციური გამოსვლების ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს, სოფელ ლიმიანის მკვიდრ რასიმ კოსტ-ოღლის შეხვდა. მას 1905 წლის დეკემბერში, სოჭის ამბოხებაში მონაწილეობისთვის რუსული ჟანდარმერია და „ოხრანკა“ წითელი ცირკულარით ეძებდა, ხოლო ოსმალმა ჟანდარმებმა მისი თავი 20 ათას ოსმალურ ლირად შეაფასეს.

რამდენიმე დღეში, ტრაპიზონში დაბრუნებულ ლეო კერესელიძეს ლაზ ფირალთა მთელი „დელეგაცია“ ეწვია, რომელსაც რასიმ კოსტ-ოღლი და მუსტაჟა ფირალა-ოღლი ხელმძღვანელობდნენ. ფირალებმა ლეგიონში შემოსვლის სურვილი გამოთქვეს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლაზეთის დატოვება არ მოუწევდათ: „ოსმალურ ჯარში სამსახური რომ არ გვინდოდა, ფირალეები იმიტომ გავხდით... ფორმას არ ჩავიცვამთ, სხვაგვარად კი ჩვენი თავი გენაცვალთ!..“ — უთხრა მუსტაჟა ფირალა-ოღლიმ ლეო კერესელიძეს, რომელსაც ამ სიტყვებზე თავში ბრწყინვალე იდეა მოუვიდა — „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ფილიალი უშუალოდ ლაზისტანის სანჯაყის ტერიტორიაზე დაეარსებინა და ლაზი ფირალეები მისთვის დაექვემდებარებინა, როგორც ე.წ. „აქციონერები“ ანუ ტერორისტულ აქტთა მომწყობები. გადაწყდა, რომ რამდენიმე დღეში ლეგიონის მთავარი შტაბის მესვეურები ლაზეთში თავადვე ჩავიდოდნენ.

„საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტი“

აჰმედ აენი-ფაშამ ფილიალის დაარსებასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული ფორმალბობები მართლაც ძალიან მოაგვარა, რადგან პარალელურად, ლეო კერესელიძემ საქმის კურსში ოსმალეთის იმპერიაში გერმანული სარდლობის წარმომადგენლობაც ჩააყენა. ლაზისტანის სანჯაყის ყველა ის მკვიდრი, რომელიც ანტისახელმწიფოებრივი ან კრიმინალური საქმიანობის გამო იძებნებოდა და „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრობა სურდა, შინაგან საქმეთა მინისტრმა თალაათ-ფაშამ შეიწყალა, მიუხედავად იმისა, რომ ტრაპიზონის იმუჰამინდელი ვალი (გუბერნატორი), ჯემალ აზმი-ბეი ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ფირალთა შეწყალება არც თავად თალაათ-ფაშას საიმოვნებდა, მაგრამ გერმანელთა წინააღმდეგ წასვლა არ შეეძლო.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ის ფირალი, რომელიც ლეო კერესელიძესა და მის ლეგიონს დაუკავშირდა, 1907-1908 წლებში „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციაში მეთად აქტიურად მონაწილეობდა; იმხანად ტრაპიზონში ავსტრიელი ფოტოგრაფი, ვინმე ჰაინრიხ კრემმარი მუშაობდა. მას ფირალთა ტიპაჟები ძალიან მოეწონა და მათი სურათებით ღია ბარათების მთელი სერია შექმნა, სათაურით *Souvenir de Trebizonde* („სახსოვარი ტრაპიზონიდან“), რომელიც იმდროინდელ ევროპაში პოპულარობით სარგებლობდა. საინტერესოა, რომ ამ სერიის ბარათები პირველი მსოფლიო ომის პერიოდშიც რამდენჯერმე გამოიცა.

ამგვარად, 1915 წლის იანვარში, როცა რუსები დღე-დღეზე ლაზისტანის სანჯაყში შემოჭრას გეგმავდნენ, ლაზეთის ვიწეს თემის სოფელ აბუნოლაში „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტი“ დაარსდა. მის ხელმძღვანელად ფირალეებმა ყოფილი ტერორისტი, 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილე, ოზურგეთელი ბესო ჭყონია აირჩიეს, რომელიც 1908 წლიდან თავს ლაზისტანის სანჯაყს აფარებდა და ვიწესში ცხოვრობდა. იგი ხელობით მჭედელი იყო და ლაზები „უსტა ბესოს“ („ოსტატ ბესოს“) ეძახდნენ. მეთაურის მოადგილეები იყვნენ ვიწესელი მესუდ ფელიკვან-ოღლი, ხოფელი შეფიკადა კლარჯი-ოღლი, არქაბელი მემეტ თიბუკ-ოღლი და ათინელი მუსტაჟა ჯუგევი-ოღლი;

ასევე, უკვე ნახსენები რასიმ კოსტ-ოლლიც — მას „რუსეთის ლაზისტანი“ (სარფი, მაკრიალი, ლიძანი და ჩხალის ხეობა) ებარა.

სწორედ კომიტეტის დაარსების დღიდან დაიწყო ლაზეთში ე.წ. „ანსანერობის“ ეპოქა — ლაზებმა სიტყვა „აქციონერი“ (რაც მაშინ „დევერსანტის“ სინონიმი იყო) თავისებურად გადააკეთეს და წარმოთქვეს, როგორც „ანსანერი“. ლაზურად თავზე ხელაღებულ, მაგრამ სამართლიან კაცს დღესაც ასე ეძახიან. იმხანად ყველა, ვისაც იარაღის ხელში ჭერა შეეძლო, „ანსანერი“ იყო და ამით ძალიან ამაყობდა. ბესო ჭყონიამ, რომელმაც „გურიის რესპუბლიკის“ პერიოდში უდიდესი გამოცდილება მიიღო, მოკლე ხანში კომიტეტი გაუღუნინა ძალად აქცია. ლაზისტანის სანჯაყში, სადაც ოსმალური არმიის პოზიციები მაინცდამაინც ძლიერი არ იყო, უბრალო ხალხს სწორედ „ანსანერების“ იმედი ჰქონდა.

1915 წლის თებერვლის დასაწყისში, რუსულმა არმიამ ბათუმის ოლქში შემოჭრილ ოსმალებს უკან დაახევინა და საომარი მოქმედება უშუალოდ ლაზეთის ტერიტორიაზე გადაიტანა, სადაც მათ სწორედ „ანსანერები“ დაუპირისპირდნენ, რადგან ოსმალურმა არმიამ პირველივე შემოტევის შედეგად უწყისრიოდ დაიწყო უკან დახევა. ტრაპიზონიდან ლაზისტანის სანჯაყის დასაცავად მეტყვიათფრქვევითა სამთო ასეული გაიგზავნა, რომელსაც სერგო ლაბაძე მეთაურობდა. ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, ასეულმა რუსულ არმიას მდგარი წინააღმდეგობა გაუწია;

ამიტომაც, ლაზისტანის ფრონტზე რუსებმა სისასტიკითა და შოვინიზმით საყოველთაოდ ცნობილი გენერალი ვლადიმერ ლიახოვი მიავლინეს. მან რუსული სამხედრო ფლოტის მხარდაჭერით, ხოფა-პირონიითის რაიონში ლეგიონერთა კორდონთა გარღვევა სცადა, მაგრამ ვეღარ მოახერხა და უკუიქცა.

1915 წლის გაზაფხულზე ლაზეთის კომიტეტმა მტრის ზურგში — ბათუმის ოლქში „ანსანერების“ ათკაცანი ჯგუფი შეაგზავნა, რომელსაც რასიმ კოსტ-ოლლი და მუსტაფა ფირაღა-ოლლი მეთაურობდნენ. „ანსანერებს“ ლაზისტანის სანჯაყის მოსაზღვრე მურღულის ხეობაში ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყება ევალებოდათ, რაც ბრწყინვალედ შეასრულეს — აპრილ-მაისში, როცა გენერალი ლიახოვი ლაზისტანის სანჯაყის მიმართულებით შეტევის წამოწყებას გეგმავდა, ბათუმის ოლქის მურღულისა და ჩხალის საბოქაულოებში მოულოდნელად ანტირუსული გამოსვლები დაიწყო: „ანსანერთა“ თაოსნობით იქიდან რუსული ადმინისტრაციის მოხელეები გააძევეს ან დასაჯეს და, ქართული ლეგიონის წითელ-შავი დროშაც აღმართეს.

გენერალმა ლიახოვმა ლაზისტანის სანჯაყის ნაცკლად, მურღულისა და ჩხალის ხეობებში დამსჯელი ექსპედიცია მოაწყო. ამან ოსმალებს სულის მოთქმისა და ლაზისტანის ფრონტზე დამატებითი ძალების გადმოსროლის შესაძლებლობა მისცა; აჰმედ აზნი-ფაშა ამის შემდეგ მურღულის ხეობის მიმართულებით შეტევასაც გეგმავდა, მაგრამ რატომღაც

„ანსანერები“



გენერალ ლიახოვის კაზაკებმა მურღულუსა და ჩხალაში ჯოჯოხეთი დაატრიალეს — 1915 წლის აგვისტო-სექტემბერში მათ იქ 15 ათასამდე მშვიდობიანი მცხოვრები გაჟლიტეს, დანარჩენები კი აიძულეს, მამაპაპეული საცხოვრისიდან აყრილიყვნენ და ოსმალეთში მუჰაჯირად წასულიყვნენ.

სტამბოლიდან ამის ნება არ დართეს — ენვერ-ფაშას ტრაპიზონის გამაგრება უფრო აინტერესებდა, ვიდრე ბათუმის ოლქში აჯანყებული ლაზების მხარდაჭერა. არადა, აჰმედ ავნი-ფაშას მაშინ რომ შეტევა წამოეწყო, რუსები ნამდვილად კრიზისულ სიტუაციაში ჩაცვივდებოდნენ და ოსმალურ არმიას თბილისის ასაღებად გზა ხსნილი ექნებოდა.

გენერალ ლიახოვიდან დავით კლდიაშვილამდე

ბათუმის ოლქში აჯანყებულები, ფაქტობრივად, მიტოვებული აღმოჩნდნენ და წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ თევზნახვერის განმავლობაში შეძლეს. გენერალ ლიახოვის კაზაკებმა მურღულუსა და ჩხალაში ჯოჯოხეთი დაატრიალეს — 1915 წლის აგვისტო-სექტემბერში მათ იქ 15 ათასამდე მშვიდობიანი მცხოვრები გაჟლიტეს, დანარჩენები კი აიძულეს, მამაპაპეული საცხოვრისიდან აყრილიყვნენ და ოსმალეთში მუჰაჯირად წასულიყვნენ. „ანსანერთა“ ათეულიდან ცოცხლად მხოლოდ სამი კაცი გადარჩა — რასიმ კოსტოლლი და ტყუპი ძმა ფორიაზ-ოლლი, რომელთაც შურის საძიებლად გენერალ ლიახოვის მოკვლა გადაწყვიტეს.

1915 წლის სექტემბრის ბოლოს, მურღულუს ხეობის სოფელ ისქებიდან, სადაც მაშინ რუსული არმიის მთავარი ბაზა მოეწყოთ, ლიახოვი კაზაკთა ოცეულთან ერთად ბათუმისკენ მიემგზავრებოდა. სოფელ ქურასთან, გზისპირა კლდოვანში ჩასაფრებულმა რასიმ კოსტოლლიმ გენერლის ესკორტს ზემოდან ბომბები დაუშინა. კაზაკები აირივნენ და სანამ რაიმეს მოახერხებდნენ, მოპირდაპირე მხრიდან სულეიმან ფორიაზ-ოლლიმ გენერალს დამბახით ორჯერ ესროლა. ლიახოვი მხოლოდ მსუბუქად დაიჭრა. ამ დროს კაზაკებმა საბრძოლო პოზიციები დაიკავეს და ფირალებს ცეცხლი გაუხსნეს, თუმცა მათ მიმალვა მოასწრეს. იმავე დამით სამივემ ლაზისტანის სანჯაყის

საზღვარი გადაკვეთა და ვიწეში მყოფ თანამებრძოლებს შეუერთდა.

მეორე მნიშვნელოვანი ტერაქტი „ანსანერებმა“ 1917 წლის 10 ივლისს, რუსთა მიერ ოკუპირებულ რიზეში მოაწყვეს. იმხანად ლაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი შიდა ოსმალეთში გადახვეწილიყო, რაც რუსული აგენტურის მანიპულაციების ლოგიკური შედეგი გახლდათ — ჯერ კიდევ 1916 წელს, როდესაც გენერალ ლიახოვის ნაწილები ტრაპიზონის მიმართულეებით შეტევას ახორციელებდნენ, რუსთა მოსყიდული მოლები ლაზებს უკიჟინებდნენ, რომ „გიაურები“ ყველა მუსლიმანს, ვინც არ გაიქცეოდა, ძალით მონათლავდნენ. ამას თან ლიახოვის ზღვარგადასული სისასტიკეც ერთვოდა, რომლის შემხედვარე ლაზების უმრავლესობა, ბუნებრივია, დაშინდა და ლაზეთის დატოვება დაიწყო. რუსთა მიზანიც სწორედ ეს იყო — სანქტ-პეტერბურგში იმხანად სერიოზულად განიხილავდნენ ტრაპიზონის ყოფილი ვილაიეთის ტერიტორიაზე პონტოურ-ბერძნული, ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნის იდეას, ლაზისტანის სანჯაყის მამაპაპეული კი „ბალასტად“ მიიჩნდათ.

(გაგრძელება იქნება)

მიხეილ ლაბაძე



მარცხნიდან: შეფიკ-ალა კლარჯი-ოლლი და მუსტაფა (დამიტრი) თიბუკ-ოლლი, ფარული ქრისტიანი



ფიქრის გორის მზაობა

ვერიკო ანჯაფარიძე მზეს ჰგავდა. არა მარტო იმიტომ, რომ კაშკაშა ვარსკვლავი იყო და მისი ნიჭიერების „ორბიტაზე“ საგანგებოდ იქმნებოდა და იდგებოდა სპექტაკლები... არც მხოლოდ იმის გამო, რომ დიდი სახლის ზღურბლთან იდგა, როგორც დიდი მასპინძელი და თავისი თანამედროვე ეპოქის ყველა მნიშვნელოვანი და საინტერესო ადამიანი მასპინძლობდა... მისი სახლი ისეთივე ცენტრი იყო კულტურის მოყვარულთათვის, როგორც მზის სისტემისთვის მზეა... ის ერთდროულად აცოცხლებდა და წვაგდა არა მარტო სცენაზე, ცხოვრებაშიც და აბა, როგორ არ შეადარებ მზეს...

რადას არ ყვებოდნენ მასზე: „თეატრში უდიდესი გავლენა ჰქონდა და იმასაც კი განსაზღვრავდა ზოგჯერ, როლი ვისთვის მიეცათ“... „ვერიკოს რომ აწყენინებდა, რაც უნდა დიდი მსახიობი ყოფილიყო, თეატრს დაატოვებინებდნენ“... თეატრი ხომ მღელვარე ინტრიგების ადგილია, ჰოდა ძალიან ძნელი იყო

გარკვევა, ვინ რას ამბობდა ან რატომ...

მეორე მხრივ, შეუძლებელი იყო არ დაგენახა ამ დიდი ქალბატონის დიდი გამბედაობა, ზოგჯერ თავგანწირვამდე მისული მოყვასის სიყვარული — „ვერიკოს შექმლო დიდი ვაჟაკიცივით დამდგარიყო და პოლიტიკურად მიუღებელი კაცი, „საშიში“ — როგორც მაშინ უწოდებდნენ, შინ მიეღო“.

ვერიკო ანჯაფარიძე ტრაგიკულ სახეებს ქმნიდა სცენაზე და სპექტაკლების შემდეგ, როცა აღფრთოვანებული საზოგადოება ჩურჩულით არჩევდა ჭორ-მართალს თეატრში და თეატრს მიღმა მისი განვლილი ცხოვრების შესახებ არავინ ამბობდა ერთადერთ ყველაზე მართალ ფრაზას, რომ ვერიკო ტრაგიკული ადამიანი იყო. მერე რა, რომ მის „სიკაშკაშეში“ ეს ნაკლებად იკითხებოდა...

დიდი არტისტის გარდაცვალებიდან ლამის ოცი წლის შემდეგ ჭაბუა ამირეჯიბის რომანი დაიბეჭდა, „გორა მბორგალი“, სადაც ერთი მო-



მინილ როსტომაშვილის ფოტო

ნაკვეთი ვერიკო ანჯაფარიძისა და ჭაბუას ბიძის — შალვა ამირეჯობის სიყვარულს ეხებოდა.

„ტრაგედია იწყება იმით, რომ მწერალს მსახიობი ქალიშვილის გარდარეული სიყვარული შეეყარა და კარგა ხნის დაჟინებული ტრფიალის შემდეგ ქორწინება შესდგა. იქორწინეს, ცხოვრობდნენ, მოღვაწეობდნენ, საზოგადოების გამახვილებული ყურადღება არ მოჰკლებიათ, პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდნენ, სანამ... საქართველო გასაბჭოვდებოდა!“

ერთი სოციალისტები მეორე სოციალისტებმა შესცვალეს. მწერალი იმ სოციალისტებსაც კი ედგა ოპოზიციაში, ვინც დამოუკიდებელი საქართველოს დროშით აპირებდა სამართლიანი საზოგადოების შექმნას და საქართველოს მომავალს რუსეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს ფარგლებში გულისხმობდა. ორიოდე დღე დასჭირდა, რომ მწერალი დევნილ პირად ქვეყლიყო, ხოლო ახალგაზრდა, ცნობილი მსახიობი ქალი — არსებული ხელისუფლების „მოსისხლე მტრის“ მუშაობა და თანამგზავრად. ასეთ ვითარებაში ორთავეს თავისი ადგილი უნდა ეძებნა და ასეც მოხდა. მწერალმა აჯანყების მზადების ერთ-ერთი ხელმძღვანელის როლი იკისრა.

ცოლს არ აპატიმრებდნენ, სატყუარად ჰყავდათ, — ქმარი, როცა იქნება, ცოლისა და

შვილის სანახაურდ მოვა და ავიყვანთო... მის ბინაში დღედაღამ ჩეკისტები მორიგეობდნენ. ქალმა მწერალი მიატოვა, მოქანდაკეს გაჰყვა და ამით თავი იხსნა. სხვა რა უნდა ექნა?..“

და როცა ვერიკომ მიხეილ ჭიაურელთან ცხოვრების დაწყება გადაწყვიტა, როცა შეეყვარებულმა ნიჭიერმა მოქანდაკემ, მსახიობმა (მაშინ ჯერ რეჟისორი არ იყო), პირველი ამბორის ადგილას სახლის აგება აღუთქვა სატრფოს, ერთბაშად ალაპარაკდა სამყარო. ჰყვებოდნენ, როგორ თავდავიწყებით უყვარდა ვაჟს ქალი, როგორ რომანტიკულად ხვდებოდნენ ერთმანეთს ფიქრის გორაზე...

რა ბედნიერი იყო ერთი-და-მეორეც...

მაშინ აიგო პირველი სახლი ფიქრის გორაზე — ტყეში. ეს დიდი სახლი მომავალში ორი დიდი დიასახლისის სახელს დაუკავშირდა: ვერიკოსა და სოფიკოს სახელს.

ჯერ უფროს დიასახლისზე გაიმბობთ:

ვერიკოს „მზის მცხუნვარებაში მისივე ტრაგიზმიც ჩაინთქა... ბედნიერი მიხეილ ჭიაურელი ჰყვებოდა დაუოკებელ გრძნობაზე, რომელმაც მიუღი მისი ცხოვრება შეცვალა:

„ვიღაცამ დაიძახა, — აგერ, მგონი, ვერიკო მოდისო. რამ ამადლევა მაშინ, ვერ ავხსნი... მე თვითონ გაკვირვებული ვარ... ალბათ არსებობს რაღაც აუხსნელი წინასწარი გრძობა, რომლის დაძლევა ძნელი ხდება. ვცდილობ-

დი, ოდნავადაც არ შეუმჩნეოდა მღელვარება. შეუმჩნეველად გადავიხედე და... მოდიოდა ქალი დიდი ნაბიჯით.

ეცვა აბრეშუმის გრძელი კაბა. უკან მოსდევდა რამდენიმე კაცი. სიჩუმე ჩამოვარდა. არაჩვეულებრივი მაღალი ყელი. ვერ გაიგებდი, ვის უყურებდა. ოდნავ მოზრდილი ცხვირი, უწესრიგოდ, ფაფარივით გადმოყრილი თმა. ყველას მოგვესალმა და მომეჩვენა, რომ განსაკუთრებული ყურადღებით მე შემომხედა. მე მას პირველად ვხედავდი... და ვხედავდი მხოლოდ მას!

მოხდა ისე, რომ ვერიკო ჩემთან ახლოს დაჯდა. რა ბედნიერებაა!..“

ლექსის წაკითხვას სთხოვენ, ვერიკო უარზეა... მერე მიხეილ ჭიაურელიც სთხოვს... და უცებ ის ლექსის წაკითხვას იწყებს! აღფრთოვანებული მსმენელი ტაშს უკრავს.

„მე ტაში არ დავუკარი, დავიხარე და ხელზე ვაკოცე. წონასწორობის დასაკარგავად განა ბევრია საჭირო? და ჩემში დაიწყო ახალი დიდი სამყარო, ის არ ჰგავდა ჩვეულებრივს...“

მაღლე ყველაფერი შეიცვალა: დიდი ოჯახი, შვილები, საქმე, რომელსაც აკეთებდა მთელი გულითა და დიდი წარმატებით; მეუღლე, რომელიც სტალინს მოსწონდა არა მარტო როგორც რეჟისორი, არამედ როგორც მეგობარი... ჰოდა, ცხოვრება თითქოს ბორბლებზე შედგა და აღმა აგორდა...

სოფიკო ჭიაურელი დიმილით ამბობდა, დედა ხულიგანი იყო... ეგრე რომ არ ყოფილიყო, როგორ გაბედავდა, რომ ერთხელ, როცა ლავრენტი ბერიას მისი მეგობარი მსახიობი მოეწონა და შინ ეწვია, ვერიკო საწოლის ქვეშ დაიმალა... ბობოქარი ვენებებით საუსე შესვედრას დაესწრო სწორედ საწოლის ქვეშ გატრუნული... მერე როგორ მოხდა, არ ვიცი, მაგრამ მრისხანე ბერიაშვილმა ყველაფერი გაიგო. საქმე იმდენად გართულდა, რომ არა მიხეილ ჭიაურელის სახელი და გავლენა, ციმბირს უკან დაატოვებინებდნენ...

წარმოგიდგენიათ, რომ მცხუნვარე მზე დაბერდეს? ჰოდა, ვერიკოც არ ბერდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კანი ძველებური აღარ ჰქონდა, თმაც გაუჭადარავდა, მაგრამ მაინც „ახალგაზრდობდა“.

ასეთი იყო... და იყო სხვანაირიც — მღუპარე, ფიქრებში ჩაძირული, ტრაგიკული...

ღიასახლისობა მაინცდამაინც არ ეხერხებოდა. სადილებს სოფიკო ამზადებდა.

სოფიკოს გამომცხვარი ხაჭაპურები და ნამ-

ცხვრები, მისი შენელებული კერძები ლეგენდად მიჰყვებოდა სტუმარს.

ადრე ალბათ, ვერც ვერიკო ანჯაფარიძე წარმოიდგენდა, რომ მისი ახტაჯანა გოგონასგან ასეთი დედა და ღიასახლისი დადგებოდა... ძმებთან იზრდებოდა და ძმებს არ ჩამოუვარდებოდა ცელქობაში.

სოფიკო ხალისით ჰყვებოდა: „ჩვენს სახლში ბევრი ვიკრიბებოდით — ჩემი უფროსი ძმა ოთარი, უმცროსი ძმა — რამაზი, მე, ჩემი დეიდაშვილი გია დანელია... გვეყვდა სომეხი მძღოლი პრაფესორა, რომელსაც რუსი ცოლი შეართყვინა მამამ. ისინიც აქ ცხოვრობდნენ შვილებთან ერთად. ჩემი ბიძაშვილი ჯიუშუკა ანჯაფარიძეც აქ იზრდებოდა, რადგან ობოლი იყო. მამამ ეს ორსართულიანი სახლი სახელოსნოდ ააშენა, პირველ სართულზე ერთ დიდ ოთახში, რომელსაც მინის ჭერი ჰქონდა, ძერწავდა და ხატავდა მამა. მეორე სართულზე გვექონდა დიდი ვერანდა. სტუმრები რომ მოდიოდნენ, დასაძინებლად გვისტუმრებდნენ. ჩვენ კი ავიდო-

ვერიკო და სოფიკო





სოფიკო და ნიკუშა

ღით ვერანდაზე, დავწვებოდი შუშებზე და ვიყურებოდი ოთახში.

ომის დროს თბილისში ევაკუირებული იყო მოსკოვის სამხატვრო თეატრი. ჩვენთან დადიოდნენ კახალოვი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, კითხულობდნენ ლექსებს, მონოლოგებს, დიალოგებს. ერთ-ერთი მხატვრული კითხვისას კახალოვმა აიხედა ზევით და სიტყვა გაუწყა. ჭერზე გაშლართული ბავშვი რომ დაინახა, გაგიჟდა კაცი...

მამას და დედას ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. მათი წერილები მაქვს შენახული, გაცილებით, რომ ნახოთ.

მამას უყვარდა ოჯახური სადილები. ტრადიციულად ერთად ვსადილობდით. სუფრაზე ერთი ბოთლი წითელი ღვინო იდგა ხოლმე. სადილის დასრულების შემდეგ ჩემი ორივე ძმა გვარიანად იყო ნასვამი.

საქმე კი იცი, რაში იყო? მამა ხომ კახეთიდან რამდენჯერმე აირჩიეს ღებუტატად. მოდიოდნენ კახელები, მოჰქონდათ მოსაკითხი: გოჭი, ღვინო... დედა კართან ზედბოდა და უკან ატანდა ყველაფერს, რადგან ჩემს ორივე ძმას ღვინისკენ მიუწევდათ სული... თურმე ოთარი და რამაზი დაქწეოდნენ გლეხებს, ეცნობოდნენ — ჩვენ ჭიაურელის შვილები ვართ, მოსაკითხი ჩვენ მოგვეცითო“...

...სოფიკო ჭიაურელი სახლში შევიდებოდა და ზედბოდი, ეს არ იყო მხოლოდ სახლი.

შეაბიჯებდი სამყაროში, რომელიც თეატრიც იყო, ოჯახიც, აწმყოცა და წარსულიც... სოფიკო ჯერ დედა იყო და მერე არტისტი... და რაც მთავარია, ოჯახის წევრებისთვის ყოვლისშემძლე იყო...

სოფიკოსაც თავისი ტკივილი და ტრაგიკული ცხოვრება ჰქონდა, ოღონდ ის იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ყველა სატკივარს „მალამო მოუქებნა“, ფეხზე ძლიერად დადგა და სხვების საყრდენად და მაცოცხლებელ ძალად იქცა.

ერთი ამბავი მახსენდება: ქალბატონ სოფიკოსთან ვიყავი ინტერვიუზე. ვილაცამ დაურეკა, რაღაც სთხოვა. ცოტა ხანს ისაუბრეს. ყურმილი რომ დაკიდა, სიცილით მომიბრუნდა, — ამათ ჰგონიათ, ყოვლისშემძლე ვარ! ამას წინათ ჩემი შვილიშვილი, ნატაშა ეგვიპტეში იყო დასასვენებლად. რომ მოდიოდა, თვითმფრინავი რაღაც პრობლემის გამო აფრენისთანავე დაჯდა იმავე აეროპორტში... ნატაშა მირეკავს: — სოფიკო! ამ თვითმფრინავს, მგონი, რაღაც სჭირს და რამე იღონეო...

მას მერე, რაც სოფიკო ჭაუარული გარდაიცვალა, ფიქრის გორაზე, ცისფერ აუზთან მე და ნიკუშა შენგელაია ვისხედით და ვსაუბრობდით ქალზე, რომელიც მთელი საქართველოსთვის სოფიკო იყო — იმდენად საყვარელი და ახლობელი, რომ შინაურით მხოლოდ სახელით მიმართავდნენ.

ნიკუშა ამბობდა: „დედა ძლიერი იყო, ბევრს

არ სჯეროდა, რომ შეიძლებოდა სოფიკო სნეულებას დაემარცხებინა. თავიდან მეც ვერ ვიჯერებდი, მაგრამ... ძალიან ვცდილობდი, არაფერი შეემჩნია, მაგრამ სოფიკოს ვერაფერს გამოაპარებდი. რამდენიც უნდა მეცადა, მაინც მიხვდებოდა. ვიცი, გრძნობდა ყველაფერს და პირიქით, ჩვენ გვიცავდა, არ გვაგრძნობინებდა, რომ ყველაფერი იცოდა... აღსასრულს ისე მალე არ ველოდი. ორი დღით წავედი ქალაქიდან. რომ დაუბრუნდი, მითხრა: აი, ხომ დაგხვდით. მეორე დღეს გარდაიცვალა... არ მინახავს სასოწარკვეთილი, არ მინახავს მტირალი... მხოლოდ მაშინ აუცრემლდა თვალები, როცა მშობლები და ძმები გარდაეცვალა.

გვერდიგვერდ ვცხოვრობდით. გადიოდა დღეები, მასთან ვერ გადმოვდიოდი. მერე რომ დაუურეკავდი ან მივიდოდი, გაგახსენდა, რომ დედა გეყვსო, — ხუმრობით მეტყვოდა. სულ მსაყვედურობდა, რატომ არ ხატავო. ბოლო წლებში ნაკლებად მივეყვებოდი ჩემს ხელობას, ეს სწყინდა. ყველაფერი ხელწიფებოდა: ცხოვა, ქსოვა, კერვა, ქარგვა... მახსოვს, გადაღებების დროს, როცა სხვა სცენას იღებდნენ, იჯდა და მე და ჩემს ძმას სვითერებს, წინდებს გვიქსოვდა. ხალხს კი ჰკონია, მაგრამ ჩვენს ოჯახს ფუფუნებით არასოდეს უცხოვრია. მძიმე პერიოდიც ბევრი გაგვივლია...

სიარული მთათუშეთში დამიწყია. რვა თვისა ვყოფილვარ. დედა ამბობდა, თუშური წულები გეცვა, რომ გაიარო. ხან ხბოზე მსვამდნენ, ხან — ცხენზე, ხან კინოაპარატზე. მგონი, მეც ხვარედ მზრდიდნენ.

ფილმების „ხვესურული ბალადის“ (ალბათ 8 წლის ვიყავი მაშინ) და „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ გადაღებებისას ცხენზე იჯდა ხშირად და რაკი სულ „ცხენებიან ფილმებში“ თამაშობდა, მეც შემეყვარდა ცხენები. ჩემი გართობა გადაღებებზე ჯირითი იყო.


საჭესთან ჯდომა ძალიან უყვარდა. სადმე შორს რომ მივდიოდი, ვეტყვოდი, გადმოდი, მე დაუჯლები საჭესთან-მეთქი, არ მთანხმდებოდა.

როცა პაპა ცუდად გახდა, ვიდრე საავადმყოფოდან შინ მოვიდა, ბებიას დაურეკეს, — ჩვენ ვერ ვუთხარით ბატონ მიმას, ავთვისებიანი სიმსივნე აქვსო... მახსოვს, ვსადილობდით. საშინელ დღეში ჩავცვივდით. მოვიდა პაპა. შევიდა თავის ოთახში. სოფიკო და ვერიკო არაფერს იმჩნევდნენ. გამოვიდა, მიუჯდა სუფრას. გადახედა ქალებს და უთხრა: თქვენ კი ხართ დიდი არტისტები, მაგრამ ნუ გგონიათ, რამე შეიძლება იცოდეთ ისეთი, რაც მე არ ვი-

ციო. მერე დედაჩემს სთხოვა, ბალადური დაუკარიო. სოფიკომ დაუკრა. პაპამ იცეკვა. ნეტავ ჩემი ცხოვრების ნახევარი იცხოვრონ სხვებმა და ჩემი ბედნიერების ნახევარი გამოსცადონ, რა გაქვთ სადარდელო... პაპაც ვაუკაცურად დაუხვდა სენს. დედაჩემმაც ისე გაიარა ეს გზა, ბევრი ვაუკაცი ვერ შეიძლება. არ დამავიწყდება მისი თვალები... სიკვდილის წინ თურმე თვალები ჩაქრება პირველად... ახლა მე ვარ დედაჩემის თვალები“.

ნიკუშა შენგელაია ახლა მხოლოდ დედის თვალები კი არა, ფიქრის გორაზე დიდი სახლის დიდი მასპინძელიცაა თავის ძმასთან — სანდროსთან ერთად... სახლი ცოცხლობს, რადგან ისინი, ვინც ამ სახლში ცხოვრობდნენ, უკვე ჩაქვრნენ საქართველოს კულტურის ისტორიაში. მათი მზე კი არსად ჩასვენებულა — ისევ მზეობს...

ლილა ჯიჩაშვილი



ჩაჩნები

(დასასრული.
დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №3)

ჩაჩნებს სახელმწიფოებრიობა არასდროს ჰქონიათ. „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული „დურძუკთა მეფენი“ კი ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინა ბარში მცხოვრებ დურძუკ ტომთა ბელადები იყვნენ.

ჩაჩნეთში თარეშთა განვითარებული სისტემა არსებობდა. XVIII საუკუნეში არაერთი დოკუმენტი არსებობს თარეშების, მეკობრეობის, თავდასხმათა შესახებ. ბარში გადასახლების შემდეგ ამ მოვლენამ უფრო სისტემატური ხასიათი მიიღო. თარეშის ობიექტი ჩაჩნეთის ყველა მოსახლერე ტერიტორია იყო: დაღესტანი, ყაბარდო, ინგუშეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონები.

არაერთი გადმოცემა გვაქვს დადასტურებული ჩაჩანთა ლაშქრობების შესახებ თუშეთსა და ხევსურეთში (თავის მხრივ, არც ქართველი მთიელები რჩებოდნენ ვალში). XVIII საუკუნის II ნახევრიდან დაწყებული, XIX საუკუნის პირველი ნახევრის ბოლომდე, ჩაჩანთა თარეშის ინტენსიურ ობიექტად რუსეთის სასახლერო ხაზი იქცა. ჩაჩანთა საზოგადოებრივი აზრი თარეშებს არ განსჯიდა.

ჩაჩნების მემკვიდრეობა

ჩაჩნების სამეურნეო საქმიანობა მთასა და ბარში ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ჩაჩნები ძველთაგანვე ძირითადად მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ. მთაში მიწათმოქმედებას შეზღუდული ხასიათი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მთიან ჩაჩნეთში მიწის ყველა გოჯი მაქსიმალურად მუშავდებოდა. მოსახლეობის ბარში მიგრაციის მიუხედავად, მთიან ჩაჩნეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ერთ სულზე საშუალოდ 0,01-დან 0,04-მდე დესეტინა მიწა მოდიოდა. ისევე როგორც კავკასიის სხვა მხარეებში, აქაც მიწის ნაკვეთები ტერასული იყო. მთიან ჩაჩნეთში მესაქონლეობა ბარაქიანი ალპური საძოვრებითა და შესანიშნავი სათიბებით ფართოდ იყო განვითარებული. მთისწინეთსა და მთაში ხალხი ძირითადად მესაქონლეობას მისდევდა.



ბარის ჩაჩნეთი მარცვლეული კულტურების მოყვანით ჩრდილოეთ კავკასიაში ერთ-ერთ წამყვან რაიონად ითვლებოდა. კავკასიური ომების პერიოდში მას შამილის ბელელს უწოდებდნენ. მაღალმთიანი რაიონების მცხოვრებნი, რომლებიც უპირატესად მესაქონლეობას მისდევდნენ, პურს დაბლობის სოფლებში იძენდნენ.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის დაბლობის ჩაჩნეთში მიწის მესაკუთრედ სასოფლო თემი ითვლებოდა, მიწათსარგებლობა კი თავისუფალი იყო. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეს წესი შეიცვალა. სასოფლო თემის მცხოვრებთა შორის სახვნელი და სათიბი მიწების პერიოდული გადანაწილება ოჯახებზე შემოიღეს, საძოვარი და ტყე კი საერთო, გაუყოფელი ჰქონდათ. სახვნელი მიწების გადანაწილება, ჩვეულებრივ, ხუთ წელიწადში ერთხელ ხდებოდა, სათიბებს კი ყოველწლიურად ყოფდნენ. მთებში მიწათსარგებლობის სისტემა ბევრად განსხვავდებოდა ბარის სისტემისგან. სახვნელი და სათიბი მიწები კერძო საკუთრებაში იყო, სათემო მფლობელობა მხოლოდ სათიბებსა და ტყეებზე ვრცელდებოდა.

დაბლობში უპირატესად სიმინდი, საშემოდგომო ხორბალი, ქერი და ფეტვი მოჰყავ-

დათ, მთაში კი ძირითადად პურეული კულტურა — ქერი, იშვიათად ზორბალი. მთაში მესაქონლეები მიწას აპატივებდნენ. მინდვრის სამუშაოების დროს ერთმანეთს ეხმარებოდნენ.

დაბლობში ძირითადად ჰყავდათ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მთაში კი უპირატესად ცხვარი. ტყიანი მთის რაიონებში ცხვარი თითქმის მთელ წელიწადს საძოვარზე ჰყავდათ. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ჩაჩნები საკვებად პურზე მეტად ყველს გამოიყენებდნენ. სხვათა შორის, თურგისპირეთში დასახლებულ ჩაჩნებს „ხაჭოს მჭამელ ხალხს“ უწოდებდნენ. XIX საუკუნის 40-იან წლებში ყოველ ჩაჩნურ ოჯახს საშუალოდ 200 სული ცხვარი ჰყავდა.

შინამრეწველობიდან ჩაჩნებში განსაკუთრებით ნაბღისა და ქეჩის სხვა ნაწარმის დამზადება იყო განვითარებული. 1893 წლის მონაცემებით, ჩაჩნეთში ნაბღების დამზადებას 500 ოჯახი მისდევდა. ეს 500 კომლი წელიწადში 7400 ნაბაღს ამზადებდა. ჩაჩნურ ნაბღებზე დიდი მოთხოვნილება იყო მეზობელ კახაკურ სტანიცებში. ნაბღებს ძირითადად დაბლობის ჩაჩნეთში აწარმოებდნენ, მთის რაიონები კი ნელელულს აწვდიდნენ. მცენარეული და ცხოველური ორნამენტით მორთული ხალიჩები ყველა მხარეში მზადდებოდა. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საოჯახო მაუდის ქსოვას. ჩაჩნეთის ბევრ სოფელში მისდევდნენ ტყავის დამუშავებას. მნიშვნელოვნად იყო გან-

ვითარებული იარაღისა და სპილენძის ჭურჭლის წარმოება.

ტაიპი

ძველთაგანვე ჩაჩნეთში დასახლების რამდენიმე ტიპი ჩამოყალიბდა. მთის ტყიან რაიონებში მოსახლეობა ტაიპური უბნების სახით ცხოვრობდა. ხშირად ერთ ტაიპს (გვარს) რამდენიმე დასახლებული პუნქტი ეკავა. მთიან რაიონებში დასახლება სიმჭიდროვით გამოირჩეოდა, ისე, რომ ერთი სახლის სახურავი მეორისთვის ეზო იყო. უფრო პატარა დასახლებები არსებობდა მაღალ მთაში. ამენებდნენ საცხოვრებელ და თავდასაცავ კომპებს, რომლებიც განსაკუთრებით მრავლად იყო მთიანი ჩაჩნეთის დასავლეთ რაიონებში. სამიარუსიან კომპში დიდი ოჯახი ან პატრონიმული ერთეული ცხოვრობდა. პირამიდული ფორმის საცხოვრებელ კომპებს, ჩვეულებრივ, საბრძოლო კომპების გვერდით აგებდნენ, ზედა სართულებში დატანებული სათოფურებით. შემორჩენილია აგრეთვე სადარაჯო კომპები, რომლებიც ძირითადად სტრატეგიულ პუნქტებში იდგა. აქედან უთვალთვალებდნენ მტერს; თუკი შეამჩნევდნენ, ცეცხლს ანთებდნენ.

XIX საუკუნეში ჩაჩანი მამაკაცის ზედა სამოსი კავკასიური ჩოხა იყო, რომელსაც შინ ნაქსოვი მუქი ფერის მაუდისგან კერავდნენ.

ჩაჩნები მთის საძოვარებზე





ძველი ნასოფლარი ჩაჩნეთში

თავზე კი ცხერის ტყევისგან შეკერილ კონუსისებურ ფაფახს იხურავდნენ.

ისევე როგორც ინგუშებს, ჩაჩნებსაც ბეგები, ხანები და თავადები არ ჰყოლიათ. მაგრამ ჩაჩნების სოფელი ერთგვაროვანი არ იყო. გლეხთა შორის მიმდინარეობდა მდიდრებად და ღარიბებად განშრელების პროცესი.

ჩაჩნეთის საზოგადოებრივ ურთიერთობებში დიდ როლს ასრულებდა ტაიპი. ტაიპის წევრებს საერთო წინაპარი ჰყავდათ. საინტერესოა, რომ ტაიპების უმრავლესობის ფორმირების კერა მდინარე არღუნის ზემო წელში მდებარე ნაშხა იყო. ზოგიერთი ჩაჩნური ტაიპის სახელწოდება პირდაპირ მიუთითებს დაღესტნურ, ჩერქეზულ, ქართულ, ლაკურ, ხუნძურ წარმომავლობაზე. ჩაჩანთა ყველაზე ცნობილი ტაიპები იყო: დიშნე, ცონტარი, კურჩალო, ალერო, ბელგიტო, არსენი, შატო, ბენო და სხვ. ამ უკანასკნელ გვარს ქართული წარმომავლობა ჰქონდა — ჩაჩნები „ბეინოს“ ქართველ მთიელებს — მოხვევებს უწოდებდნენ. სეგმენტაციის შედეგად ცალკეული ტაიპი ახლომონათესავე წვრილ ჯგუფად იყოფოდა. თითოეული ტაიპის შტოს ანუ პატრონომიული ერთეულის ადმინისტრაციული ჩაჩნური სახელწოდებანი იყო „გარი“ და „ნეკე“. თითოეული „გარი“ და „ნეკე“ დაახლოებით 10-დან 50-მდე მონათესავე კომლს აერთიანებდა.

ტაიპი ჩაჩანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთადერთ ფორმას არ წარმოადგენდა. აქ ცალკეულ ტაიპთა კავშირებიც არსებობდა, რომლებსაც „თუხუმი“ ეწოდებოდა.

თუხუმები სამხედრო-ეკონომიკურ გაერთიანებებს წარმოადგენდნენ. თუხუმის ფუნქცია ძირითადად თავდაცვის საკითხების ერთობლივი გადაწყვეტა იყო. XVI-XVIII საუკუნეებში ჩაჩნეთში სულ ცხრა თუხუმი იყო. XIX საუკუნის შუა ხანებში ჩაჩნეთში 135 ტაიპი ითვლებოდა. ტაიპის წევრი ყველა მამაკაცი ერთმანეთის ძმად იწოდებოდა, მთელი ტაიპი კი — ძმობად („ვოშალლა“). „ტაიპი“ მიწის უზენაეს მესაკუთრედ ითვლებოდა, ინდივიდუალური ოჯახი კი მის მოსარგებლედ. ბარში გადასახლებული ჩაჩნებისთვისაც „ტაიპი“ მთავარი სოციალური ერთეული იყო. ბარში გადასახლებულთათვისაც დასახლების ფორმა ტაიპური გახლდათ. ტაიპური განსახლების გამო ბარში გადასულმა ჩაჩნებმა, ძალის მოკრების შემდეგ, უარი უთხრეს მიწის მესაკუთრეებს გამოსაღების გადახდაზე. ჩაჩნებისთვის სირცხვილი იყო მიწის გადასახადის გადახდა, რადგან მათი რწმენით, ღმერთმა მიწა ყველასთვის თანაბრად შექმნა.

XX საუკუნემდე ჩაჩნური საზოგადოებისათვის ტრადიციული იყო სისხლის აღება. ადათობრივი სამართლით, მოკლულის ნათესავი ვალდებული იყო მოეკლა მკვლეელი და მისი გვარის რომელიმე წარმომადგენელი. სისხლის აღება გვარის ყველა წევრის მოვალეობას შეადგენდა.

ყველა ტაიპს თავისი წინამძღოლი — „ტპამადა“ ჰყავდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარამდე გვარის წინამძღოლის სტატუსი ძალიან მაღალი იყო. ასევე უმნიშვნელოვანესი იყო

სამხედრო წინამძღოლის („ზაიაჩა“) არჩევა. „ზაიაჩა“ დიდი საზოგადოებრივი გავლენით სარგებლობდა.

ჩაჩნებს საერთო მმართველობა არ ჰქონიათ. ყოველი ცალკეული საზოგადოება ერთი სოფლის ანდა ზოგჯერ რამდენიმე პატარა სოფლის ერთობლიობას წარმოადგენდა. უზუცესთა საბჭოს სხდომაში მონაწილეობისა და აზრის გამოთქმის უფლება მხოლოდ მამაკაცებს ჰქონდათ. მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას გადაწყვეტი სიტყვა მხოლოდ საბჭოს არჩევით წვერებს ჰქონდათ, რის შემდეგაც გადაწყვეტილება გვარებს ეცნობებოდათ. ტაიპის წვერებისთვის ეს გადაწყვეტილება საბოლოო იყო და ისინი მას ფიცით ადასტურებდნენ.

ტაიპები თავის შემადგენლობაში ხშირად უცხო პირებსაც იღებდნენ. ახალი წვერის მიღება ანუ ხელოვნური დანათესავება საზეიმოდ ხდებოდა. რიტუალის აუცილებელი ელემენტი ხარის დაკვლა იყო. აუცილებელი არ იყო, ხელოვნურად დანათესავებულს მიმღები ტაიპის სახელი მიეღო. ხშირად ახალმოსულს გვარს უფორმებდნენ იმის მიხედვით, საიდანაც ის იყო მოსული. ახალი გვარი ზოგჯერ უახლოესი წინაპრის სახელიდან იწარმოებოდა.

„თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა...“

ჩაჩანთა ტრადიციულ ყოფაში უმნიშვნელოვანესი როლი სტუმართმოყვარეობას ეკუთვნოდა. სტუმარი ნებისმიერი ეთნოსისა და სარწმუნოების ადამიანი შეიძლება ყოფილიყო. სტუმართმოყვარეობის წეს-ჩვეულების დარღვევისთვის ოჯახის უფროსი თავის თავს ჩაჩნური საზოგადოების გარეთ დაიყენებდა.

სტუმართმოყვარეობა სისხლ-მეისხლეობაზე მაღლა იდგა — სტუმართმოყვარეობის წეს-ჩვეულება მკვლელსაც კი იცავდა. სახლის ზღურბლის გადამლახავ მტერს თავშესაფარი, პური და დაცვა გარანტირებული ჰქონდა. ჩაჩნებმა განსაკუთრებული მასპინძლობა იცოდნენ.

ჩაჩნებისთვის დამახასიათებელი იყო უფროსების, მშობლების პატივისცემა. ამ თვალსაზრისით განსაზღვრული წესები ჰქონდათ (უფროსებს უთმობდნენ ადგილს, გზას, სიტყვას). თუ ცხენოსანი ქვეითს შეხვდებოდა — ის აუცილებლად პირველი უნდა მისალმებოდა. შემხვედრი თუ მოზუცი იყო, მხედარი აუცი-

ლებლად უნდა ჩამოქვეითებულიყო და მხოლოდ ამის შემდეგ მიესალმებოდა. სერიოზული შერცხვენის, სახელის გატყვის შემთხვევაში, ტაიპის წვერის ცხოვრება ფაქტობრივად დამთავრებული იყო, თუმი მას ზურგს აქცევდა. დღესაც კი ქცევის შინაგანი და გარეგანი „გუშაგები“ ჩაჩანს აიძულებენ, საზოგადოებაში იყოს უკიდურესად მომართული, თავდაჭერილი, სიტყვაძვირი, თავაზიანი. ჩაჩანი არასდროს ქალს თავისზე წინ არ გაუშვებდა, მთის გზაზე ზომ ბევრი საშიშროება იყო, ის კლდის ჩამონაქცევის თუ გარეული ნადირისგან მამაკაცს უნდა დაეცვა. ამასთანავე, ზურგში არ ისროდნენ. ქალები ჩაჩანთა კერის დამცველები იყვნენ. ქალები კერაში ცეცხლის ჩაქრობისთვის პასუხს აგებდნენ.

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ოჯახის ძირითადი ფორმა პატარა ოჯახი გახლდათ. ოჯახს პატრიარქალური ყოფის არაერთი ნიშანი ჰქონდა შემორჩენილი. ოჯახის სრულუფლებიანი უფროსი მამაკაცი იყო. ის თავისი შეხედულებისამებრ აქორწინებდა

ჩაჩნებისთვის დამახასიათებელია უფროსების, მშობლების პატივისცემა





რუსების მიერ ჩაჩნეთის სოფლების დაპყრობა. XIX საუკუნის შუა ხანები

შვილს, განაგებდა ქონებას და სხვ. მაგრამ ქალიშვილის გათხოვებისას გადამწყვეტი სიტყვა დედას ეკუთვნოდა. ლევირატი იშვიათი მოვლენა იყო. მას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავდნენ თუ ქვრივს ბევრი შვილი ჰყავდა. ცოლ-ქმრის გაყრის შემთხვევაში ბავშვები, ჩვეულებრივ, მამასთან რჩებოდნენ.

ჩაჩანი ქალი არასდროს არ ჭამდა ქმართან ერთად. სხვათა თანდასწრებით ისინი ერთმანეთს სახელებით არ მიმართავდნენ. ასევე, უფროსი ნათესავებისა და გარეშე პირების თანდასწრებით მამა თავის შვილებს სახელებით არ მიმართავდა.

ქორწინება ნათესავებს შორის მხოლოდ სამი თაობის ფარგლებში იკრძალებოდა. ჩაჩანი შეიძლებოდა თავისი ტაიპისა და ნეკეს წევრზეც კი დაქორწინებულიყო, მაგრამ ქალებს მაინც უპირატესად სხვა ტაიპებიდან თხოულობდნენ. ჩაჩნეთში საქორწინო ასაკი ვაჟებისთვის 18-20 წელი იყო, ქალიშვილებისთვის 17-18 წელი. თუ ქალი თავის ცუდ ხასიათს, ქცევას გამოამჟღავნებდა, ქმარს შეეძლო

თავის რჩეულს ძალიან უბრალოდ გაყროდა, მხოლოდ სამჯერ უნდა გაემეორებინა: „შენ უკვე ჩემი ცოლი არ ხარ“. განქორწინება გარდაუვალი იყო იმ შემთხვევაშიც, თუ ცოლი ქმრის ნათესავებს უპატივცემულოდ მოექცეოდა. გაურცლებული იყო პატარძლის უძმრახობა.

ნეფე და პატარძალი ქორწილს არ ესწრებოდნენ. ნეფე მეგობრის ან ნათესავის სახლში იმალებოდა, ანდა ზოგჯერ ტყეში მიდიოდა. ქორწილის შემდეგ, პირველ ხანებში, ქმარი გარეშეთ, თავის მშობლებსაც კი თავს არიდებდა, ცოლს კი საიდუმლოდ — მხოლოდ ღამით ხვდებოდა.

ვაჟის დაბადებისას ნადიმს აწყობდნენ. ამ დროს მამის ერთ-ერთი ნათესავი ახალდაბადებულს სახელს არქმევდა. ტრადიციულად ისინი მიცვალებულებს მიწისზედა დასაკრძალავ ნაგებობებში ანუ აკლდამებში კრძალავდნენ. ჩაჩნეთში (ისევე როგორც ინგუშეთში) აკლდამების უქონლობა უთვისტომობის (უგვარობის) ნიშანი იყო. ჩაჩნეთში

მიწისზედა აკლდამას „კაშ“-ს („მზის სამარე“) უწოდებდნენ.

რუსულ ოკაენაში

ჩაჩნები მუსლიმი სუნიტები არიან. ბოლო წლებში ჩაჩნეთში ვაჰაბიზმიც გავრცელდა. მაგრამ აქ თავდაპირველად ქრისტიანობა იყო გავრცელებული, რომელმაც VIII-XI საუკუნეებიდან საქართველოდან მოიკიდა ფეხი. მაგრამ მთის სოციალური და ეკონომიკური პირობები ქრისტიანობის ღრმად გავრცელების საშუალებას არ იძლეოდა. ჩაჩნეთში ის მხოლოდ ზედაპირულად შევიდა. მთაში, განსაკუთრებით, არღუნის ხეობაში, ბოლო დრომდე ეკლესიათა ნანგრევები და ქვის ჯვრები იყო შემორჩენილი. საქართველოდან ქრისტიანობის შეღწევის დამადასტურებელია ზოგიერთი ჩაჩნური სიტყვა: ჩაჩნურად კვირას ეწოდება „კვირა“, პარასკევს — „პერისკა“, შაბათს — „შუოთდე“, მარზვას — „მარზ“ და სხვ.

XVI საუკუნეში ჩაჩნეთში დაღესტნიდან შეღწევას იწყებს ისლამი, მაგრამ XVIII საუკუნემდე მან აქ ფეხი ფართოდ ვერ მოიკიდა. მაჰმადიანობას ხუნძები და ყუშუხები ავრცელებდნენ — მოლები ჩაჩნურ სოფლებში მწყემსებად მოდიოდნენ, რომელთა ძირითად მიზანს სწორედ ახალი სარწმუნოების გავრცელება წარმოადგენდა. ჩაჩნეთში ისლამი საბოლოოდ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში გავრცელდა. ჩაჩნებში შემორჩენილია ძველი ჩაჩნური რწმენა-წარმოდგენებიც. ჰქონდათ ღვთაებათა პანთეონი, რომლის სათავეშიც უზენაესი ღვთაება — „დიელა“ იდგა. აღსანიშნავია კალენდარული წეს-ჩვეულებებიც. ჩაჩნებს ქართველ მთიელებთან მრავალმხრივი ურთიერთობა ჰქონდათ, რომელთაგან რელიგიური ასპექტია აღსანიშნავი. დადასტურებულია საერთო სალოცავების არსებობა, ერთობლივი კულტმსახურება და სხვ. მართალია, ანატორის ჯვარი ზეესურთა სალოცავი იყო, მაგრამ მასზე, როგორც „წმინდა“ ნადირის მფარველ ღვთაებაზე, ქისტებიც ღოცულობდნენ. ქისტეთის სოფელ ჯგარეგოში ანატორის ნიშიც მდგარა.


ჩაჩნური დამწერლობა საბჭოთა პერიოდში შეიქმნა. ჩაჩნურ თქმულებებში, ისევე როგორც ინგუშურში, ასახულია ჩრდილოეთ კავკასიაში XIV საუკუნეში თემურ-ლენგის ლაშქრობებისა და ოქროს ურდოს ერთ-ერთ ხანთან — თოხთამიშთან ბრძოლის ამბები. შემორჩენილია სიმღერები, რომლებიც ასახავენ ყა-

ბარდოელი, ხუნძი და ყუშუხელი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლას.

დღეს ჩაჩნეთი მოსახლეობის დიდი ნაწილისგან დაცლილია. ბევრმა საქართველოსაც შეაფარა თავი. რუსეთში მცხოვრები ჩაჩნები ინარჩუნებენ ტრადიციებს, მენტალიტეტს. დღესაც სხვა ეთნოსის წარმომადგენელზე ჩაჩანი ქალიშვილის გათხოვება წარმოუდგენელია, მთელი გვარისთვის სირცხვილად ითვლება. რუსეთში მცხოვრებ ჩაჩანთა ინდივიდუალურ ოჯახებს კვლავ ბევრი ვალდებულება აქვთ გვარის წინაშე; მოსკოვში მცხოვრები ჩაჩნები „აკონტროლებენ“ სასტუმროებს, საოფისე ცენტრებს, სავაჭრო კომპლექსებს, აგრეთვე სათამაშო ბიზნესის მნიშვნელოვან წილს. რუსეთის ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ჩაჩნები გარდაცვლილ თანამემამულეს ადგილზე არ კრძალავენ და მას აუცილებლად ჩაჩნეთში, საგვარეულო სასაფლაოზე გადაასვენებენ.

როლანდ თოფჩიშვილი

მიზირ-კორტის აკლდამა





შეკერილია ამერიკაში

ავანტიურის, ბომბონებისა და მიწონების
შეხმინებ მანქანებ მსახური მხანვებობა შესვანა

*მოხუცალე მსახობი და
ავანტიურისტი. მექანიკოსი,
შერეკილი, სამი ცოლის, ოთხი
საყვარლისა და 22, არა, შეიძლება
ითქვას, 23 შვილის პატრონი. ამ 23-ე
„შვილს“ — საყვარე მანქანას,
მაჰათმა განდომ „კაცობრიობის მიერ
გამოგონილ ნივთთაგან უიშვიათესად
სასარგებლო“ უწოდა.*

მსახობი

ისაკ ზინგერი ბავშვობიდანვე ხულიგანი
გახლდათ. პატარა ქალაქ პიტსტონის (ნიუ-
იორკის შტატი) მკვიდრი, მათ შორის თავი-
სი მშობლებიც, გვარიანად დაწიოკებული
ჰყავდა. ბიჭი ხახვს თავდაყირა რგავდა, ძაღ-
ლებს სასკოლო ფორმას აცმევდა, მამას ბან-



კნოტებს პარავდა და ნულებს უმატებდა...

წესრიგს მეამბოხეობა ერჩივნა. 1833 წელს, 12 წლის ისააკმა სწავლა-განათლება „დაასრულა“: სკოლა მიატოვა, სახლიდან გაიქცა და მდინარე ონტარიოს სანაპიროზე, ქალაქ როჩესტერში, მექანიკოსთან ქარგლად მოეწყო. შესაძლოა, პატარა ხულიგნისგან კარგი სპეციალისტიც დამდგარიყო, ავტოფარების ორმო რომ არ მოყირპებოდა და ყურადღება თუ ატრზე არ გადაეტანა.

ზინგერი მსახიობი გახდა და ნაოცნებარ დიდებასაც მიაღწია, თუმცა 20 წლისას მოკბეზრდა და ოპაიოში ხეტყის ქარხანაში „გადანაცვლა“. მოწყენილობით შეწუხებულმა, ხის დამმუშავებელი ჩარხი გამოიგონა. ამით ცოტა ფული იშოვა და 1849 წელს ნიუ-იორკში გაემგზავრა, სადაც გამომცემელ ჯორჯ ზიბერს გადაეყარა. ისააკმა თავისი დაპატენტებული მანქანით ახალშექმნილი მეგობრის დაინტერესება შეძლო.

ბედმა ისე ინება, რომ ბოსტონში დამკვიდრებულმა ზინგერმა და ზიბერმა ოფისი იმავე შენობაში იქირავეს, სადაც საკერავი მანქანების ხელმოცარულ მწარმოებელს, ვინმე ორსონ ფელპსს ჰქონდა სახელოსნო. ჩარხებს არავინ ეიდულობდა. მეგობრები უაზროდ დაბორილებდნენ და უსაქმურობით იტანჯებოდნენ. ზიბერს დეპრესია მოეძალა, ზინგერი კი ფელპსის საკერავი მანქანის კონსტრუქციით დაინტერესდა. მომჭირნე ზიბერს მცირე თანხა კიდევ შემორჩენოდა. ერთხელ მან ზინგერს განუცხადა: „მორჩა, ორმოც დოლარს გაძლე — რაც გინდა, მოიფიქრე, მაგრამ იცოდე — ამის შემდეგ ჩემგან ერთ ცენტსაც ვერ მიიღებ“.

გაიმგონებელი

მეგობრები ერთმანეთს თითქმის ათ დღეს არ შეხვედრიან. ისააკი თავაუღებლად შრომობდა. მას ფელპსის საკერავი მანქანის გაუმჯობესება განეზრახა. კომპანია „ლერიო და ბლოჯეტის“ მიერ დაპატენტებული მანქანა საკმაოდ მოუხერხებელი კონსტრუქციისა გახლდათ — ერთმანეთის მიყოლებით მხოლოდ ათ ნაკერს აკეთებდა, შემდეგ კი აუცილებელი იყო ქსოვილის გამოღება და კერვის თავიდან დაწყება. ძაფი ხშირად იბლანდებოდა და იგრინებოდა, თანაც კერვა მხოლოდ ჰორიზონტალურად შეიძლებოდა.

მიუხედავად უზარმაზარი მოთხოვნილები-სა, ამ გამოგონების ბედი კეთილად არ წარ-

მართულა. ამერიკის შეერთებულ შტატებში დაპატენტებული პირველი მანქანა 1846 წელს ვინმე ელიას ჰოუემ შექმნა, მაგრამ თავისი გამოგონების წარმოებაში ჩაშვება ამერიკაში ვერ შეძლო და ბედის საძებნელად ინგლისს გაემგზავრა, მაგრამ ინჟინერს იქაც ხელი მოეცარა.

1849 წელს შტატებში უკანასკნელი პენის გარეშე დაბრუნებულ ჰოუეს ძალიან გაუკვირდა, როცა აღმოაჩინა, რომ მისი არყოფნისას პატენტები ორ საკერავ მანქანაზე გაუციათ. მათში რაღაც უმნიშვნელო სიახლე კი იყო, მაგრამ არსებითად მაინც წმინდა წელის პლაგიატს წარმოადგენდა. ჰოუემ სასამართლოს მიმართა და დაიწყო „საკერავი მანქანების ომის“ სახელით მონათლული გახმაურებული პროცესი, რომელიც 1854 წლამდე გაგრძელდა.

ზინგერი, რომელმაც პირველად საკერავი მანქანა რამდენიმე თვით ადრე იხილა, ვერც კი ხვდებოდა, როგორ დრამატულ ბრძოლაში ებმებოდა. მან წინა მოდელის ყველა ნაკლი გააანალიზა და გამოსაჯალსაც მიაგნო.

ზინგერის კომპანიის შენობის აგება ნიუ-იორკში 1908 წელს დასრულდა და 1955 წლამდე იდგა





„ზინგერის“ დაშაღებული ერთ-ერთი პირველი საკერავი მანქანა

ისააკმა მანქანის კონსტრუქცია შეცვალა: მაქო პორიზონტალურად მოათავსა (მაფი აღარ იბურდებოდა); ქსოვილისთვის დააპროექტა მაგიდა-დაფა და საყრდენი ფეხი (რაც შეუსვენებლად კერვის საშუალებას იძლეოდა); დაუყენა ფეხის პედალი, რადგან სწორად განსაჯა, რომ მკერავს „დამატებითი ხელი“ ნამდვილად არ აწყენდა.

შემოქმედებითი წვის მეთურთმეტე დღეს გაოცებულმა ზიბერმა და ფელპსმა მართლაც საოცრება იხილეს — მშენიერი და მოქმედი საკერავი მანქანა.

მეპატრონე

ასე შეიქმნა საკერავი მანქანების მწარმოებელი კომპანია: ზინგერი-ზიბერი-ფელპსი. წარმატებამ არ დააყოვნა. 1850 წლის ბოლოს მათ პირველი დიდი დაკვეთა მიიღეს: ნიუ-ჰეივენის პერანგების ფაბრიკამ 30 მანქანა დაუკვეთა, თითოეულის ფასი 100 დოლარი იყო. 1851 წლის ზაფხულისთვის კომპანია გაფართოვდა, რამდენჯერმე გაიზარდა სავაჭრო ბრუნვა. მაგრამ ისევე როგორც საკერავი აგრეგატების მწარმოებელ სხვა კომპანიებს, ზინგერსაც მოუხდა დაუცხრომელ ელას პოუესთან შეჯახება, რომელიც ვერაფრით შეგუებოდა, რომ სხვასაც შეეძლო მანქანის კეთ-

ბა, თანაც განსხვავებულად.

ამ კრიტიკულ მომენტში ხელმოცარული ფელპსი თამაშიდან გავიდა და მისი კუთვნილი აქციების ერთი მესამედი ცნობილი ადვოკატის, ედვარდ კლარკის ხელში მოხვდა. კლარკი ფირმას არა მარტო უფასო კონსულტაციებს დაჰპირდა ოცი წლის განმავლობაში, არამედ განვითარებისთვის საკუთარი სახსრებიც ჩადო. 1851 წლის შემოდგომაზე ზიბერმაც მიჰყიდა თავისი წილი ზინგერსა და კლარკს. ასე შეიქმნა ბიზნისის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უცნაური და ამავე დროს, ყველაზე წარმატებული ტანდემი: დაუდგრომელი და ბუნებით მეამბოხე ზინგერი და დინჯი, ყაირათიანი, ფრთხილი კლარკი. ცნობილი მეწარმის შთამომავლის, კლარკის ბრწყინვალე განათლებას ზმირად თრგუნავდა მისი კომპანიონის წარმოდგენილი გაუნათლებლობა. არისტოკრატი ედვარდი გიჟდებოდა — ზინგერმა ხანში შესვლის მერეც კი ვერ ისწავლა წერა-კითხვა.

კლარკმა თავდაპირველად ბობოქარი ჰოუე გააჩუმა. ადვოკატმა სასამართლოს ბრწყინვალე გადაწყვეტილება შესთავაზა, რომლის თანახმადაც დამტკიცდა ე.წ. ერთობლივი პატენტი, რომელშიც შევიდოდა ჰოუეს, ზინგერისა და კიდევ ორი გამომგონებლის გვარი. საკერავი მანქანების ყველა სხვა მწარ-

მოებელს სასამართლომ თითოეული საკერავი მანქანიდან 15 დოლარის გადახდა დააკისრა — „ერთობლივი პატენტის“ ვადის გასვლამდე. ამ შემოსავალს ოთხი გამომგონებელი თანაბრად გაინაწილებდა.

მაგნატი

თავდაპირველად ზინგერის პროდუქციას ძირითადად სამკერავლო ფაბრიკები ყიდულობდნენ. უბრალო ადამიანს მასზე ხელი ვერ მიუწვდებოდა — მანქანა 125 დოლარი ღირდა, ამერიკული ოჯახის საშუალო წლიური შემოსავალი კი 500 დოლარს არ აღემატებოდა. კლარკმა კერძო პირებისთვის მანქანის მიყიდვის მოქნილი სისტემა შეიმუშავა, რომელიც არა მარტო ზინგერის, არამედ მისი კონკურენტების მანქანების განვადებით შეძენასაც ითვალისწინებდა. მან შექმნა გამსაღებელი სააგენტოების მთელი ქსელი და, რაც მთავარია, ხელი მიჰყო ექსპორტსაც. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საუკუნის ბოლოსთვის ზინგერის აგენტებმა ყველაზე ტრადიციულ და კონსერვატიულ სფეროებშიც შეაღწიეს. თითქმის ყველა გაზეთში გამოქვეყნდა „ზინგერის“ საკერავ მანქანასთან მჯდომი ინდიელი ქალის პორტრეტი.

„ზინგერი“ ბიზნესის ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი კომპანია, რომელიც წელიწადში მილიონ დოლარზე მეტს ხარჯავდა რეკლამისთვის. სცენაზე გატარებულ წლებს ამოდ არ ჩაუვლია — ისააკ ზინგერს ნებისმიერი როლის შესრულება და ნებისმიერ კლიენტზე შთაბეჭდილების მოხდენა შეეძლო. სამოქალაქო ომის დროს მან პატრიოტული ორატორიის სიმღერა წამოიწყო. „ჩვენ ვაცმევთ არმიას“ — იუწყებოდა ახალი კამკამა რეკლამა. კომპანიაში მანქანების დახვეწაზეც მუდმივად მუშაობდნენ.

გამოშვებული საკერავი მანქანების რიცხვმა 127 ათასს გადააჭარბა, მნიშვნელოვნად შემცირდა წარმოების ხარჯებიც. თანაც ზინგერი ყველა ნახმარ მანქანას ანადგურებდა, რათა ბაზარი არ გადატვირთულიყო, მანქანების გასაღება არ შემცირებულიყო და ფასი არ დაეზარდა. მთელ ქვეყანაში ახალი ფაბრიკები იხსნებოდა.

საწყაროები

რაც უფრო კარგად მიდიოდა კომპანიის საქმეები, მით უფრო მეტის უფლებას აძლევდა თავს მისი შემქმნელი. მოწესრიგებული პირა-



„ზინგერი“ პირველი კომპანია იყო, რომელიც წელიწადში მილიონ დოლარზე მეტს ხარჯავდა რეკლამისთვის

დი ცხოვრება არასოდეს ჰქონია. მისი პირველი ცოლი მკერავი კეტრინ ჰელეი იყო, რომელმაც ორი შვილი გაუჩინა. მაგრამ ერთხელ, ბალტიმორის ერთ-ერთი თეატრის სცენიდან (სადაც ზინგერი „რომეო და ჯულიეტაში“ თამაშობდა) მან 18 წლის მერი ენ სპონსლერი დაინახა... ერთი თვის შემდეგ ისინი უკვე ერთად ცხოვრობდნენ.

ზინგერი ქორწინების ოფიციალურად გაფორმებას არ ჩქარობდა. მთელი თოთხმეტი წლის განმავლობაში მერის გულწრფელად სჯეროდა ზღაპრისა ბოროტი ცოლის შესახებ, რომელიც ქმარს განქორწინებაზე უარს ეუბნებოდა. ისინი ცოლ-ქმარ ზინგერებად იწერებოდნენ, ჰქონდათ საერთო საბანკო ანგარიში, რომელზეც რამდენიმე დოლარი ირიცხებოდა, შიოდათ, სწყუროდათ, მაგრამ ბედნიერი იყვნენ. მათი თანამგზავრი სილატაკე გახლდათ. შვილებს ზედმეტი აჩენდნენ. იმ დღეს, როცა ზინგერმა მეგობარ-კომპანიონთა სამსჯავროზე თავისი პირველი საკერავი მანქანა გაიტანა, მერიმ მეთუე შვილი აჩუქა.

ზინგერი გამდიდრდა და მქნსუთუ ავენიუზე დიდებული აპარტამენტები შეიძინა, ყოფილი (მაგრამ ოფიციალური) მისის კეტრინ ზინგერი კი სადღაც ბრუკლინის გარეუბანში ნაქი-



ისააკ ზინგერი

ასეთ საკერავ მანქანას აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში, ოჯახების უმეტესობაში შეზღუდვებით



რავებ ოთახში ცხოვრობდა. ქმარმა იგი საბოლოოდ დაივიწყა.

ზინგერი კეტრინს ოფიციალურად 1860 წელს, განშორებიდან 24 წლის შემდეგ გაეყარა, მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეში აღმოჩნდა მერი სპონსლერისთვის, რადგან მის ქმარს

ახალი მერი — გვარად მაკგონიალი „გაუჩნდა“. ძალიან მალე პირველმა მერიმ გამოარკვია, რომ ისააკი ამ ქალთან უკვე რამდენიმე წელია ცხოვრობდა და მისგან ხუთი შვილიც ჰყოლია... მხილებულმა ზინგერმა სპონსლერი ცოლად შეირთო. რამდენიმე თვის შემდეგ ორივე მერიმ მათი მესამე სენის არსებობის შესახებ შეიტყუ: მერი უოლტერს ზინგერისგან ბიჭუნა ჰყავდა. ეს უკვე მეტიმეტი იყო. კლარკმა ზინგერს დროებით ევროპაში გადასახლება და კომპანიის იქიდან მართვა ურჩია.

1865 წელს ზინგერი თავის ბოლო სიყვარულს — ფრანგ იზაბელ სომერვილს შეხვდა და სულ მალე ცოლადაც შეირთო. ევროპაში დიდხანს დარჩა. ბრიტანეთის კუნძულებზე ბერძნულ-რომაული სტილის დიდებული სასახლე 500 ათას დოლარად იყიდა და მოკრძალებულ სახელი — ვიკვაში უწოდა. სწორედ ამ ვიკვაში შეწყდა 1875 წელს ისააკ ზინგერის ბობოქარი ცხოვრების გზა...

ზინგერის სიკვდილის შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან კიდევ ხუთი მისი მემკვიდრე ჩავიდა ამერიკაში და მისი შვილების რიცხვმა 22-ს მიაღწია — სამი ცოლისა და ოთხი საყვარლისგან. ზინგერის მრავალრიცხოვანი შთამომავლობა მაღალ საზოგადოებაში ტრიალებდა. მისმა ვაჟმა პარისმა აისედორა დუნკანთან მხურვალე რომანით გაითქვა სახელი, დუნკანმა ვაჟი — პატრიკი გაუჩინა. ზინგერის ქვრივი იზაბელი კი ნიუ-იორკში აღმართული, საქვეყნოდ ცნობილი თავისუფლების ქანდაკების პირველსახედ ითვლება. ბოროტმა ენებმა ქალს „ზნეობისა და მორალისგან თავისუფლების ქანდაკება“ უწოდეს.

ზინგერის სიკვდილის შემდეგ მის მანქანებს ბზრიალი არ შეუწყვეტიათ. საუაჭრო ბრუნვა იზრდებოდა, ხუთჯერ შემცირდა მანქანის თეითლირებულება. ერთგული ედვარდ კლარკი კი სიკვდილამდე (1882 წ.) კომპანიის მფარველ ანგელოზად რჩებოდა. 1891 წელს კომპანიამ ნახევარ მილიონზე მეტი მანქანა გამოუშვა. „ზინგერი“ უზარმაზარ კორპორაციად იქცა, რომელსაც ფილიალები მთელ მსოფლიოში აქვს. დღეს ის სამკერვალო მანქანების წარმოების მსოფლიო ლიდერია, აქვს 600-ზე მეტი მაღაზია და მის პროდუქციას 150 ქვეყანაში 12 ათასი დილერი ავრცელებს.

მოამზადა ნინო ჯაფარიძემ

„ისეთი მოღვაწის სანაცნა და ბვნიხ ვახახიბ, ისტორიან ხახბად ხომ ჯი მენაჰცა, უხახხეცის იჰნაბოდა“

დღეიდან „ისტორიანი“ შემოგთავაზებთ რუბრიკას „ერუდიტი“. ჩვენი სტუმრები საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სახეები იქნებიან. ისინი ისტორიაში (და არა მხოლოდ) „გამოცდას“ საჯაროდ ჩააბარებენ. პირველ სტუმრად შევარჩიეთ პერსონა, რომელსაც თქვენ, როგორც იუმორისტს ისე იცნობთ, არადა პროფესიით მათემატიკოსია. როგორც თვად ხუმრობს, ერთი პატარა კაცია, პატარა სტუდია აქვს. იგი დიდი ისტორიკოსის — ფანე ჯაგანიშვილის სახელსა და გვარს ატარებს. მიმიზვლით, არა? „ერუდიტი“ სტუმარი შოუშენი ფანე (ვანო) ჯაგანიშვილი გახლავთ

— ვანო, დიდი მეცნიერის სეხნიობა რას ნიშნავს შენთვის?

— უნივერსიტეტში მათემატიკის ფაკულტეტი დავაძთავრე. ამას ხელი არ შეუძლია, ისტორიის ლექტორთან „მეშეგობრა“, ამ საგანში მგონი ისტორიკოსებს არ ჩამოვრჩებოდი.

— საქართველოს ისტორიიდან გამორჩეულად რომელი გმირი გიყვარს?

— პირველ ადგილზე დავით აღმაშენებელს ვაყენებ, მან დიდი იმპერია შექმნა. თამარ მეფეც მიყვარს. მისი ღვაწლიც დასაფასებელია.

— დროა კითხვარზე გადავიდეთ.

— დავიწყობთ, რაღა დაგიძალო და ცოტა ვნერვიულობ.

— „...თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დაგამარცხებთ“. რომელმა მეფემ მიმართა ჯარს ბრძოლის წინ ამ სიტყვებით?

— ეს ბრძოლა ქართველებმა მოვიგეთ?

— დიახ, მიუხედავად მტრის ლაშქრის სიმრავლისა.

— ამ სიტყვებით ლაშქარს დიდგორის ბრძოლის წინ დავით აღმაშენებელმა მიმართა.

— მართალია. 1922 წელს, გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე, ქართველი ერის სატყეპარი მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი. ვინ აიმაღლა ხმა რუსეთის წინააღმდეგ?



„ეს ბრძოლა ქართველებმა მოვიგეთ?..“

— (ფიქრობს) მინიშნებას ვერ მეტყვი?

— ის სასულიერო პირი იყო, გენუის კონფერენციის მონაწილეებს შემორანდუმით მიმართა და საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო ჯარის დაუფონებლო გაყვანა მოითხოვა. ამის გამო დააპატიმრეს და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

— კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია, მასზე რამდენიმე დღის წინ ვკითხულობდი და ახლა გამახსენდა. მასვე ეკუთვნის ცნობილი სიტყვები: „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული — საქართველოს, მძორი, ჯალათებო, — თქვენ და რაც გინდათ, ის უყავით“. მოგვიანებით იგი წმინდანად შერაცხეს.

— რომელი ქართველი დიდებულის თავგანწირვამ იხსნა კონტასთავის შეთქმულებები?

კრუდიტი

- ცოტნე დადიანის.
- 1626 წელს ერთმანეთს ორი ლაშქარი დაუპირისპირდა, ერთს გიორგი სააკაძე მეთაურობდა, მეორეს — თეიმურაზი I. სად გაიმართა ეს ბრძოლა?
 - ბაზალეთის ტბასთან. მას ქართველი ერის სირცხვილი უწოდეს.
 - ირაკლი აბაშიძე ერთ-ერთ ლექსში წერს: „მურის ძველ ხიდთან, სადაც გორმახებს / თითქოს მდინარემ დანა დაუსვა, / სამი ციხე დგას: ციხე — „დაუხვდი“, / ციხე — „დაჰკარი“ და ...“. დაასახელე მესამე ციხის სახელწოდება.
 - სამწუხაროდ ეს ლექსი არ ვიცი, ვერ დავასახელებ.
 - „არ გაუშვა“ ჰქვია.

წლებში ატეხილი ბრძოლა, შეგახსენებ, ლანკასტერების დინასტიის გერბზე წითელი ყვავილი იყო გამოსახული, ხოლო იორკელებისაზე — თეთრი.

- ვარდების ომი, სწორად მახსოვს?
- დიახ, ახლა დეიდ კარნევის ერთ გამოცანას გეტყვი: უფასოა, მაგრამ ძვირი ღირს, რასაც მეტს გასცემ, მეტს მიიღებ. წამიერია, მაგრამ ხსოვნაში სამუდამოდ რჩება. ვერსად იპოვი მდიდარს, რომელიც უმისოდ ძლებს და ვერც ლატაკს, რომელსაც ის არ გაამდიდრებს. მას ვერ იყიდი, ვერც თხოვნა-მუდართით მოიპოვებ, ვერც ისეხებ, ვერც მოიპარავ, რადგან თუ ნებით არ გაიცა, გროშია მისი ფასი. თუ ამ გამოცანას გამოიცნობ, ის აუცილებლად „გქწვევა“.



- რა საინტერესოა, ეს ციხეები სად მდებარეობს?
 - ეს ციხეები ერთმანეთისგან 200-300 მეტრის დაშორებით, ლეჩხუმის რაიონის სოფელ ჩხუტელში მდებარეობენ. შემდეგი კითხვა კი ასეთია — რომელი ქართველი მეფე იყო სტუმრად რომის იმპერატორ ანტონიუს პიუსთან?
 - ეს სკოლაში ვისწავლე.
 - მერე, აღარ გახსოვს?
 - უნდა დაფიქრდე (*პაუზის შემდეგ*). ფარსმან II. მას რომში, მთავარ მოედანზე ძველიც დაუდგეს.
 - რა სახელწოდებითაა ცნობილი ინგლისელ ფეოდალთა შორის 1469-1485

- რა საინტერესოა, მგონი, ვიცი, რაც უნდა გიპასუხო, მაგრამ შეცდომით რომ არ გითხრა, გთხოვ, გამოცანა გამიმეორე (*გამეორების შემდეგ*): ადამიანის ქმედებაზე ლაპარაკი, არა?
 - დიახ, ეს შენს საქმიანობას უკავშირდება.
 - გამოვიცანი, სიცილი.
 - ეს ზუსტი პასუხი არ არის, მაგრამ ახლოს ხარ.
 - ღიმილი...
 - დიახ, ღიმილი. რას გიწოდებდათ ძველი რომაელი, თუ მას მართაონზე შეხვდებოდი?
 - არ ვიცი.

— კონკურენტს. მეორე მსოფლიო ომის დროს, ეს ტყვეთა ბანაკი განსაკუთრებული სისასტიკით იყო ცნობილი, გაზის კამერებში სიცოცხლე ასეულობით ათასმა ტყვემ დაასრულა. ახლა იქ მუზეუმი. რა ერქვა ამ ბანაკს?

— „ოსვენციმი“, პოლონეთში მდებარეობს.

— რომელ წელს დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი?

— 1918 წელს. გეგონა არ მეცოდინებოდა?

— ვინ იყო მისი პირველი რექტორი?

— პეტრე მელიქიშვილი. მეორე რექტორი ივანე ჯავახიშვილი იყო.

— კალიგულა, ტიბერიუსი, კლავდიუსი,

ფურცელს ატრიალებს და ისევ 16-ს წერს), 1691 წელი გამოდის.

— ყოჩაღ!

— აი, სად გამომადგა ჩემი პროფესია, კითხვა მეორენაირადაც შეიძლება დაისვას, XX საუკუნეში ასეთი წელია 1961.

— ახლა მიპასუხე, როგორი ქვა არ შეიძლება იყოს მდინარეში?

— რას ჰქვია, როგორი?

— მგონი კითხვა გასაგებად დაუსვი.

— (ფიქრობს) ვერ გიპასუხებ, რა გაცინებს? ალბათ ძალიან მარტივი პასუხი აქვს.

— მეგონა გამოიცნობდი. მდინარეში არ შეიძლება მშრალი ქვა იყოს.

— მეგონა, კითხვა გამირთულა-მეთქი და



ნერონი: დაალაგე ქრონოლოგიურად რომის იმპერატორები.

— პირველი კალიგულა იქნებოდა.

— ცდები.

— იმ დროში არ მიცხოვრია, მოგვიანებით დაეიბადე (იცინის), ვერ გიპასუხებ.

— ტიბერიუსი, კალიგულა, კლავდიუსი და ნერონი.

— გამოუშვი კითხვები, გამოუშვი, ახარტში შევედი.

— XVII საუკუნეში რომელია ისეთი წელი, თავდაყირა რომ დაფაყნოთ და არ შეიცვლება.

— ე.ი. ათას ექვსას რაღაცა ხომ (კალამს და ფურცელს იღებს წერს, 16-ს, მერე

ეს რამ მოგაფიქრა (იცინის)? კარგი, შემდეგ კითხვაზე გადავიდეთ.

— 1886 წლის 24 მაისს, თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხულმა 20 წლის ახალგაზრდამ, ხანჯლით მოკლა ამავე სემინარიის რექტორი პაულე ჩუდეცკი, რომელსაც ცოლისა და ცოლისდის თვალწინ გაუსწორდა. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ვრცელ იმპერიას. ვინ იყო ის 20 წლის ბიჭი?

— ვერ ვიხსენებ. ვიცი, რომ სემინარიაში სტალინიც სწავლობდა, მაგრამ ეს ამ შემთხვევას ალბათ არ უკავშირდება.

— ჩვენი ყურნალის მე-2 ნომერი რომ წაგეკითხა, გეცოდინებოდა. ეს ახალგაზრდა

— სკოლაში ისტორიას კარგად სწავლობდი?

— ისეთი მოღვაწის სახელსა და გვარს ვატარებ, კარგად რომ არ მესწავლა, უხერხულიც იქნებოდა. ყველაზე მეტად ისტორია და გეოგრაფია მიყვარდა. რა თქმა უნდა, საქართველოს ისტორია უფრო სრულყოფილად ვიცი, ვიდრე მსოფლიოს სხვა ქვეყნებისა.

იოსებ ლალიაშვილი იყო. ახლა შუა საუკუნეების საქართველოში გადავინაცვლოთ, რომელი მეფის მამასა და შვილს ერქვა ბაგრატი?

— ამ კითხვაზე გიპასუხებ, უნდა დაუფიქრდე (*პაუზის შემდეგ*), ვაა! რომელი იყო? მინიშნებას ვერ მეტყვი?

— ეს მეფე ერთ-ერთი ნაწარმოების პერსონაჟია.

— გიორგი I-ის.

— ყინწვისი, დავით-გარეჯი, ვარძია, უფლისციხე: ამ ძველთაგან რომელი არ მიეკუთვნება კლდეში ნაკვეთ გამოქვაბულთა კომპლექსს?

— ყინწვისი.

— დაალაგე ომები თარიღების მიხედვით: დიდგორი, კრწანისი, გარნისი, ბაზალეთი.

— ჯერ მოხდა დიდგორის ბრძოლა, შემდეგ — გარნისი, ხომ სწორად ვამბობ?

— შემდეგ?

— ბაზალეთის და კრწანისის ომები.

— რომელმა მწერალმა თქვა: „ცუდსა რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრია-ნი“?

— რუსთაველმა.

— ცდები, ამ სიტყვების ავტორი ვაჟა-ფშაველას... თბილისში მდებარე ეს უძველესი ბაზილიკური ეკლესია, ვახტანგ გორგასლის ვაჟის — დანის ბრძანებით აშენდა. რომელ ეკლესიაზეა ლაპარაკი?

— ანჩისხატზე.

— „ერის გათანსირება და დაცემა მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას იფიქვებს, როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც

აღარ ახსოვს — ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც დმერთი გასწვრომია და თავის ისტორია არ ახსოვს“. ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?

— ილია ჭავჭავაძე.

— რომელ ბრძოლაში დაიღუპა ცხრა ძმა ხერხეულიძე?

— მარაბდის.

— კათოლიკური ეკლესიის ბრძანებით 1431 წელს კოცონზე დაწვეს, მაგრამ 1920 წელს წმინდანად შერაცხეს. ვინ იყო იგი?

— არ ვიცი.

— ჟანა დ'არკი.

— სიტყვა საფრანგეთი რომ გეხსენებინა, არ შეიძლებოდა? გამოვიცნობდი.

— ეს ციხესიმაგრე ისტორიულ წყაროებში პირველად XVIII საუკუნეში იხსენიება.

ის რეგიონის მნიშვნელოვან სტრატეგიულ სიმაგრეს წარმოადგენდა. მისი დაუფლება მთელ შიდა ქართლზე ბატონობას ნიშნავდა. ციხე საუკუნეების განმავლობაში არაერთხელ აღდგენილა და გადაკეთებულა.

დღევანდელი სახე 1774 წელს მიიღო, როცა ერეკლე მეფემ საფუძვლიანად შეაკეთა.

რომელ ციხეზეა ლაპარაკი?

— გორის ციხეზე, როცა შიდა ქართლი ახსენე, მაშინვე მიგხვდი.

— რა ფიზიკური ნაკლი ჰქონდა თემურ ლენგს გარდა იმისა...

— (*მაწვევებინებს*) კოჭლობდა.

— სხვა?

— სხვა არ ვიცი.

— მარცხენა ხელს ვერ შლიდა. „ბრძოლის ველზე მალე ბერდებიან, მე კი იქიდან მოვდივარ“. რომელ მხედართმთავარს ეკუთვნის ეს სიტყვები?

— ნაპოლეონ ბონაპარტეს ხომ არა?

— გამოიცანი. ვინ იყო თამარ მეფისთვის დაეით ნარინი?

— შვილიშვილი.


— რა სიტყვები წერია ქართულ გერბზე?

— „ძალა ერთობაშია“.

— დაასრულე ცნობილი ამერიკელი მწერლისა და ფილოსოფოსის — ემერსონის გამონათქვამი: „ყოველი ადამიანი, რომელ-თანაც ურთიერთობა მაქვს, რაღაცით მაინც მჯობია და მე მზად ვარ...“

— მას ვაჯობო.

— „ვისწავლო მისგან“.



				1 ფაშის სამშობლო		2 ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული	3 ქვეყანა აზიაში	
				4 მუსლიმთა რელიგია		5 ოსტატ- ხელისათა გაერთიანება ტელად		
6 მემამულე შუა აზიაში				7 პეერდაღის ერთ-ერთი ნავი	8 ოსლამის წმინდა ქალაქი			
9 იტალიის პრემიერ- მინისტრი		10 მხარე საქართველოში					11 ვარსკვლავთა ერთ-ერთი კრებული	
				12 სახალხო კრება მე საბერძნეთში				
					13 მდინარე საქართველო- ში		14 აპონის პარველი დედაქალაქი	
15 აზერბაიჯანის პრეზიდენტი		16 ასურელი მამა ... მღვიმელი			17 ბოლღეის პრეზიდენტი	18 ჩინელი დიქტატორი		19 კოსტასთეის შეოქმულების ერთ-ერთი მონაწილე
20 უკრაინის დედაქალაქი					21 სატელერაფო კოდის გამომგონებელი			
				22 საქონლის თანამშრომე- ლი პრესის საკითხებში ...ატაშე				
23 ბუღისტი მღვდელი					24 მარქსიზმის ერთ-ერთი დამფუძნებელი			
25 დაჭრავეული პროფესორი მწერავე აპონიაში								26 ნორვეგიის დედაქალაქი

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანორდის პასუხები:
 1. დროება; 2. კოლუმბია; 3. ქაბული; 4. ნადირ; 5. ჰიმნი; 6. ბიბლია; 7. გმირი; 8. ათაბაგი; 9. რაი; 10. მიტერანი; 11. ონი; 12. აიაზმა; 13. ანა; 14. ლიე; 15. ნატო; 16. ნინია; 17. ობამა; 18. ნათაქე; 19. ეტა; 20. ელია; 21. ბეჟთარი; 22. პავაი; 23. ინფანტერია; 24. ბუეისინი. სურათზე: დავით აღმაშენებელი.



„ჟურნალმა „ისტორიანმა“ შეავსო ის ნიშა, რომლის თავისუფალი იყო ქართულ კრეისაში“

ჟურნალის მესამე ნომერი უკვე გამოსული იყო, როცა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში „ისტორიანის“ პრეზენტაცია გაიმართა. მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიმართულების მიუხედავად (ჟურნალი ისტორიულ-შემეცნებითია), ახალი გამოცემა თითქმის ყველა ასაკის, სოციალური ფენისა და ინტერესების მკითხველზეა გათვლილი, ამიტომ ჟურნალის წარდგენაზეც მრავალფეროვანი საზოგადოება შეკრებილიყო. აქ მოსულთ სასიამოვნო სიუპრიზიც ელოდათ. ამიერიდან ჟურნალთან ერთად მკითხველს საშუალება ექნება შეიძინოს პოპულარული ისტორიული ნაწარმოებები. სწორედ „ისტორიანის“ მე-3 ნომრიდან დაიწყო კონსტანტინე გამსახურდიას მრავალტომიანი რომანის „დავით აღმაშენებლის“ გამოცემა.



აბესალომ ვეკუა (პალეონტოლოგი, აკადემიკოსი): „ძალიან მომწონს ჟურნალის მოცულობა, მისი ფორმატი, მაგრამ განსაკუთრებით მომწონს მისი შინაარსი. სოლიდური ჟურნალია. „ისტორიანის“ წაკითხვა ყოველთვის გესიამოვნება კაცს. ამიტომაც ყოველი მომდევნო ნომრის გამოცემას ველოდები“.

ელდარ ნადირაძე (პროფესორი, ეროვნული მუზეუმის მთავარი კურატორი): „ისტორიანი“ პროფესიონალურ დონეზე შესრულებული ჟურნალია ისტორიის, კულტურის შესახებ, ძალიან საინტერესოა და მრავლის მომცველი. ვისურვებდი, რომ ასეთი ტემპითა და ხარისხით განაგრძოს მუშაობა და ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელი ჟურნალი გახდეს. ბევრი საინტერესო ინფორმაციის მიღება შეიძლება ამ ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან“.


როლანდ თოფჩიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი): „ჟურნალის სამივე ნომერი წაკითხე. მიმაჩნია, რომ ეს არის ბრწყინვალე გამოცემა და დასანანია, რომ ასეთი გამოცემა ქართველებს აქამდე არ გვქონდა. ასეთი შინაარსის პერიოდულ გამოცემას განსაკუთრებით დიდი დატვირთვა აქვს გლობალიზაციის პირობებში. „ისტორიანი“ დაეხმარე-



აბესალომ ვეკუა: — სამწუხაროდ, დღეს მომრავლდა ჟურნალები, სადაც ჭორაობის გარდა არაფერი წერია. ეს კი მკაცრად ჩამოყალიბებული, შინაარსიანი გამოცემაა.



ელდარ ნადირაძე: — ერთხელ წაკითხვის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, „ისტორიანს“ ისე შეიყვარებენ, რომ ზელიდან არ გაუშვებენ.



როლანდ თოფჩიშვილი: — გამოვიტყვებით და ასეთი ჟურნალის გამოცემაზე სტუდენტობიდან ვოცნებობდი.





როზეტა გუჯეჯიანი: — „ისტორიანის“ პუბლიკაციები ყველა ასაკის მკითხველზეა მორგებული.



პაატა ნაცვლიშვილი: „ისტორიანი“ წარსულს გვახსენებს...



ელეზაბეტ ჩიჩერი-რონაი-სმიტი: — როგორც კი ისევ მომეცემა შესაძლებლობა, აუცილებლად ჩამოვალ საქართველოში.

ბა ახალგაზრდებს ეროვნულ ფასეულობათა გაცნობიერებაში, არ დაავიწყებს ჩვენს ისტორიას. ერი კარგავს ეროვნულობას, როდესაც ისტორიის მქნსიერებას კარგავს“.

ზაზა აზიანიძე (მწერალი): „ვეფიქრობ, „ისტორიანმა“ შეავსო ის ნიშა, რომელიც თავისუფალი იყო ქართულ პრესაში. არც ერთი

სხვა ჟურნალი არ მეგულება ქართულ მედია-ბაზარზე, თან პოპულარული ენით იყოს დაწერილი და ამავე დროს, სამეცნიერო დატვირთვაც ჰქონდეს. დღეს ჩვენ ისტორიის გზაგასაყარზე ვდგავართ და ძალიან ბევრი საფრთხისა და გამოწვევის წინაშე ვართ. ასეთ დროს წარსულთან მიბრუნება, იმ გაკვეთილების განხილვა, რომელიც შესაძლოა მწარეც იყოს და არა გულისთვის საამო, აუცილებელია“.

როზეტა გუჯეჯიანი (ეთნოლოგი, პროფესორი): „ისტორიის მეცნიერებათა შესახებ ასეთი სამეცნიერო-პოპულარული გამოცემა აქამდე არ არსებობდა, ამიტომაც მეტად მნიშვნელოვანია ასეთი გამოცემის შექმნა“.

ნინო გელენიძე (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი): „ისტორიანის“ პირველ ნომერში 18 ამბავი ძალიან მსუბუქად და საინტერესოდ არის გადმოცემული და ფაქტობრივად, მოიცავს მთელ სამყაროს. ამ ჟურნალს შესაძლოა ბიბლიოგრაფიული ნაშრომების გიდიც ვუწოდოთ“.

პაატა ნაცვლიშვილი (ჟურნალისტი): „ამ ჟურნალის გამოცემა მართლაც დროული ნაბიჯი იყო. დღეს, როდესაც ცივილიზაციისკენ მივიღებთ, წარსულის დავიწყება კარგს არაფერს მოგვიტანს“.

ჟურნალ „ისტორიანის“ პრეზენტაცია ცნობილი უნგრელი მხატვრის, მიხაი ზიჩის ნამუშევრების გამოფენის ფონზე მიმდინარეობდა. მიხაი ზიჩი „ვეფხისტყაოსნის“ ერთადერთი უცხოელი ილუსტრატორი გახლდათ და ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში გაატარა. უნგრელი მხატვრის ნამუშევრები საქართველოში მისმა შვილთაშვილმა ჩამოიტანა.

ელიზაბეტ ჩიჩერი-რონაი-სმიტი (მიხაი ზიჩის შვილთაშვილი): „აქ ნანახმა ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. მიხაი ზიჩი საქართველოში უფრო დაფასებულია, ვიდრე ჩემს ქვეყანაში. მართალია, მოკრძალებული გამოფენაა, მაგრამ გაოცებული ვარ, რომ უამრავი ხალხია დაინტერესებული, მოდიან, ათვალიერებენ, ბავშვებც მოჰყავთ... შემოიძლია ვთქვა, რომ შევარებული ვარ თქვენს ქვეყანაზე. აქ ჩემი გენებია“.